პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

კომუნისტი

წლიწადი მერვე

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან დღის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76) მდივნის 10—58) ღამის მორიგეს 13—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34. ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხებისა, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფურცლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სადღესასწაულო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- პოლონეთ-ლატვიის საიდუმლო მოლაპარაკება.
- შეკითხვები თემთა პალატაში.
- საფრანგეთის რადიკალ-სოციალისტების პარტიაში მოსალოდნელია განხეთქილება.
- პოლონეთის ახალ სოც. პარტიის ცეკას შემადგენლობა.
- მუნიციპალური არჩევნების შედეგები პოლონეთში.
- მასიური დაპატიმრებანი დასავლეთ უკრაინაში.
- გამოქვეყნებულია დეკრეტი რუმინეთის პარლამენტის დათხოვნის შესახებ.

ხუთშაბათი, 22 ნოემბერი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 270 (2313)

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა
დეკემბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

გერმანიის საგარეო პოლიტიკის გზები

ხანგრძლივი შესვენების შემდეგ შტრეზემანი პირველად გამოვიდა რეიხსტაგში საჯაროდ გერმანიის საგარეო პოლიტიკის შესახებ. გერმანიის დიპლომატიის მეთაურის სიტყვა და მის გარშემო გამართული კამათი ბევრი მხრით მეტად დამახასიათებელია.

გერმანიის საგარეო პოლიტიკის ხაზი თითქო ისაა, რომ იგი მანევრებს ახდენს ერთი მხრით საბჭოთა კავშირისა, ხოლო მეორე მხრით საფრანგეთ-ინგლისს შორის. ამის გამოხატულებაა რაპალო და ლოკარნო.

დასავლეთის ორიენტაცია თუ საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობა, ან ორივე ერთად, ისე რომ არც ერთ მათგანს ზიანი არ მიადგეს,—უმთავრესად ასე დგას საკითხი გერმანიის მმართველთა წინაშე.

ლოკარნოს ხელშეკრულების დადების და ერთა ლიგაში გერმანიის შესვლის შემდეგ, გერმანია, განსაკუთრებით ბოლო ხანებში, თანდათან უფრო იხრება დასავლეთის ორიენტაციისაკენ და ამავე დროს ვხედავთ საბჭოთა კავშირთან მისი ურთიერთობის შესუსტების ნიშნებს. გერმანიის ზოგიერთი ხელმძღვანელი წრეები ინგლის-საფრანგეთისადმი ერთგულების გამოჩენით ფიქრობდნენ რეინის ოლქის და რეპარაციების საკითხებში დათმობების მიღებას და გერმანიისათვის დიდი იმპერიალისტურ სახელმწიფოს როლის დაბრუნებას. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ასეთ პოლიტიკას აქტიურად იცავენ გერმანელი მენშევიკები, რომლებსაც ამ შემთხვევაში ამოძრავებთ საბჭოთა კავშირის სიძულვილი, მისგან გერმანიის დაშორების და ამრიგად მთლიანი ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნის სურვილი.

სინამდვილემ ასეთი პოლიტიკის სიკოტრე აშკარა გახადა. გადაჭარბებულმა ორიენტაციამ დასავლეთისაკენ ბევრ მის მომხრესაც დაუმსხვრია იმედები. საფრანგეთი რეპარაციების საკითხში არაფერს სთმობს. რეინის ოლქის ოკუპაცია გრძელდება. ინგლისი და საფრანგეთი შეთანხმებულად მოქმედებენ გერმანიის წინააღმდეგ. შტრეზემანი იძულებულია ყველაფერი ეს აღიაროს.

ამასთან საგულისხმოა შემდეგი: მოითხოვს რა რეინის ოლქის დაცლას, შტრეზემანი აცხადებს, — რომ ამის სამაგიეროდ გერმანიას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია იკისროს რაიმე პოლიტიკური და ფინანსიური ვალდებულებები. მაშასადამე, შტრეზემანი ადასტურებს, რომ ინგლისი და საფრანგეთი გერმანიას აკისრებენ რაღაც პოლიტიკურ ვალდებულებებს რეინის ევაკუაციისათვის. ჩვენ ვიცით, თუ რანაირია ეს პოლიტიკური ვალდებულებები. ესაა პირველ ყოვლისა მოთხოვნა, რათა გერმანია შეუერთდეს ანტისაბჭოთა ბლოკს.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, გერმანიის მთავრობა უკანასკნელ დროს ამ ბლოკისაკენ იხრებოდა. ჩვენთან ეკონომიური მოლაპარაკების შეწყვეტა, გერმანიის სახალხო მეურნეობის მინისტრის კურციუსის „ლოცვა-კურთხევით" გერმანელ ბანკირთა ერთი ჯგუფის შეერთება „რუსეთის კრედიტორების საერთაშორისო ასოციაციისადმი", საბჭოთა კავშირთან ვაჭრობისათვის ცალკე კომიტეტის დაარსება ბერლინში, გერმანიის ზოგიერთ გაველენიან პირების გამოსვლები საბჭოთა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის წინააღმდეგ და კიდევ სხვა მსგავსი ფაქტები გვეუბნებიან, რომ გერმანიაში საკმაოდ ძლიერი არიან ისეთი წრეები, რომელნიც ოცნებობენ რაპალოს რევიზიაზე და საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გართულებაზე. მაგრამ ასეთმა პოლიტიკამ გერმანიას არავითარი სარგებლობა არ მოუტანია, პირიქით — გააუარესა მისი მდგომარეობა.

— ეს შეგნება თითქო იკაფავს გზას გერმანიის უფრო გონიერ და შორსმჭვრეტელ წრეებში. ამას მოწმობს, მაგ., გერმანია-საბჭოთა სავაჭრო მოლაპარაკების მოახლოვებული განახლება. კერძოდ საგულისხმოა სახალხო პარტიის (შტრეზემანის პარტიის) თვალსაჩინო ბელადის, რეინბაბენის გამოსვლა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განმტკიცების დასაცავად.

სხვათა შორის, აღსანიშნავია ერთი მომენტი: ინგლის-საფრანგეთის ანტანტის აღდგენამ გამოიწვია გერმანია-ამერიკის დაახლოვება. შტრეზემანის გარკვეული გამოსვლა სახღვაო კომპრომისის წინააღმდეგ ამ მხრივ საყურადღებოა. ამავე დროს ჩვენ ვხედავთ ამერიკა-საბჭოთა ურთიერთობის გაფართოვებას. ამასთან დაკავშირებით ცნობილი გერმანელი ჟურნალისტი ცერერი წერს: გერმანიის, შეერთებულ შტატების და საბჭოთა კავშირის თანამშრომლობა სავსებით შეეფერება სამივე ქვეყნის ინტერესებს. ეს თანამშრომლობა ყოველგვარ მნიშვნელობას დაუკარგავს ინგლისის ცდას, რომ მახვილი ჩასცეს საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შეწყვეტის საშუალებით. ამნაირად, გერმანიაში ადგილი აქვს ტენდენციას, რომ საბჭოთა კავშირსა და ამერიკასთან დაახლოვების გზით მან აიძულოს საფრანგეთი და ინგლისი დათმობებზე წავიდნენ გერმანიის მიმართ.

ჯერ-ჯერობით კი გერმანიის საგარეო პოლიტიკა დიდ მერყეობას განიცდის. თუმცა შტრეზემანი აცხადებს, რომ გერმანია არავითარ პოლიტიკურ ვალდებულებებს არ იკისრებს საფრანგეთ-ინგლისის მიმართ, მაგრამ ხაზგასასმელია, რომ ის პირდაპირ სრულებითაც არ შეეხო საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის საკითხს და მხოლოდ რეინბაბენმა გამოასწორა შტრეზემანის ეს „გულმავიწყობა". ამასთან რეინბაბენი ერთ და იმავე დროს ლოკარნოსაც ეპოტინება და საბჭოთა კავშირთან დაახლოვების მომხრედაც გამოდის.

საბჭოთა მთავრობა წინააღმდეგი არ იქნება გერმანიის თანამშრომლობის ინგლის-საფრანგეთთან, მაგრამ მხოლოდ ერთი პირობით,—ეს არ უნდა მოხდეს საბჭოთა კავშირის ხარჯზე. ჩვენ ვიცით, რომ ინგლის-საფრანგეთის ბლოკი გერმანიასთან ვაჭრობას აწარმოებს, რათა უკანასკნელი სხვადასხვა დათმობების დაპირებით ჩაითრიოს ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში. გერმანიის სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვენ, რომ მან ხელი აიღოს ამ საეჭვო კომბინაციაზე და საბჭოთა კავშირთან ნორმალური ურთიერთობა განამტკიცოს.

მიმდინარე წლის მთავარი ამოცანა

სოციალიზმის უდიდეს მიღწევებს განვლილ სამეურნეო წელს თან სდევდა მრავალი სიძნელე, რომელთა მთავარ მიზეზად უნდა ჩაითვალოს, საერთოდ, სოფლის მეურნეობის და, განსაკუთრებით, მარცვლეული მეურნეობის სექტორის უდიდესი ჩამორჩენილობა. საკითხი გლეხური მეურნეობის განვითარების დაჩქარების შესახებ ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია. პარტია პრაქტიკულად სვამს საკითხს იმის შესახებ, თუ რა ზომებით უნდა დაჩქარდეს გლეხის მეურნეობის განვითარება და როგორ უნდა გაძლიერდეს ამ განვითარების ტემპი. ამასთან პარტია გამოდის იქიდან, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების ეხლანდელი ტემპი არ არის საკმაო. პარტია ამავე დროს გადაჭრით უარჰყოფს ისეთ ზომებს ამ მეურნეობის განვითარებისათვის, რომელთა მიზანია გადაახვევინონ პარტიას სწორი გზიდან.

რასაკვირველია, შესაძლოა ორი გზა გლეხის მეურნეობის განვითარების დაჩქარებისათვის.

ერთი გზა—ბურჟუაზიული ეკონომისტების გზა, რომელსაც ემხრობიან პარტიაში მემარჯვენე გადახრის ზოგიერთი წარმომადგენელნი და რომელიც მდგომარეობს შემდეგში: კულაკს უნდა მიეცეს თავისუფლება, პარტიამ ხელი უნდა აიღოს მისი ზრდის შეზღუდვაზე, საბჭოთა სახელმწიფოს როლი კულაკთან დამოკიდებულების საკითხში უნდა განისაზღვროს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ამოცანით—საბჭოთა სახელმწიფომ მხოლოდ უნდა შეზღუდოს მონური პირობები კულაკის მიერ ღარიბი გლეხობის ექსპლოატაციის დროს, მან ხელი უნდა აიღოს ახალ საბჭოთა მეურნეობის განვითარებაზე, შეაჩეროს მუშაობა ახალ კოლმეურნეობათა მოწყობისათვის, ერთის სიტყვით, უნდა დაემყაროს იმაზე, რომ კულაკი მისცემს პურს.

მეორე გზა—პარტიის მე-15 ყრილობის გზა, პარტიის ცეკას ივლისის პლენუმის გზა, ის გზა, რომელიც დასახულ იქნა ცეკას და მოსკოვის კომიტეტის მიმართვაში მოსკოვის ორგანიზაციისადმი. ეს არის საბჭოთა მეურნეობის და კოლმეურნეობების განვითარების ყოველგვარად დაჩქარების გზა, ეს არის ღარიბ და საშუალო მეურნეობათა განვითარების ტემპის გაძლიერების გზა.

პირველი გზა ნიშნავს საბჭოთა ქვეყნის უეჭველად დაქანებას ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გადაგვარების მიმართულებით. ამ გზით პარტია არასოდეს არ წავა.

მეორე გზა არის კომუნისტური გზა, მუშათა კლასის გზა, მუშათა კლასისა, რომელსაც ძალა-უფლება უპყრია ხელთ და რომელიც, ემყარება რა ღარიბ გლეხობას, ამავე დროს აძლიერებს კავშირს საშუალო გლეხთა მასებთან.

პარტია ამასთანავე გამოდის იმ უდაო ფაქტიდან, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მთავარი დამამზადებელი ჩვენს ქვეყანაში არის ღარიბი და საშუალო მეურნეობა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ხელთ უპყრია ის საშუალებანი, რომლებიც საჭიროა და საკმაო იმისათვის, რომ დაჩქარდეს გლეხობის ამ ნაწილის აღორძინება, რომელიც იძლევა არა მარტო მთელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ძირითად ნაწილს, არამედ მისი საბაზრო წილის ძირითად ნაწილსაც.

იმ საშუალებებს შორის, რომლებიც მძლავრად უნდა იქნან ამოქმედებულნი, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ: 1) საქონლის მიწოდებას სოფლისათვის, 2) ფულის სისტემის განმტკიცებას, 3) სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სისტემას, 4) რევოლუციონური კანონიერების განმტკიცებას, 5) აგრო-ზოოტექნიკურ ღონისძიებათა სისტემას და 6) საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობათა განვითარებას.

ყველა ეს საშუალება ამოქმედებულ უნდა იქნას მთელი ბოლშევიკური სიმტკიცით და ენერგიით.

თუ რამდენად დიდია შესაძლებლობანი ამ მხრივ, ამას ამტკიცებს მრავალი მეტად არსებითი ფაქტი. სავსებით რეალური და განსახორციელებელია, გამოსაშვებ საქონლის რაოდენობის გადიდება: საქონელი უნდა დამზადდეს 150-200 მილიონ მანეთით იმაზე მეტი, რაც სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს საკონტროლო ციფრებით არის გათვალისწინებული. ჩვენ ეჭვი არ შეგვდის იმაში, რომ მიმდინარე წელს მთელი პარტიის, ყველა სამეურნეო ორგანიზაციის და პროფკავშირების ენერგიული მუშაობით შევძლებთ გადავაჭარბოთ სამრეწველო პროდუქციის იმ რაოდენობას, რომელიც დასახულია საკონტროლო ციფრებით. მინიმუმ 2-3 პროცენტით ზრდას ჩვენ შეგვეძლია კიდევ მივაღწიოთ (გარდა იმისა, რაც ნავარაუდევია სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს საკონტროლო ციფრებით) იმ შემთხვევაში, თუ უფრო მეტად გამოვიყენებთ არსებულ მოწყობილობას, თუ გადავალთ ორ-სამ წყება მუშაობაზე ლითონის და ქიმიური მრეწველობის მთელ რიგ დარგებში და უფრო სასარგებლოდ გამოვიყენებთ სამხედრო მრეწველობას მშვიდობიან დროის პროდუქციის დასამზადებლად. დამატებითი შესაძლებლობების გამოაშკარავება ამ დარგში ჯერ კიდევ მხოლოდ დასაწყის სტადიაშია. პარტია ჯერ კიდევ არ ამოძრავებულა, როგორც რიგია. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მრავალი დამატებითი შესაძლებლობა კიდევ აღმოჩნდება მომავალში, თუ ჩვენი ქვეყნის ყოველი მუშა შეიგნებს, რომ საქონლის პროდუქციის გადიდებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქალაქისათვის პურის მიწოდების გაუმჯობესებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საბაზრო ნაწილის გადიდებისათვის.

გლეხის მეურნეობის განვითარების დაჩქარებისათვის, გლეხის მეურნეობაზე ქალაქის ზეგავლენის ფორმების გაუმჯობესებისათვის არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს რევოლუციონურ კანონიერებას. თუ ჩვენ არ გვექნება რევოლუციონური კანონიერება, თუ მტკიცედ და შეურყევლად არ გავატარებთ მოსახლეობისათვის წინდაწინვე ცნობილ ნორმებს, ჩვენ, რასაკვირველია, ვერ შევძლებთ გლეხის მეურნეობის ზრდის ნამდვილ დაჩქარებას. რევოლუციონური კანონიერების განმტკიცებას მოითხოვს სამეურნეო აუცილებლობა.

შემდეგ—სასოფლო-სამეურნეო გადასახადი. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კლასობრივი ხაზის მტკიცედ განხორციელებამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიწვიოს საშუალო მეურნეობათა დაქუცმაცების და საშუალო მეურნეობათა ძირითადი მასის საწარმოო ძალთა შემცირების ტენდენცია. ამ თვალსაზრისით, ისეთი ზომები, როგორიცაა კანონის მტკიცედ დაცვა, ინდივიდუალური დაბეგვრის გამოყენება მხოლოდ კულაკური ზედაფენების მიმართ, არა მარტო შემოსავლის საერთო თანხის, არამედ მემამულეთა რიცხვის აღრიცხვაც დაბეგვრის დროს, საგადასახადო ნორმების ერთგვარი უცვლელობა, პრემიები ღარიბ და საშუალო მეურნეობებს, რომლებიც ამა თუ იმ აგრიკულტურულ გაუმჯობესებას განახორციელებენ და სხვა, გამოყენებულ უნდა იქნას როგორც საშუალება სოფლის სამეურნეო აღორძინებაზე ზეგავლენისათვის.

ამასთან ერთად, უფრო მეტად, ვიდრე დღემდე, უნდა ავამოქმედოთ სოფელზე აგრიკულტურული ზეგავლენის საშუალებანი. რადგან ჩვენი გლეხური მეურნეობა ძალიან ჩამორჩენილია, ისეთ ზომებს, როგორიცაა წმინდა ხარისხის თესლის დათესვა, თესლის გაწმენდა და დახარისხება, მწკრივი თესვის შემოღება, ბრძოლა მავნებლებთან, მიწის ნიადაგის გაუმჯობესებული დამუშავების გავრცელება, ნაკელის უკეთესად გამოყენება და სხვა—საგრძნობლად დააჩქარებს მოსავლიანობის გადიდებას. მთელმა პარტიამ უნდა მიაქციოს ყურადღება ამას, უნდა ჩამოართვას საადგილ-მამულო დაწესებულებებს ეს საქმე და პარტიული მუშაობის მეტად მნიშვნელოვან ამოცანად გადააქციოს ყოველ პარტიულ ორგანიზაციაში და ქვედა საფეხურის ყოველ საბჭოთა ორგანოში. საკითხი ასე სდგას: ან უნდა გადავიყვანოთ ჩვენი ქვეყნის განვითარება პროლეტარული გზიდან ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ გზაზე, ან პროლეტარული სახელმწიფოს საშუალებებით მივაღწიოთ სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპის გადიდებას.

უეჭველია, რომ პარტია უკუაგდებს ყოველგვარ წინადადებას სიძნელეთა წინაშე წამოჩოქებისათვის. უეჭველია აგრეთვე, რომ პარტია, უარჰყოფს რა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გადაგვარების გზას, ისეთი ენერგიით და ძალით აამოძრავებს ღარიბ და საშუალო მეურნეობათა ძირითად მასაზე ზეგავლენის პროლეტარულ საშუალებებს, რომ ჩვენ უახლოეს ხანში შევძლებთ იმ დაბრკოლებათა გადალახვას, რომლებიც გვეღობებიან ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ენერგიულად განვითარების გზაზე.

„პრავდა", 21 ნოემბერი

ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა

გაზ. „ტევერე"-ს გადმოცემით ამერიკის მთავრობას განზრახვა აქვს იცნოს საბჭოთა კავშირი

ინგლის-საბჭოთა ეკონომიური დამოკიდებულების საკითხი თემთა პალატაში

კამათი გერმანიის საგარეო პოლიტიკის შესახებ---რეიხსტაგმა ნდობა გამოუცხადა შტრეზემანს

ამერიკა და საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხი

რომი, 20 ნოემბ. „ტევერე" მოწინავე წერილში კომენტარიებს უკეთებს ნიუ-იორკიდან მიღებულ ცნობას იმის შესახებ, რომ შეერთებული შტატების მთავრობას განზრახული აქვს იცნოს საბჭოთა კავშირი. გაზეთი სწერს:

„ეს ცნობა სიმართლეს ჰგავს არა მარტო იმიტომ, რომ საბჭოთა მთავრობა ათ წელიწადზე მეტია არსებობს, არამედ იმიტომაც, რომ ინგლისისა და ამერიკის ურთიერთობა ამ ბოლო დროს ძალიან გამწვავდა. ინგლისი თავისი პოლიტიკური ჰეგემონიის განმტკიცების გეგმას აშენებდა საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის ჩაშლაზე. საქმე ეხებოდა იმას, რომ კაპიტალიზმს ბოლშევიზმისათვის სამღვთო ომი გამოეცხადებინა. იტალიაში ზოგიერთებს უნდოდათ იტალია გამოეყვანათ ანტი-ბოლშევიკური ჯვაროსნული ომის მედროშედ. მათ ინგლისის იმპერიალიზმის ჰანგერი მიიჩნიეს მის დადასტურებად, რომ ცივილიზაციას საფრთხე მოელის. ჯვაროსნული ომი არ მოხერხდა, ვინაიდან თვით საფრანგეთმაც კი, რომელმაც გააძევა საბჭოთა კავშირის ერთი ელჩი, მაგრამ მიიღო მეორე ელჩი, უარი სთქვა მასში მონაწილეობაზე. ინგლისი გაფაციცებით თვალყურს ადევნებდა საბჭოთა კავშირს, რომელიც მას ყოველი მხრიდან ემუქრებოდა. მაგრამ ამ ბოლო დროს გამწვავდა უთანხმოება მასსა და შეერთებულ შტატებს შორის. ეხლა კი, საბჭოთა კავშირისათვის 25 მილ. დოლ. სესხის მიცემის შემდეგ, მოდის ამბავი საბჭოთა კავშირის მოსალოდნელი ცნობის შესახებ. კრედიტები, ოფიციალური ცნობა და სავაჭრო გარიგებები საბჭოთა კავშირთან, — ყველაფერი ეს ლახვარია ინგლისის იმპერიალიზმისათვის, რომელსაც არ აღმოაჩნდა იმდენი უნარი, რომ ხელმძღვანელობა გაეწია მსოფლიო შეტევისათვის ბოლშევიზმის წინააღმდეგ". (ადს).

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

საბჭოთა კავშირი ყოველთვის ანაღდებდა თავის თამასუქებს

ლონდონი, 20 ნოემბ. რეიტერის სააგენტოს ცნობით, საგარეო ვაჭრობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ხეკინგმა თემთა პალატას წარუდგინა ექსპორტისათვის კრედიტის მიცემის პროექტი. პროექტის დაცვის დროს, ხეკინგმა განაცხადა, რომ გეგმა არ უნდა გავრცელდეს საბჭოთა კავშირზე, ვინაიდან ამას დიდი რისკი მოჰყვებაო.

მუშათა პარტიის დეპუტატმა ქალმა კინსონმა ხეკინგს შეაწყვეტინა სიტყვა და განაცხადა, **რომ საბჭოთა კავშირი ყოველთვის ანაღდებდა თავის თამასუქებსო.**

საგარეო ვაჭრობის დეპარტამენტის ყოფილმა ხელმძღვანელმა (მუშათა პარტიის მთავრობის დროს) დეპუტატმა ლენმა განაცხადა, რომ აქ არ არის იმაზე მეტი რისკი, რაც ევროპის სხვა ქვეყნებშია მოსალოდნელიო. მან იმედი გამოსთქვა, რომ ექსპორტისათვის კრედიტის მიცემის სისტემა გავრცელდება საბჭოთა კავშირზედაც. შემდეგ მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საექსპორტო კრედიტების სისტემიდან საბჭოთა კავშირის გამორიცხვის ერთად-ერთი მიზეზი არის პოლიტიკური სიძულვილი საბჭოთა კავშირისადმი.

ლიბერალმა დეპუტატმა გამილტონმა სთქვა, რომ ინგლისის თევზის მრეწველობა ვერასოდეს ვერ აღადგენს თავის წინანდელ მდგომარეობას, თუ არ დაიბრუნებს საბჭოთა ბაზარსო.

მუშათა პარტიის დეპუტატმა რიჩარდსონმა მხარი დაუჭირა საექსპორტო შეღავათების გავრცელებას საბჭოთა კავშირზედაც და განაცხადა:

„მემაღაროებმა იციან, თუ რა დავკარგეთ ჩვენ საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის შეწყვეტის გამო"-ო.

მუშათა პარტიის დეპუტატმა შორტმა განაცხადა, რომ მას აქამდის არ გაუგონია არც ერთი გონიერი არგუმენტი კრედიტების სისტემის საბჭოთა კავშირზე გავრცელების წინააღმდეგ. (ადს).

პარიზის ბურჟუაზია რევოლუციონური აჯანყების წინააღმდეგ

პარიზი 20 ნოემბერი. პარიზის მუნიციპალურ საბჭოს სხდომაზე **ტასმა** (მემარჯვენემ) პარიზში რევოლუციონური აჯანყების ჩაქრობის გეგმის შესახებ შეტანილი შეკითხვის დასაბუთების დროს განცვიფრება გამოსთქვა იმის გამო, რომ „გეგმის ავტორებმა შესაძლებლად დაინახეს პარიზის აჯანყებულთა ხელში დატოვება თუნდაც რამდენიმე საათის განმავლობაში".

მემარჯვენეთა მეორე წარმომადგენელმა **ნარმა** განაცხადა, რომ მას არა სწამს კომუნისტური აჯანყების რეალური საფრთხე.

შეკითხვის საპასუხოდ პარიზის პოლიციის პრეფექტმა **კიაპმა** განაცხადა:

„თუ მღელვარება მოხდა, მე პირველ რიგში მშვიდობიან ზომებს მივმართავ და ყოველ ღონეს ვიხმარ, რომ მოსალოდნელი კონფლიქტი მშვიდობიანი გზით გადაიჭრას. მაგრამ თუ საჭიროება მოითხოვს, მივმართავ უფრო ენერგიულ ზომებს. მე მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, თუ საჭირო იქნება, დავიცვა პარიზი, როგორც თავისუფლების სიმბოლო, ყოველი კანონიერი საშუალებით. მაგრამ, ვფიქრობ, არ არის არავითარი საბაბი შიშს მივეცეთ".

კომუნისტ უოლის სიტყვა

კომფრაქციის სახელით გამოსულმა **უოლიმ** განაცხადა:

„იმ განაცხადებებიდან, რომლებიც ჩვენ მოვისმინეთ, გამომდინარეობს, რომ ღებულობენ ზომებს, რათა პარიზის ირგვლივ თავი მოუყარონ სამხედრო ძალებს პარიზში ყოველგვარი რევოლუციონური მოძრაობის ჩასაქრობად.

ამას გარდა, ღებულობენ ზომებს პოლიციის გასაძლიერებლად, რომლის მიზანსაც კომუნისტების დახვრეტა შეადგენს. მაგრამ პროლეტარიატმა იცის თავისი ძალები. რევოლუციამ უკვე გაიმარჯვა დედამიწის მეექვსედ ნაწილში. ახლო მომავალში დაიწყება ჯარისკაცებისა და მუშების დაძმობილება, და ყველა თქვენი ღონისძიება გაქარწყლდება. ცუდად მოწყობილი აჯანყება ჩვენს გეგმაში არ შედის. კომუნისტური პარტია, კომინტერნის ხელმძღვანელობით, მიზნად ისახავს მეთოდიურ მუშაობას მასების მოსამხრობად. პარტია ამ მასებს საბრძოლველად წაიყვანს მხოლოდ მაშინ, როდესაც პროლეტარიატის გამარჯვების საათი დადგება".

ღონისძიებები რევოლუციონური აჯანყების წინააღმდეგ

35 ხმის უმრავლესობით 19-ის ხმის წინააღმდეგ მუნიციპალურმა საბჭომ მიიღო 2 რეზოლუცია. პირველი რეზოლუცია წინადადებას აძლევს პოლიციის პრეფექტს, მოსთხოვოს ხელისუფლებას ისეთი ზომების მიღება, რომლებიც იმ შემთხვევაში, თუ სერიოზული მღელვარება მოხდა, უზრუნველჰყოფენ ამ მღელვარების დაუყოვნებლივ ჩაქრობას.

მეორე რეზოლუცია მოითხოვს, რომ „პარიზის გარნიზონის რიცხვი ისეთ დონეზე იდგეს, რომელიც შეუძლებელს გახდის რევოლუციონური გამოსვლის ყოველ საფრთხეს".

რადიკალებმა მხარი დაუჭირეს ამ რეზოლუციებს. სოციალისტი ტომა არსებითად ამ რეზოლუციის წინააღმდეგ არ წასულა, მან მხოლოდ მოითხოვა, რომ გათვალისწინებული ღონისძიებანი გავრცელდნენ ყოველგვარ მღელვარებაზე, საიდანაც უნდა მომდინარეობდეს იგი (ადს).

კამათი საგარეო პოლიტიკის შესახებ რეიხსტაგში

უარჰყვეს წინადადება შტრეზემანისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ

ბერლინი, 20 ნოემბერი. ვოლფის სააგენტო იუწყება:

„ნაციონალ-სოციალისტების წინადადება შტრეზემანისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ უარყოფილ იქნა 219 ხმით 98 ხმის წინააღმდეგ (სამმა თავი შეიკავა). წინადადებას ხმა მისცეს ნაციონალ-სოციალისტებმა, ნაციონალისტებმა, კომუნისტებმა, ქრისტიანულ-ნაციონალურმა პარტიამ და გლეხთა პარტიამ" (ადს).

ბერლინი, 20 ნოემბერი. საგარეო პოლიტიკის გარშემო გამართულ კამათში კომუნისტმა დეპუტატმა მიუნცენბერგმა აღნიშნა, რომ გერმანიის საგარეო პოლიტიკა, რომლის განხორციელებაშიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ სოციალ-დემოკრატები, აშკარა იმპერიალისტური ხასიათისაა. მიუხედავად ზოგიერთ დაბრკოლებისა, ინგლისისა, საფრანგეთისა და გერმანიისაგან ბლოკის შექმნის ცდა კვლავ ძალაში რჩება.

ამხ. მიუნცენბერგის სიტყვა

„შტრეზემანის სიტყვისთვის,—განაცხადა მიუნცენბერგმა,—დამახასიათებელია ის, რომ მასში არაფერი ყოფილა ნათქვამი საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შესახებ. 1924 წლიდან გერმანიის საგარეო პოლიტიკის კურსი მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და ეს ტენდენცია თანდათან ძლიერდება. გერმანია ცდილობს, რაც შეიძლება ძვირად გაჰყიდოს თავისი მონაწილეობა ანტი საბჭოთა ბლოკში. გერმანიის ბანკების მონაწილეობა რუსეთის კრედიტორთა ინტერესების დამცველ საერთაშორისო კომიტეტში, საბჭოთა კავშირის ძვირფასი ნივთების კონფისკაცია ბერლინის აუქციონზე, სახალხო მეურნეობის მინისტრის კურციუსის სიტყვა ბანკირების ყრილობაზე,—ყველაფერი ეს მოწმობს, რომ გერმან მიულერის ხელმძღვანელობით გერმანიაში მწვავდება ფრონტი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მაგრამ მომავალი ომის დროს კომუნისტები მოუწოდებენ რეიხსვერს —თავისი იარაღი მიმართოს საკუთარი ბურჟუაზიის წინააღმდეგ".

კამათში გამოვიდა აგრეთვე რეინბენის (სახალხო პარტიის წევრი, შტრეზემანის მახლობელი თანამშრომელი) და ბრეიტშეიდი (სოციალ-დემოკრატი). მათ ხაზგასმით აღნიშნეს საგარეო პოლიტიკის მოდუნება, მაგრამ განაცხადეს, რომ ერთად ერთი სწორი კურსი არის საგარეო პოლიტიკაში იმპერიალისტური ხაზის შენარჩუნება, რომელიც დღემდე ტარდებაო.

მეგობრობა საბჭოთა კავშირთან ურყევია

რეინბაბენმა (ერთად-ერთი ბურჟუაზიული ორატორი, რომელიც ამ კამათის დროს გამოვიდა) მოკლე მიმოხილვა გაუკეთა გერმანიის დამოკიდებულებას სხვა ქვეყნებთან. რეინბაბენის აზრით, ლოკარნოს პოლიტიკა ერთად ერთი სწორი პოლიტიკა იყო.

„გერმანიამ,— განაცხადა მან,—მომავალში უნდა ითანამშრომლოს ინგლისთან და საფრანგეთთან, მაგრამ მე მინდა ამავე დროს აღვნიშნო, რომ **ლოკარნოს პარალელურად ჩვენ არასოდეს არ ვივიწყებდით ურთიერთობას რუსეთის დიდ სახელმწიფოსთან. ჩვენ ვცდილობდით სალ საფუძველზე დაგვემყარებია ეს ურთიერთობა. მე კმაყოფილებით აღვნიშნავ გერმანია-საბჭოთა კავშირის ეკონომიურ მოლაპარაკების განახლებას. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მივესალმოთ საბჭოთა კავშირის ცდას, აღადგინოს ეკონომიური ურთიერთობა ამერიკულ წრეებთან. რუსეთის მიმართ ჩვენ ვიცავთ ჩვენი პოლიტიკის წინანდელ ხაზს** და იმედი გვაქვს, რომ რუსეთთან ურთიერთობაში, მიუხედავად ეკონომიურ სისტემების სხვადასხვაობისა, ჩვენ დადებით შედეგებს მივაღწევთ".

ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეერთებულ შტატებთან გერმანიას კარგი ურთიერთობა აქვს, და, დასასრულ, განაცხადა:

„აქედან გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ ლოკარნოს პოლიტიკა არავითარ შემთხვევაში არ არის ცალმხრივი ორიენტაცია ინგლისსა და საფრანგეთზე და არ მოასწავებს სხვა სახელმწიფოებისაგან ჩამოშორებას" (ადს).

კლასობრივი ბრძოლა გერმანიაში

პროფდემოკრატების მანევრი

ბერლინი, 20 ნოემბერი. როგორც ესსენიდან იუწყებიან, დიუსელდორფში კაპიტალისტებსა და პროფკავშირების წარმომადგენლებს შორის გამართული მოლაპარაკების შედეგად მიღწეულ იქნა შეთანხმება ყველა მნიშვნელოვან საკითხში, მაგრამ პროფკავშირთა დელეგაციის შემადგენლობაში არსებობს უთანხმოება ცენტრალური და საოლქო პროფკავშირების წარმომადგენლებს შორის. საოლქო პროფკავშირების წარმომადგენლები საჭიროდ სთვლიან ერთგვარ მანევრებს, რათა შეცდომაში შეიყვანონ მასები. ამ მიზნით პროფკავშირთა დელეგაცია დასთანხმდა, გადადებულ იქნას მოლაპარაკება 24 ნოემბრამდე, როცა სააპელაციო წესით გაირჩევა პროფკავშირების საჩივარი სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ. პროფკავშირების წარმომადგენლებს იმედი აქვთ, რომ სააპელაციო სასამართლო დაადასტურებს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას და ამგვარად მათ საშუალება მიეცემათ უთხრან მუშებს, რომ შემდგომი ბრძოლა უიმედოაო. ვინაიდან ამ მანევრებისათვის საჭიროა დრო, მუშაობის განახლება გადადებულია მომავალ კვირამდე.

ცენტრალური საგაფიცვო კომიტეტი ლოკაუტის რაიონის ყველა ქალაქში აწყობს მანიფესტაციებს და დემონსტრაციებს იმ ღალატის წინააღმდეგ, რომელსაც ამზადებს პროფკავშირთა ბიუროკრატია (ადს).

დახმარება ლოკაუტგამოცხადებულ მუშებს

ბერლინი, 20 ნოემბერი. რეიხსტაგის დადგენილების თანახმად, სათემო საბჭოებმა დაიწყეს, ლოკაუტგამოცხადებულ მუშებისათვის დახმარების მიცემა. კვირაში მარტო ხელა მუშას ეძლევა 8 მარკა, ცოლშვილიანს—16 მარკა. ლოკაუტის პირველი სამი კვირისთვის მელითონეები არაფერს არ მიიღებენ.

პროფბიუროკრატების კაპიტულიაცია

ბერლინი, 20 ნოემბერი. პროფკავშირული წრეები ოპტიმისტურად არიან განწყობილნი, თუმცა რეფორმისტული პრესა და მრეწველები აცხადებენ, რომ მოლაპარაკებას დიუსელდორფში არავითარი შედეგი არ მოჰყვა და არც მოლაპარაკების განახლების ვადა არის დანიშნული.

მემარცხენე უმცირესობის წრეებს მოეპოვებათ ცნობები იმის შესახებ, რომ პროფკავშირთა წარმომადგენლები მზად არიან კაპიტულიაციაზე წავიდნენ. მათ მიიღეს მრეწველთა პირობები სამუშაო დღის ხანგრძლივობისა და ნარდად მომუშავეთა ხელფასის შესახებ. მრეწველებმა დასთმეს მხოლოდ იმ საკითხში, რომელიც შეეხება სამუშაო დღის ხანგრძლივობას შემცვლელ მომუშავეებისათვის, მაგრამ ეს მინიმალური დათმობაა და მისი პირობები უფრო ცუდია, ვიდრე სამედიატორო წესით იყო გადაწყვეტილი. უთანხმოება მდგომარეობს იმაში, რომ მწარმოებლები მოითხოვენ ეხლავე იქნას დადებული ხელშეკრულება ხანგრძლივი ვადით, ხოლო პროფკავშირთა წარმომადგენლები წინადადებას იძლევიან დაიდოს დროებითი შეთანხმება. ამასთან ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას ისინი უკავშირებენ იმას, თუ რას იტყვის სასამართლო პროფკავშირთა სააპელაციო საჩივარზე, რომელიც შეეხება სამედიატორო გადაწყვეტილების გაუქმებულად გამოცხადებას.

პროფკავშირული ბელადების აშკარა კაპიტულიაციის გამო, ლოკაუტგამოცხადებულთა ცენტრალურმა საგაფიცვო კომიტეტმა გამოაქვეყნა მოწოდება,—კომიტეტი მოუწოდებს მუშებს—იმოქმედონ ერთსულოვნად და დაიცვან წინანდელი მოთხოვნა. (ადს).

მოსამსახურეთა შტრეიკბრეხერული მუშაობის სანქცია

ბერლინი, 20 ნოემბერი. სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსამსახურეთა კავშირის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ დამქირავებლებს აეკრძალოთ გამოიყენონ მოსამსახურენი, როგორც მუშა ხელი, წესრიგის დასამყარებლად იქ, სადაც ლოკაუტია გამოცხადებული.

ეს დადგენილება მოსამსახურეთა შტრეიკბრეხერული მუშაობის გამართლებას წარმოადგენს (ადს).

შეკითხვები თემთა პალატაში

ლონდონი, 20 ნოემბ. თემთა პალატის სხდომაზე მუშათა პარტიის წევრმა მელონმა შეიტანა შეკითხვა ინგლისის გუსართა მერვე პოლკის მონაწილეობის შესახებ საფრანგეთის ჯარის მანევრებში რეინის ოლქში.

სამხედრო მინისტრმა ევანსმა ამ შეკითხვაზე უპასუხა, რომ საფრანგეთის ხელისუფლებისაგან მიღებულ მიწვევაზე სამხედრო სამინისტრო დასთანხმდა იმიტომ, რომ მას უნდოდა ვარჯიშობის შესაძლებლობა მიეცა პოლკისთვის.

მელონი კვლავ შეეკითხა — შეეფერება თუ არა ლოკარნოს პრინციპებს სამხედრო მანევრების გამართვა ოკუპაციქმნილ ტერიტორიაზეო. ამ შეკითხვაზე მინისტრმა პასუხი არ გასცა.

მუშათა პარტიის წევრი ტერტლი შეეკითხა: **„საბჭოთა მთავრობას, რომ გამოეგზავნა მიწვევა ინგლისის სამხედრო სამინისტროსათვის, დართავდა თუ არა ნებას ეს უკანასკნელი ინგლისის პოლკს მონაწილეობა მიეღო წითელი არმიის მანევრებში".** ამაზე მინისტრმა უპასუხა: „არა, არ დართავდა"-ო. (ადს).

პილსუდსკის რესპუბლიკაში

პოლონეთის ახალი სოციალისტური პარტიის ცეკას შემადგენლობა

ვარშავა, 20 ნოემბერი. იავოროვსკის ჯგუფის (პოლონეთის ახალი სოციალისტური პარტია) საორგანიზაციო კომიტეტმა აირჩია პარტიის ცეკა იავოროვსკის, სმულკოვსკის და სხვ. შემადგენლობით. დეპუტატი მალინოვსკი გამოვიდა პოლონეთის სოციალისტური პარტიის ფრაქციის შემადგენლობიდან და შეუერთდა იავოროვსკის ჯგუფს.

იავოროვსკის ჯგუფს სეიმში 8 დეპუტატი ჰყავს (ადს).

ბრძოლა პოლონეთის ძველ და ახალ სოციალისტური პარტიებს შორის

ვარშავა, 20 ნოემბერი. ვარშავის მუნიციპალიტეტში პოლონეთის ძველი სოციალისტური პარტიის ფრაქციამ წინადადება შეიტანა, გამოეცხადოს უნდობლობა მუნიციპალიტეტის თავმჯდომარეს იავოროვსკის.

გაზეთების ცნობით, იავოროვსკი შეუთანხმდა პილსუდსკის მომხრეების და ენდეკების ფრაქციას, რომელნიც დასთანხმდნენ—მხარი დაუჭირონ მას პოლონეთის ძველი სოციალისტური პარტიის წინააღმდეგ.

არახელსაყრელი შედეგები პილსუდსკის მომხრეებისათვის

ვარშავა, 20 ნოემბერი. სეიმის არჩევნებთან შედარებით, დომბროვის რაიონის მუნიციპალური არჩევნების შედეგები მეტად არახელსაყრელი აღმოჩნდა პილსუდსკის მომხრეებისათვის.

სოსნოვიცში მთავრობასთან თანამშრომლობის ბლოკმა მიიღო 5.400 ხმა, ნაცვლად 17000 ხმისა, რომელიც მან სეიმის არჩევნების დროს მიიღო. დომბროვოში ბლოკმა მიიღო 3.810 ხმა, 5.364 ხმის მაგივრად. პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ დაჰკარგა მანდატების მნიშვნელოვანი რიცხვი, მაგრამ ხმა მაინც მეტი მიიღო. ეს—უმთავრესად კომუნისტური სიების გაბათილებით აიხსნება (ადს).

დრუმონდი ვარშავაში

ვარშავა, 20 ნოემბერი. როგორც პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ვარშავაში მოვიდა ერთა ლიგის გენერალური მდივანი დრუმონდი (ადს).

მასიური დაპატიმრება დასავლეთ უკრაინაში

ვარშავა, 20 ნოემბერი. პოლონური გაზეთები ყოველდღე იუწყებიან მასიურ დაპატიმრებათა შესახებ დასავლეთ უკრაინაში. ლვოვის უკანასკნელ ამბებთან დაკავშირებით. რეპრესიები მიმართულია, ერთის მხრივ, ეგრედწოდებულ უკრაინის სამხედრო ორგანიზაციის წინააღმდეგ, მეორეს მხრივ კი—პროლეტარული ელემენტების წინააღმდეგ (ადს).

ფეიქრებს დახმარებას ურიგებენ

ვარშავა, 20 ნოემბერი. ლოძში, ოქტომბრის გაფიცვასთან დაკავშირებით, დაიწყო დახმარების დარიგება, ფეიქრებისთვის. დახმარებას ურიგებენ აგრეთვე ვიძევის მანუფაქტურის მუშებს, რომელნიც დღესაც განაგრძობენ გაფიცვას. დახმარებას არიგებენ იმ თანხებიდან, რომლებიც საბჭოთა კავშირის მუშებმა შეაგროვეს.

ფეიქართა პროფკავშირმა, რომელსაც სათავეში პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრები უდგანან, არ მოისურვა ხელი შეეწყო დახმარების გაცემისათვის.

ფეიქრები ღრმად არიან აღშფოთებულნი პროფკავშირით, რომელიც შეეცადა ხელი შეეშალა დახმარების დარიგებისათვის. (ადს).

საბჭოთა არჩევნების ამოცანები

საკავშირო ც კის მიმართვა მოკავშირე რესპუბლიკების ცაკებისადმი

მოსკოვი, 21 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის ცაკის მიმართვაში რ.ს.ფ.ს.რ., უკრაინის ს.ს.რ., ბელორუსიის ს.ს.რ., ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს.რ., უზბეკისტანის ს.ს.რ. და თურქმენისტანის ს.ს. რესპუბლიკის ცაკებისადმი 1928-29 წელში საბჭოების გადარჩევის კამპანიის საკითხზე, ნათქვამია:

„საბჭოების გადარჩევის მოსამზადებელ მუშაობაში და აგრეთვე სოფლად გადარჩევის ჩატარებაში ქალაქის და სოფლის ამომრჩეველთა ფართო მასების ჩაბმასთან ერთად ყურადღება უნდა მიექცეს უპირველეს ყოვლისა იმას, რომ მომზადდეს სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატის—სეზონობით მომუშავეთა, მოჯამაგირეთა, მოჯამაგირე ქალთა და აგრეთვე გლეხობის ღარიბთა ფენების ფართო მონაწილეობა საარჩევნო კამპანიაში. მოსამზადებელი მუშაობის პერიოდში უნდა შეიქმნას ყველა პირობები კამპანიის ნორმალურ მსვლელობისათვის. ამ მიზნით საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სრული მთლიანობა და შეთანხმება საარჩევნო კამპანიის მუშაობაში და მიღწეულ იქნას ყველა საუწყებო ორგანოების და ორგანიზაციების ნამდვილი აქტიური მონაწილეობა ამ საქმეში.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იმას, რომ თავის დროზე იქნეს დამზადებული და დაგზავნილი უწყებები; ამასთანავე უზრუნველყოფილ იქნას უწყებების შეძლებისდაგვარად სავალდებულო დაგზავნა ამომრჩეველთა ჩამორჩენილი ფენებისათვის.

გადარჩევის კამპანიის ჩასატარებლად ადგილებზე გაიმართოს ადგილობრივი საბჭოების და აღმასკომების წევრთა, საბჭოთა კავშირის ცაკის წევრთა და მოკავშირე რესპუბლიკების ცაკების წევრთა მოხსენებები.

მიღწეულ იქნას, რომ საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, პროფკავშირებმა, კომკავშირმა, კოოპერაციამ და რემედასმა, განსაკუთრებით სოფლად, ნამდვილად აღმოუჩინონ დახმარება საბჭოებს და საარჩევნო კომისიებს.

ვინაიდან პრესას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მასიური კამპანიების ჩატარებისათვის, სავსებით უნდა იქნას უზრუნველყოფილი ის, რომ ცენტრალური და ადგილობრივი პრესა ფართოდ ემსახუროს საარჩევნო კამპანიას. კამპანიის საანგარიშო-საარჩევნო პერიოდში ხელისუფლების ორგანოების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყურადღება უნდა მიექცეს საბჭოების მასიური ანგარიშგების დასმას, დეპუტატებისათვის ნაკაზების პროექტების დამუშავებას და ნაკაზებისა და სიების გატარებას მშრომელთა მიერ განხილვის გზით.

ხელისუფლების ადგილობრივი და ცენტრალური ორგანოების საანგარიშო მოხსენებებში ამომრჩეველთა წინაშე უნდა დაისვას და გაშუქდეს ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის ყველაზე უფრო საარსებო და მნიშვნელოვანი საკითხები. ადგილობრივი ორგანოების ანგარიშებში სპეციალური ადგილი უნდა დაეთმოს ამომრჩეველთა ნაკაზის შესრულებას.

მთელი საარჩევნო კამპანიის დროს სპეციალური ყურადღება მიექცეს ეროვნულ უმცირესობათათვის მუშაობას მათ სამშობლო ენაზე.

აღინიშნოს აგრეთვე, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანა, ამომრჩეველთათვის მუშაობა მომთაბარე რაიონებში და მათ შორის საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის ჩატარება.

საბჭოების უშუალო არჩევნების კამპანიაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იმას, რომ არჩევნებში ჩაბმულ იქნან ამომრჩეველთა ჩამორჩენილი და შეუკავშირებელი ფენები, მეტადრე ქალები, კერძოდ, ჩამორჩენილი ხალხების ქალთა აქტივობის გაძლიერების მიზნით ამომრჩეველ ქალებისა და ამომრჩეველ მამაკაცების კრებები ცალკ-ცალკე იქნას მოწვეული იმ ეროვნულ რესპუბლიკებსა და ოლქებში, სადაც ყოფა-ცხოვრების პირობების გამო გაერთიანებული კრებების გამართვა შეუძლებელია.

საბჭოებისა და აღმასკომების მომავალ არჩევნებში განსაკუთრებით უნდა იქნას გათვალისწინებული ქალაქისა და სოფლის პროლეტარული ელემენტების ხელმძღვანელ სამუშაოზე დაწინაურების ამოცანა.

საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმი ცენტრ. აღმ. კომიტეტების ყურადღებას აქცევს იმ გარემოებაზე, რომ საჭიროა თავის დროზე ანგარიშის წარმოდგენა საარჩევნო კამპანიის შესახებ, დაწესებული ფორმების მიხედვით".

პოლონეთ-ლატვიის საიდუმლო მოლაპარაკება

რიგა, 20 ნოემბ. სეიმის მუშურ-გლეხური ფრაქციის ორგანო „დარბს უნ მაიზე" სწერს, რომ **უკვე ერთი თვეა რიგაში პოლონეთსა და ლატვიას საიდუმლო მოლაპარაკება აქვთ, რომლის შესახებაც პრესას აკრძალული აქვს ცნობების გამოქვეყნება.** ეს იმიტომ, რომ მოლაპარაკება ეხება ისეთ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ საკითხებს, როგორიც არის: პოლონელ მემამულეთა დაჯილდოვება იმ მიწებისთვის, რომლებიც მათ აგრარული რეფორმის განხორციელების დროს ჩამოერთვათ (ილიუკსის მაზრის ექვს ვოლოსტში სამ ვოლოსტებზე პოლონეთი პრეტენზიას აცხადებს), სავაჭრო ხელშეკრულების დადება ლატვიასა და პოლონეთს შორის და ლატვიის პოზიცია ვილნოს საკითხში.

„დარბს უნ მაიზე"-ს სიტყვით, ლატვიის მთავრობა მზადაა საგრძნობ დათმობებზე წავიდეს: აუნაზღაუროს ზარალი პოლონელ მემამულეებს, უარი სთქვას თავის პრეტენზიებზე ილუკსის მაზრის 6 ვოლოსტის საკითხში (გამოტოვებულია), მაგრამ სამაგიეროდ მოითხოვს, რათა ლატვიამ სცნოს, რომ ვილნო ეკუთვნის პოლონეთს, ამისთვის ხელშეკრულებას პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლის შესახებ უნდა გაუკეთდეს ისეთი რედაქცია, რომ ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარეობდეს ვილნოს აღიარება პოლონეთის ტერიტორიად. გაზეთი აღნიშნავს, რომ ახლო მომავალში მოელიან შეთანხმების მიღწევას, და კითხულობს — ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ლატვიის მთავრობამ მიიღო პოლონეთის მოთხოვნები ვილნოს საკითხში.

„დარბს უნ მაიზე" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ **„პოლონეთ-ლატვიის ეხლანდელი მოლაპარაკება ნიადაგს უმზადებს პოლონეთის პოლიტიკის გაბატონებას ლატვიაში და მოლაპარაკებას საიდუმლოთ სწარმოებს იმისთვის, რომ ლატვიის მშრომელნი მომხდარი ფაქტის წინაშე დააყენონ.** (ადს).

ოპოზიციონური პარტიების გამარჯვება

ვენა, 20 ნოემბერი. ბელგრადიდან გადმოცემული ცნობების თანახმად, არჩევნები დალმაციის (სამხრეთ-სლავიის ოლქი) მთავარ ქალაქ სპლიტში დასრულდა ოპოზიციონური პარტიების, კერძოდ მუშურ-გლეხური ბლოკის გამარჯვებით. ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ არჩევნების დროს მთავრობამ გააბატონა სასტიკი ტერორი, რომელიც, უპირველესად ყოვლისა, მიმართული იყო მუშურ-გლეხური ბლოკის წინააღმდეგ (ადს).

10 წლის განუწყვეტელი ტერორი

რიგა, 20 ნოემბ. მუშურ-გლეხური პრესის საიუბილეო წერილები ლატვიაში ეხება ერთ თემას—მშრომელთა მდგომარეობას ბურჟუაზიის 10 წლის ბატონობის შემდეგ. ერთი მემარცხენე მუშური გაზეთი სწერს:

„10 წლის განუწყვეტელი ტერორი—ასეთია ლატვიაში თავისუფლება მშრომელ ხალხისთვის. ძირს ყალბი დემოკრატიის იუბილე! **მშრომელი მასებისათვის არ არის და არც შეიძლება იყოს თავისუფლება იქ, სადაც ხელისუფლების სათავეში სდგას შეძლებულთა კლასი. თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებას მშრომელნი უნდა მოელოდნენ, მხოლოდ მუშურ-გლეხური მთავრობისაგან. გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!".** (ადს)

საგანგებო ზომები საიმონის კომისიის დასაცავად

ლონდონი, 20 ნოემბერი. გაზეთების ცნობით, ინდოელმა ბხააჩარჯიმ, რომელიც დაშავდა ყუმბარის აფეთქების დროს ბომბეის ექსპრესში 7 ნოემბერს, გამოტყდა, რომ მას და ორს სხვას განზრახული ჰქონდა აეფეთქებინათ სპეციალური მატარებელი, რომლითაც საიმონის კომისია ბომბეიდან ცუნუში მიემგზავრებოდა.

ინგლის-ინდოეთის მთავრობამ საგანგებო ზომები მიიღო საიმონის კომისიის დასაცავად. (ადს).

რადიკალ-სოციალისტების პარტიაში

პარიზი, 20 ნოემბერი. რადიკალ-სოციალისტების საპარლამენტო ფრაქციის პრეზიდიუმმა დაადგინა, დაიტოვოს უფლება—მისცეს ან არ მისცეს მთავრობას ხმა, ან კიდევ თავი შეიკავოს კენჭის ყრის დროს იმისდამიხედვით, თუ „რამდენად შეეფერებიან ან უახლოვდებიან მთავრობის წინადადებანი პარტიის პროგრამას".

პრეზიდიუმმა დაადგინა, პარტიის აღმასკომის სამართალში მისცეს პარტიის 7 წევრი, რომელთაც ხმა მისცეს წინადადებას მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების შესახებ, და ფრაქციის 7 სხვა წევრი, რომელთაც ნდობის გამოცხადების წინააღმდეგ მისცეს ხმა, მიუხედავად ფრაქციის დადგენილებისა თავის შეკავების შესახებ.

სოციალისტების ორგანოს „პოპულერ"-ის ცნობით, ფრაქციის იმ წევრებმა, რომელთაც რეზოლუციის წინააღმდეგ მისცეს ხმა, განაცხადეს, რომ უარს ამბობენ დაემორჩილონ პრეზიდიუმის გადაწყვეტილებას. უარს ასაბუთებენ იმით, რომ, მათის აზრით, ისინი სასტიკად იცავდნენ რადიკალური პარტიის ანჟერის ყრილობის დირექტივებს. ფრაქციის ეს წევრები აცხადებენ, რომ თუ აღმასკომი ფრაქციის პრეზიდიუმის თვალსაზრისს გაიზიარებს, ისინი გავლენ პარტიიდან და ფრაქციის დანარჩენ 20 წევრთან ერთად დაარსებენ დამოუკიდებელ ჯგუფს (ადს).

უკანასკნელი ცნობები

მეორე ინტერნაციონალმა წევრად არ მიიღო იავორსკის პარტია

ვარშავა, 21 ნოემბერი. იავორსკის ხელმძღვანელობით დაარსებულმა პარტიამ (გამოყოფილმა პოლ. სოც. პარტიიდან) მიმართა თხოვნით მეორე ინტერნაციონალს, რათა იგი მიღებული ყოფილიყო მეორე ინტერნაციონალის წევრად.

მეორე ინტერნაციონალის აღმასკომმა უარჰყო ეს თხოვნა და ამ დადგენილების შესახებ აცნობა პოლონეთის სოციალისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს (ადს).

დრუმონდი ვარშავაში

ვარშავა, 21 ნოემბერი. პრესა დიდ ყურადღებას აქცევს ერთა ლიგის გენერალურ მდივანის დრუმონდის და სამდივნოს პოლიტიკური სექციის უფროსის მოგზაურობას, რომლებიც ვარშავაში ავიდნენ (ადს).

კლამამიუსის არჩევა დამტკიცებულია

პარიზი, 21 ნოემბერი. დეპუტატთა პალატის პრეზიდიუმმა დაამტკიცა კომუნისტ კლამამიუსის მანდატი სენ-დენში შემდგარ დამატებით არჩევნების შემდეგ.

ნდობა მთავრობას

პარიზი, 21 ნოემბერი, რადიკალ-სოციალისტების საპარლამენტო ფრაქციის საერთო კრებამ უარჰყო ფრაქციის პრეზიდიუმის დადგენილება ფრაქციის იმ წევრების პარტიულ სასამართლოში მიცემის შესახებ, რომლებმაც მთავრობისათვის ნდობის გამოცხადებას მისცეს ხმა და ამგვარად დაარღვიეს პარტიული დისციპლინა. კრებამ დაადგინა ფრაქციის ეს წევრები არ მისცეს პარტიულ სასამართლოში (ადს).

ლერონს კვლავ ელიან ბელგრადში

ვენა, 21 ნოემბერი. ზაგრების პრესის ცნობით, ფრანგ გენერალ ლერონს, რომელიც ბუქარესტში იმყოფება, კვლავ მიელიან ბელგრადში სამხრეთ-სლავიის მთავრობასთან მოლაპარაკების განსაგრძობად (ადს).

ბონკურის გადადგომის გამო

პარიზი, 20 ნოემბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

მინისტრთა საბჭომ პოლ ბონკურის გადადგომის გამო ზედმეტად სცნო ამჟამად ერთა ლიგის განიარაღების კომისიაში საფრანგეთის მეორე დელეგატის დანიშვნა. (საფრანგეთის პირველ დელეგატად ითვლება საგარეო საქმეთა მინისტრი).

მზადება ანტისემიტური გამოსვლისათვის

ვენა, 20 ნოემბერი. „კუვანტულ“-ის ცნობით, ავერესკუს კაბინეტის ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა გოგამ და ბრატიანუს კაბინეტის ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ლუპამ დადეს შეთანხმება იმის შესახებ, რომ პარლამენტის არჩევნების დღეს ერთად მოაწყონ ფაშისტური სტუდენტობის ანტისემიტური გამოსვლა (ადს).

რუმინეთის პარლამენტის დათხოვა

ვენა, 20 ნოემბერი. გამოაქვეყნეს დეკრეტი რუმინეთის პარლამენტის დათხოვნისა და ახალი არჩევნების დანიშვნის შესახებ. პალატის არჩევნები დანიშნულია 12 დეკემბრისათვის, სენატის—15 დეკემბრისათვის (ადს).

რუმინეთში

ვენა, 21 ნოემბერი. რუმინეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა სემიგრადის უნგრელი პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მანიუს მთავრობა მზად არის შეუთანხმდეს ეროვნულ უმცირესობებს და სურს მეგობრული ურთიერთობა დაამყაროს უნგრეთთან.

„ვიმედოვნებ, — განაცხადა მინისტრმა, — რომ საალყო წესების გაუქმება სემიგრადიაში უახლოეს ხანში მოხდება“.

„ადევერული“-ს ცნობით, რუმინეთის მთავრობამ ახალი დელეგაცია დანიშნა უნგრეთთან მოსალაპარაკებლად (ადს).

მუშების გამარჯვება

პარიზი, 21 ნოემბერი. ტრამვაელების გაფიცვა ნიცაში, რომელიც თითქმის ორ თვეს გაგრძელდა, მუშების გამარჯვებით დამთავრდა. მებეჭდავთა გაფიცვაც ლილში მუშების გამარჯვებით დამთავრდა. სამუშაო ხელფასი გადიდებულია 5 ფრანკით დღიში (ადს).

ამხ. მახარაძე ბორჯომში

ბორჯომი, 21 ნოემბერი. 21 ნოემბერს ბორჯომში იხსნება სამაზრო პარტკონფერენცია, რომელიც 3—4 დღეს გასტანს. პარტკონფერენციაზე ჩამოვიდა ამხ. მახარაძე. (ადს).

გერმანული სექცია სავაჭრო პალატასთან

მოსკოვი, 21 ნოემბერი. დასავლეთის საკავშირო სავაჭრო პალატასთან გაიხსნა გერმანული სექცია. პალატის გახსნას დაესწრო საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი ამხ. სტომონიაკოვი, საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი ამხ. განეცკი, საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი გერმანიაში ამხ. ბეგე, გერმანიის საელჩოს წარმომადგენელი, ამერიკა-რუსეთის სავაჭრო პალატის ვიცე-პრეზიდენტი სმიტი და სხ. სხდომა გახსნა პალატის საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ხინჩუკმა, რომელიც მიესალმა გერმანიის საელჩოს წევრებს. ამხ. ხინჩუკმა აღნიშნა, რომ სავაჭრო სექცია, რომელიც ეხლა იხსნება, პალატის პირველი სექციაა ევროპაში, რაიც შეეფერება იმ განსაკუთრებულ მდგომარეობას, რომელიც გერმანიას უჭირავს ჩვენს საგარეო ვაჭრობაში და იმ მჭიდრო ეკონომიურ და მეგობრულ ურთიერთობას, რომლებიც აქ ორ ქვეყანას აკავშირებენ. გერმანიამ პირველი ადგილი დაიჭირა ჩვენი საქონლის ბრუნვაში და სწორედ გერმანიას სხვებზე ადვილად შეუძლია განავითაროს საქონლის ბრუნვა საბჭოთა კავშირთან.

„მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ,— სთქვა ამხ. ხინჩუკმა,—რომ უკანასკნელ ხანებში სცდილობენ ჩვენი საგარეო ვაჭ. სამონოპოლიო სისტემას დაუპირდაპირონ ინსტანციები, რომლებსაც შეუძლიათ დააბრკოლონ სავაჭრო ურთიერთობის განვითარება. საბჭოთა კავშირი არ აწესებს განსაკუთრებულ რეჟიმს, რომელიმე ქვეყნისათვის, პირიქით, ის თანაბრად იყენებს ყველა კაპიტალისტური ქვეყნისათვის თავის საერთო რეჟიმს ვაჭრობაში. მე ვფიქრობ, რომ ამ ორი ქვეყნის ვაჭრობის ფორმებისა და სისტემის გაცნობა და უფრო ღრმად შესწავლა ხელს შეუწყობს იმ დაბრკოლებათა თავიდან აცილებას, რომლებიც შეიძლება წარმოიშვან სავაჭრო ურთიერთობის ნორმალური განვითარების გზაზე. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი მუშაობა ჩატარდება გერმანიის დაინტერესებულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ნიადაგზე“.

კრება გაეცნო სექციის სტრუქტურას, რის შემდეგაც მოხდა სექციის ბიუროს არჩევნები. სექციაში შედიან საბჭოთა კავშირის და გერმანიის ორგანიზაციების წარმომადგენლები. (ადს).

თურქეთის ახალი ელჩი საბჭოთა კავშირში

მოსკოვი, 21 ნოემბერი. ამ კვირის ბოლოს მოსკოვში ჩამოდის საბჭოთა კავშირში ახლად დანიშნული თურქეთის ელჩი ვასიფ-ბეი. ვასიფ-ბეი თურქეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი დიდი მოღვაწეა. იგი მხურვალე მონაწილეობას იღებდა სახელმწიფო რეფორმების განხორციელებაში, კერძოდ, ხალიფატის მოსპობასა და ხალიფის განდევნაში (ადს).

ოთხშაბათს, ა. წ. 26 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე
ავლაბრის მუშათა კლუბის შენობაში (კახეთის მოედანი № 1)
შესდგება
საქართველოს კომპარტიის (ბ) თბ. ორგანიზაციის
26 კომუნარის სახელობის რაიკომის
მე-IX პარტკონფერენცია
დღის წესრიგი:

1) საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას მოხსენება საქართველოს კომპარტიის ამოცანების შესახებ.
2) რაიკომის ანგარიში, ლენინურ კომკავშირის რაიკომის თანამოხსენება, სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3) კულტურულ მშენებლობის შესახებ.
4) რაიკომის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.
5 დელეგატების არჩევა თბილისის პარტკონფერენციაზე

დელეგატებს მანდატების მიღება შეუძლიათ რაიკომში დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3½ საათამდე.

რაიკომის მდივანი ტერ-ვართანოვი.

თათბირი ეკონომიური მუშაობის შესახებ

მოსკოვი, 21 ნოემბერი. დამთავრდა სრულიად საკავშირო თათბირი პროფკავშირების ეკონომიური მუშაობის შესახებ. იგი თავის რეზოლიუციებში პროფორგანიზაციების ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ მათ იბრძოლონ საწარმოო თათბირებზე მიღებულ წინადადებათა შესრულებისათვის. ამ მიზნისათვის გამოყენებულ უნდა იქნან მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოები.

საწარმოო თათბირებზე განსახილველად უნდა დაისვას საკონტროლო ციფრები და სამრეწველო-საფინანსო გეგმები ცალკე კონკრეტული საკითხების სახით. ამასთან ეს საკითხები წინასწარ უნდა იქნას დამუშავებული საწარმოო კომისიებში და დროებით საკონტროლო კომისიებში. პროფორგანიზაციებმა უნდა გამოიყენონ მუშების მისწრაფება კვალიფიკაციის აწევისაკენ. პროფორგანიზაციების ამოცანას ამ დარგში შეადგენს ის, რომ განუმარტონ მუშათა მასებს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის მნიშვნელობა. (ადს).

პროფესორ ბარდახის იუბილე

ოდესა, 21 ნოემბერი. სამეცნიერო-საექიმო წრეებმა აღნიშნეს თვალსაჩინო მეცნიერ ბაქტერიოლოგის პროფესორ ბარდახის იუბილე. იუბილიარი პასტერისა და მეჩნიკოვის მოწაფეა. მეჩნიკოვთან ერთად ბარდახმა ოდესაში მოაწყო პირველი ბაქტერიოლოგიური სადგური რუსეთში. 25 წლის განმავლობაში ბარდახი განუწყვეტლივ ხელმძღვანელობდა ოდესის სასწრაფო დახმარების სადგურს. ეს სადგური თვითონ მან მოაწყო. ქალაქის საბჭომ გაითვალისწინა ბარდახის დამსახურება და შუამდგომლობა აღძრა სრ. უკრაინის აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე იმის შესახებ, რომ ბარდახს მიეკუთვნოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის სახელწოდება. იუბილიარმა მიიღო აურაცხელი მისალმება საბჭოთა კავშირის და უცხოეთის სამეცნიერო და საექიმო დაწესებულებებისაგან, აგრეთვე საბჭოთა და უცხოეთის მეცნიერთაგან. (ადს).

შავრაზმელთა მახინაციები

კიევი, 21 ნოემბერი. კიევის ოლქის პროფკავშირთა ყრილობაზე საოლქო პარტკომის მდივანმა ამხ. დემჩენკომ გააკეთა მოხსენება საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და შინაური მდგომარეობის შესახებ. სხვათა შორის იგი შეეხო საბჭოთა ხელისუფლების მტრების მახინაციებს. კერძოდ შეეხო პოლონეთში მყოფი ემიგრანტების ოინებს და იმ დახმარებას, რომელსაც იღებენ საბჭოთა კავშირის მტრები კიევის ოლქის ტერიტორიაში მცხოვრებ მეცნიერთა ერთი ჯგუფისაგან.

„საქმე შეეხება—ამბობს ამხ. დემჩენკო—უკრაინელი და რუსი შავრაზმელი აკადემიკოსების ბლოკის ანტისაბჭოთა გამოსვლებს. ამ შავრაზმელთა აკადემიკოსებმა განიზრახეს გაელაშქრნათ იმ ღონისძიებების წინააღმდეგ, რომლებსაც ღებულობს საბჭოთა ხელისუფლება საბჭოთა მეცნიერების განვითარებისათვის.

განსაკუთრებით აღსანიშნავია აკადემიკოს ეფრემოვის წერილი, რომელიც დაიბეჭდა ლვოვის გაზეთ „დილო“-ში. ამ წერილში ეფრემოვი ცილსა სწამებს საბჭოთა ხელისუფლებას და სცდილობს შექმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს „უკრაინის ხალხი“ უკმაყოფილოა ბოლშევიკებისა. ამით ეფრემოვი ხელს უწყობს მსოფლიო იმპერიალიზმს. განსაკუთრებულად გამწვავებულ მომენტში როდესაც ომის საფრთხე კონკრეტულად წამოიჭრა, ეფრემოვი გზავნის გერმანიაში დასაბეჭდათ თავის წერილს „უკრაინის ლიტერატურის ისტორია“. ამ წერილში, სხვათა შორის, არის ასეთი ადგილი: „საბედნიეროდ, იმათ გარდა (ე. ი. პროლეტარული მწერლების გარდა), არის მრავალი ნამდვილი უკრაინელი მწერალი. ისინი მუშაობენ საშინელი უუფლებობისა და თვითნებობის პირობებში რაც ამახინჯებს ნიჭსო“.

აი როგორ ახასიათებს „მეცნიერთა“ ბლოკის ერთ-ერთი წარმომადგენელი უკრაინის ლიტერატურას, რომელსაც განვითარების საშუალება მიეცა მხოლოდ იმ ღონისძიებების მეოხებით, რომლებსაც ანხორციელებს საბჭოთა ხელისუფლება ნაციონალური პოლიტიკის დარგში. საბჭოთა კავშირის და პირველ რიგში უკრაინის პროლეტარიატმა გადაჭრით უნდა უკუაგდოს მსოფლიო იმპერიალიზმის ლაქიების—იუზეფსკებისა და ჩვენი ეფრემოვების—საზიზღარი ცდები (ადს).

მოითხოვენ ხულიგან-ანტისემიტების სასტიკად დასჯას

მინსკი, 21 ნოემბერი. მხეცური წამება მინის ქარხნის „ოქტომბრის“ ებრაელი მუშაქალისა კვლავ აღელვებს ბელორუსიის პროლეტარულ საზოგადოებრივობას. წარმოებებიდან მრავალი პროტესტი მოდის, მოითხოვენ დამნაშავეთა სასტიკად დასჯას. ქიმიკოსთა კავშირის გამგეობის პლენუმის სხდომაზე „ოქტომბრის“ საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ თავის მოხსენებაში განაცხადა, რომ საქარხნო კომიტეტმა არ იცოდა, რომ ქარხანაში იყვნენ ხულიგანი— ანტისიმიტები ამიტომ მე, ყურადღება არ მიმიქცევია მუშაქალის შესახებ შემოსულ განცხადებისათვისო. საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებამ ააშფოთა პლენუმი. პლენუმმა დაადგინა, მოხსნას სამუშაოდან „ოქტომბრის“ საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე, დაშალოს საქარხნო კომიტეტი, გამორიცხოს ხულიგანი ოსტატები კავშირიდან, მოხსნას ქარხნის დირექტორი მასლოვსკი და მოითხოვოს დამნაშავეთა უსასტიკესი დასჯა. ბელორუსიის ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ „ოქტომბრის“ ქარხანაში მომხდარი შემთხვევის გამოსარკვევად გაგზავნა სპეციალური კომისია. ბობრუისკის საოლქო კომიტეტმა დაადგინა, მოხსნას სვისლოჩის რაიპარტკომის მდივანი, რომელიც ხელმძღვანელობდა მუშაობას „ოქტომბერში“. (ადს).

მოჭადრაკეთა საკავშირო შეჯიბრება

მოსკოვი, 21 ნოემბერი. მოჭადრაკეთა საკავშირო შეჯიბრება დამთავრდა, რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის მოჭადრაკეთა ჩემპიონატში გაიმარჯვა იზმაილოვმა (ტომსკი). მოჭადრაკეთა საკავშირო ტურნირში პირველი ადგილი დაიჭირა მაესტრო გრიგორიევმა (მბეჭდავი), მეორე—ზუბარიოვმა (საბჭოთა მოსამსახურე), მესამე და მეოთხე—როგოზინმა (გემოკვების კავშირი) და როზენტალმა (მედსანშრომის კავშირი) და მეხუთე ილინ-ჟენევსკიმ (განათლების მუშაკთა კავშირი) (ადს).
შავრაზმელთა მახინაციები. ცსუვუ კლბთრ

თბილისის წყალსადენი

მოსკოვი, 21 ნოემბერი. სახ. საგეგმო კომისიამ შრომისა და თავდაცვის საბჭოს წარუდგინა განმარტებითი ბარათი თბილისის წყალსადენის მშენებლობის შესახებ.

ბარათში აღნიშნულია ძველი წყალსადენის განახლების მიზანშეუწონლობა, რადგან იგი დაძველდა, მის შეკეთებას დიდი ხარჯი სჭირდება და წყლის თვითღირებულება დიდია (100 ვედრო წყალი 41 კაპ.).

რენტაბელობა კი ახალი წყალსადენისა, რომელიც ქალაქს იაფად მიაწვდის კარგს წყალს (100 ვედრო 8 კაპ.), საკმაოდ დასაბუთებულია. ახალი წყალსადენის გაყვანის პროექტი სპეციალურმა ექსპერტიზამ მოიწონა.

პირველი რიგის მუშაობა, რაც თბილისის მოთხოვნილებას უზრუნველჰყოფს 10-15 წლით, წინასწარი ანგარიშით 10 ნახევარ მილიონ მანეთად დაჯდება.

საკავშირო სახ. საგეგმო კომისია პრინციპიალურად მოზხრეა, რომ გაყვანილ იქნას ახალი წყალსადენი.

სახელმწიფო საგეგმო კომისიას საჭიროდ მიაჩნია, რომ ცეკობანკმა მონაწილეობა მიიღოს მშენებლობისთვის ფინანსების მიწოდების საქმეში (ადს).

საშეფო მუშაობის მტკივნეული საკითხები

ამხ. რუბენის მოხსენება

გუშინ, საღამოს, რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში შესდგა ქალაქისა და სოფლის კავშირის საზ-ბის აქტივის საერთო საქალაქო კრება. სოფლად პარტიული მუშაობის და საშეფო საზოგადოების მორიგი ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. რუბენი.

თავისი მოხსენების დასაწყისში ამხ. რუბენი ეხება საშეფო მუშაობის საერთო მდგომარეობას და აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ საშეფო საზოგადოებები უკვე რამდენიმე წელია არსებობენ და, მიუხედავად იმისა, რომ ამ საზოგადოებათა მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოფლისა და ქალაქის დაკავშირებისათვის—დღემდე საშეფო საზოგადოებებზე მაინც ზერელე შეხედულება არსებობს და მათ ისე უცქერიან, როგორც სასხვათაშორისო ორგანიზაციებს. საბჭოთა საზოგადოებრიობის სინამდვილეში, ჯერ კიდევ არა აქვს ღირსეული ადგილი დათმობილი საშეფო მუშაობას.

— შეფობის სისტემა,—არის სისტემა მუშათა კლასის გასვლისა ხალხში. შეფობის სისტემა საუკეთესო იარაღია ჩვენი კულტურულად ჯერ კიდევ დაბალ საფეხურზე მდგომი სოფლის დაწინაურებისათვის. მე-15 პარტყრილობამ სწორად აართვა ალღო ჩვენი სოფლის მდგომარეობას და ჩვენ ვიცით, რომ აღნიშნული ყრილობის დადგენილებებში უდიდესი ადგილი აქვს დათმობილი საშეფო მუშაობას. საშეფო საზოგადოებების მუშაობაში ფართოდ უნდა იქნენ ჩაბმული ქალაქის მშრომელთა მასები.

ბიუროკრატიზმი საშეფო საქმის დამღუპველი მოვლენაა და მის წინააღმდეგ უსასტიკესი ზომები უნდა იქნეს მიღებული. დღემდე ჩვენ საშეფო ორგანიზაციებს კიდევ ვერ გაუნთავისუფლებიათ თავი ისეთი უარყოფითი მოვლენისაგან, როგორიცაა ფართო მასების აქტიურად მონაწილეობის გარეშე მუშაობა. საშეფო საზოგადოებების წევრთა რიცხვი ათასეულებს აჭარბებს, ხოლო პრაქტიკულ საშეფო მუშაობაში ჩაბმული არიან ათეული და ხშირად უფრო ნაკლები რიცხვის მუშაკები.

საშეფო მუშაობის ერთ უმთავრეს ამოცანას,—განაგრძობს მომხსენებელი,—შეადგენს ის, რომ მან ხელი შეუწყოს სოფლად იმ ლოზუნგების გადატანას და იმ იდეების განხორციელებას, რომელსაც იძლევა კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელი ორგანოები. დღემდე ამ მხრივ საშეფო ორგანიზაციების მუშაობა სუსტად მიმდინარეობდა. საშეფო ორგანიზაციები ხშირად სხვას აკეთებდნენ, ხოლო პარტიის ხაზი სხვა იყო. უკანასკნელ ხანებში ამ მხრივ, მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოსწორდა, მაგრამ გამოსასწორებელიც ბევრი რამ დარჩა.

შემდეგ მომხსენებელი ეხება კულტურული რევოლიუციის საკითხებს სოფლად და განმარტავს, რომ სოფლად კულტურული რევოლიუციის ერთ-ერთი მთავარ გამტარებლად უნდა იყვნენ საშეფო საზოგადოებები.

— კულტურული რევოლიუციის შესახებ დიდი ხმაურია, მაგრამ მითხარით—რა გააკეთეს საშეფო ორგანიზაციებმა სოფლად კულტურულ რევოლიუციის მოსახდენად? რამდენ უცოდინარს შეასწავლეს წერა-კითხვა, რამდენა კოლექტიური მეურნეობა მოაწყვეს და რა გააკეთეს პრაქტიკულად ისეთი, რასაც გლეხი იგრძნობს, რაც გლეხს ესაჭიროებოდა? ჩვენი საშეფო ორგანიზაციები, კერძოდ თბილისის საშეფო საზოგადოებაც, მუდამ იმის საყვედურში არიან, რომ საკმაოდ თანხები არა აქვთ. რა თქმა უნდა, თანხები საჭიროა, მაგრამ იმ თანხებით, რაც მოიპოვება საშეფო ორგანიზაციების განკარგულებაში, გაკეთდა თუ არა არსებითად მიზანშეწონილი და ღარიბი გლეხისათვის საგრძნობი საქმე. ჩვენი მიზანი არის და ამით უნდა იხელმძღვანელონ საშეფო ორგანიზაციებმაც, რომ თვითეული კაპიკს, რომელსაც ხარჯავს საშეფო ორგანიზაცია სოფლად, მოჰქონდეს მანეთის სარგებელი ღარიბი გლეხისათვის.

საშეფო მუშაობის მორიგ ამოცანებათ მომხსენებელი ასახელებს—მუშაობას სოფლად დაქუცმაცებული მეურნეობების გასაერთიანებლად, საერთოდ კოლექტივიზაციის იდეის პოპულიარიზაციას ღარიბ გლეხობაში, შეტევის გაძლიერებას სოფლად კაპიტალისტურ ელემენტებზე (კულაკობის წინააღმდეგ ღარიბი გლეხების დარაზმვას და საშუალო შეძლების გლეხების გადმობირებას ღარიბი გლეხობისაკენ) იურიდიული, სამკურნალო და სხვა სახის დახმარებების გაძლიერებას ღარიბი გლეხობისათვის, სოფლად მახინჯი მოვლენების და ბოროტმოქმედებების წინააღმდეგ ბრძოლას თვითკრიტიკის საფუძველზე და სხვ.

საშეფო მუშაობის ამოცანები

(რეზოლიუცია ამხ. რუბენის მოხსენების გარშემო)

მოისმინა რა ამხ. რუბენის მოხსენება სოფლად პარტიის მუშაობის და საშეფო საზოგადოებათა მორიგი ამოცანების შესახებ, თბილისის საშეფო აქტივი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ ხანებში პარტიის წინაშე წამოიჭრა სიძნელენი იმ გენერალური ხაზის გატარების დროს, რომელიც მე-15 პარტყრილობამ დასახა სოფლის სოციალისტურ ნიადაგზე გარდაქმნის დარგში.

ძირითად სიძნელეს წარმოადგენს სოფლის კულაკური ელემენტების აქტიობის ერთგვარი ზრდა, ამ ელემენტების შეტევა გლეხობის ღარიბ-საშუალო ფენების წინააღმდეგ და მათი გავლენის გაძლიერება საშუალო გლეხობაზე.

ყველა ეს სიძნელენი გამოაშკარავდა სოფლად პარტიის პრაქტიკული მუშაობის პროცესში, იმ მუშაობის, რომელიც სწარმოებს წვრილი გლეხური მეურნეობის გარდაქმნისათვის მსხვილ კოლექტიურ განსაზოგადოებულ მეურნეობად. სწორედ ამიტომ საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობამ პარტიული ორგანიზაციებისა და მუშათა კლასის წინაშე დასვა ერთის მხრით კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების განვითარების და მეორეს მხრით კულაკის წინააღმდეგ გაძლიერებული ბრძოლის ამოცანა.

ახალი მოვალეობანი, რომლებიც მუშათა კლასს ეკისრება, განსაკუთრებით დიდ მოთხოვნებს უყენებს საშეფო მოძრაობას, როგორც ისეთ მოძრაობას, რომელიც მასიურ ფორმას წარმოადგენს სოფლად მუშაობაში მუშების პრაქტიკული მონაწილეობისათვის.

აქტივი აღნიშნავს „საშეფო ორგანიზაციების მუშაობის მნიშვნელოვნად დაცემას უკანასკნელი 1 ნახევ. 2 წლის განმავლობაში: აშკარად საკმაო არაა მასიურობა საშეფო მუშაობაში და წარმოების მუშათა ცოცხალი კავშირი საშეფო სოფლების გლეხობასთან, სუსტია პარტიული ხელმძღვანელობა საშეფო მოძრაობაზე; პროფკავშირები თითქმის არავითარ მონაწილეობას არ იღებენ ამ მოძრაობაში; თვით საშეფო მუშაობაში ადგილი აქვს ბიუროკრატიზმს, მუშათა ფართო მასების ყურადღების მოდუნებას შეფობისადმი, თვით საშეფო მუშაობა არ არის შეფარდებული პარტიის მიერ დასახულ ამოცანებთან, რაიც იწვევს მუშათა შეფობის, როგორც კომუნისტური იდეების გამტარებლის და სოფლის სოციალისტურ ნიადაგზე გარდამქმნელის, პოლიტიკურ როლის შემცირებას“ (ცეკას სოფლად მომუშავე განყოფილების და ცენტრ. საშეფო კომისიის 1928 წ. ნოემბრის დადგენილებიდან). თუმცა შეფობის მდგომარეობა თბილისში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, მაგრამ თბილისის საშეფო აქტივი ასეთ მდგომარეობას მაინც სავსებით დაუშვებლად სთვლის.

აუცილებელია ეხლავე მოხდეს გადამჭრელი გარდატეხა საშეფო მუშაობის მდგომარეობაში და პარტიული, პროფკავშირთა, კომკავშირთა ორგანიზაციების და მთელი საზოგადოებრივი აზრის მისდამი დამოკიდებულებაში.

თბილისის საშეფო აქტივი სცნობს, რომ იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც მუშათა კლასის წინაშე დგანან სოფლის მშენებლობის დარგში, აუცილებელია საშეფო საზოგადოებაში ჩავაბათ მუშათა და მშრომელთა ახალი კადრები. ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მუშა-ქალთა და ახალგაზრდათა ჩაბმას ამ საქმეში და აუცილებლად უნდა იქნას ცნობილი ორგანიზაციის წევრთა ჩაბმა ქალაქის და სოფლის პრაქტიკულ მუშაობაში.

საშეფო საზოგადოებათა მორიგ და ცენტრალურ ამოცანას სოფლად წარმოადგენს ფართო მონაწილეობა ღარიბთა ჯგუფებთან მუშაობაში საბჭოების მომავალ არჩევნებში. საშეფო საზოგადოებებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ღარიბთა ჯგუფების შემოწმებაში, ყოველმხრივ უნდა შეუწყონ ხელი სოფლის კოლექტიურ მეურნეობის განვითარებას, კოოპერაციაში მასიურად შეკავშირების ნიადაგზე.

ამასთანავე შეფის მთავარ ყურადღებას უნდა იქცევდეს სოფლის საერთო კულტურული წინსვლის ამოცანები და, პირველ ყოვლისა, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

ბოლოს, ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებთან ერთად შეფები თვითკრიტიკის ორგანიზატორები უნდა იყვნენ ბიუროკრატიულ სიმახინჯეთა და სოფლად პარტიული ხაზის გამრუდების წინააღმდეგ, აგრეთვე მათ თაოსნობა უნდა გამოიჩინონ კულაკებთან ბრძოლაში.

აქტივი აღნიშნავს, რომ ჩამოთვლილ ამოცანათა განხორციელება მოითხოვს შეფობის უდიდეს გაუმჯობესებას, რომელიც განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დიდ ენერგიას გამოიჩენენ როგორც თვით საშეფო საზოგადოებანი, ისე პარტიული და საბჭოთა საზოგადოებრივობის, პროფკავშირების და პრესის ყველა ძალები.

თბილისის შეფაქტივი მოუწოდებს ქალაქისა და სოფლის კავშირის თბილისის საზოგადოების წევრებს და თბილისის მუშებს, რათა მათ ყოველგვარი ღონე იხმარონ, რომ მოისპოს კრიზისი საშეფო მოძრაობაში, სათანადო დონეზე დადგეს მუშათა შეფობა და ამით უზრუნველყოფილ იქნას მუშათა კლასის უძნელესი ამოცანების გადაჭრა.

ამავე დროს თბილისის შეფაქტივი ავალებს ქალაქისა და სოფლის კავშირის საზოგადოების თბილისის საბჭოს, რომ მან სათანადო ორგანიზაციების წინაშე შემდეგი საკითხები დააყენოს; ეს საკითხებია:

ა) იმ პრაქტიკულ ღონისძიებათა და მეთოდების დამუშავება, რომელთა საშუალებითაც საქართველოს პროფსაბჭომ ხელი უნდა შეუწყოს ქალაქისა და სოფლის კავშირის თბილისის საზოგადოების მუშაობას ც. კ.-ის სოფლად მუშაობის განყოფილებისა და ცენტრალური ფართო კომისიის ნოემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე.

ბ) გამოცემა პოპულიარული საშეფო ლიტერატურისა, რომელიც უნდა დაეხმაროს საშეფო საზოგადოებათა წევრებს (შეფმუშაკის ბიბლიოთეკა), გამოცემა საშეფო აგიტ-მასალისა (პლაკატი, კინო და სხვ.); აგრეთვე შეფობის საკითხების გაშუქება პრესაში.

გ) პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელება სახსრების გამოსაძებნად (კავშირის კვირეული, ზედმეტი ნამუშევრები, შაბათობანი და სხვ.) საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის სოფლად მუშაობის განყოფილების გადაწყვეტილების საფუძველზე.

ამასთანავე ერთად აქტივი ავალებს ქალაქისა და სოფლის კავშირის თბილისის საზოგადოებას, რომ მან საქალაქო კონფერენციის მოწვევამდე მოაწყოს რაიონებში აქტივის კრებები, სადაც განხილულ უნდა იქნას ქალაქისა და სოფლის კავშირის საზოგადოების კონკრეტული ამოცანები, კერძოდ, განხილულ უნდა იქნას საბჭოების არჩევნებში და ღარიბთა ჯგუფების შემოწმებაში მონაწილეობის საკითხები.

პარტიაში

საზოგადოება „წერა-კითხვა-“ს კვირეული

საქ. კ. პ. (ბ) ყველა სარაიონო, სამაზრო და საოლქო კომიტეტებს

სრულიად საქართველოს საზოგადოება „წერა - კითხვა“ 24-დან 30 ნოემბრამდე ატარებს კვირეულს, რომლის მიზანია:

ა) მშრომელთა ფართო მასებში საზ-ბის იდეის და ამოცანების პოპულიარიზაცია და ამ მასების ჩაბმა საზ-ბაში წევრების სახით;

ბ) „წერა - კითხვა“-ს უჯრედების ორგანიზაციული განმტკიცება და გამოცოცხლება ადგილებზე;

გ) ნივთიერ საშუალებათა გამონახვა.

აკუთვნებს რა დიდ მნიშვნელობას საზ-ბა „წერა - კითხვა“-ს მუშაობის გაძლიერებას წ. კ. უცოდინარობასთან ბრძოლის დარგში, რაც მეტ წილად, დაკავშირებულია კვირეულის წარმატებით ჩატარებასთან — ცენტრალური კომიტეტი წინადადებას იძლევა ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინოთ ხსენებულ საზ-ბას.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. მდივანი
მ. კახიანი.

აგიტპროპ ბეჭდვითი განყ. გამგის
თანაშემწე აგიტაციის დარგში:

მემარცხენე საფრთხის წინააღმდეგ

ბაქო, 21 ნოემბერი. პარტიაში არსებულ მემარჯვენე საფრთხისა და მასთან შემორიგებლობას წინააღმდეგ ბრძოლა ფართოდ გაივითარდა აზერბეიჯანის მაზრებში, ის ყველაზე შორეულ მაზრებსაც კი მოედო.

ადგილობრივი ორგანოების ერთსულოვანი მოთხოვნილება გადახრისა და მერყეობის მოსპობის შესახებ პარტიაში, იმას ადასტურებს რომ „უკლონისტების“ რიცხვი მაზრებში თითებზე ჩამოითვლება.

— ულმობელი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ ანტილენინური ოპორტუნისტული მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ და ამავე დროს ბრძოლა არ უნდა შევანელოთ ტროცკიზმის ნაშთებთან,—ამბობს განჯის სამაზრო კომიტეტის პლენუმის რეზოლიუცია.

განჯის უჯრედებში მემარჯვენე საფრთხესთან ბრძოლის საკითხების განხილვის დროს დიდის კმაყოფილებით შეხვდნენ და მოიწონეს საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის ღონისძიებები და მოსკოვის კ.-ისა და მოსკოვის საკონტრ. კომისიის პლენუმის ღონისძიებანი.

სასოფლო უჯრედები, გარდა სოფ. ბაიანის რამდენიმე პარტიულისა, ყველგან მოითხოვენ გადამწყვეტ ბრძოლას პარტიაში არსებულ გადახრებისა და მერყეობის წინააღმდეგ.

მთელი პარტია გაბედულად უნდა შეებრძოლოს მემარჯვენე გადახრას და მასთან შემორიგებლობას, როგორც თავის დროზე შეებრძოლა ტროცკიზმს, ამბობს ჯებრაილის სამაზრო კომიტეტის რეზოლიუცია.

„სასტიკი ბრძოლა გამოუცხადოთ მემარჯვენე გადახრას. ვამხილოთ იგი მასებში, ისევე, როგორც ტროცკიზმს ვამხილეთ. პარტიაში ადგილი არ უნდა ჰქონდეთ გადახრებს, მერყეობას და ქანაობას“—ამბობს ნახიჩევნის პარტაქტივი კომკავშირის აქტივთან ერთად.

მკაცრად ჰგმობს მემარჯვენე გადახრას სტეპანაკერტის (მთიანი ყარაბაღი) კომკავშირელთა და პარტიული აქტივი და მოითხოვს, რომ მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლის საკითხი ფართოდ იქნას განხილული უჯრედებში და დეტალურად დამუშავდეს პოლიტწრეებში და პოლიტსკოლებში. მთიან ყარაბაღის სარაიონო პარტკონფერენციებიც ერთსულოვნად ილაშქრებენ მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ.

ნუხის მაზრიდან, ყაზახიდან, ტაუზიდან ალსტაფიდან და აზერბეიჯანის მრავალ სხვა რაიონიდანაც მოსულია აგრეთვე რეზოლიუციები, რომლებშიაც ორგანიზაციები მოითხოვენ ბრძოლას მემარჯვენე გადახრისა და ტროცკისტული ოპოზიციის ნაშთების წინააღმდეგ და უერთდებიან საკავშირო კომპარტიის (ბ) მიმართვას მოსკოვის ორგანიზაციისადმი (ადს).

ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის პლენუმი

20 ნოემბერს, განათლების მუშაკთა სახლის დიდ დარბაზში გაიხსნა ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის გაფართოებული პლენუმი რაიკომების მდივნებთან და ქალაქის აქტივთან ერთად.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე—ა. ლ. კ. თბილისის ორგანიზაციის ამოცანები—კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის გამოკვლევის შედეგებთან დაკავშირებით—მოხსენებას აკეთებს ამხ. ერ. ახრიბეკოვი.

კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის გამოკვლევა ჩვენს წინაშე აყენებს მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ და პრაქტიკულ საკითხებს. როგორც აღნიშნა კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმმა კომკავშირის თბილისის კომიტეტის მოხსენების ირგვლივ, ორგანიზაციას აქვს ზოგიერთი მიღწევაც.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის ორგანიზაცია მტკიცე და ჯანსაღია; ამჟამად კომკავშირის თბილისის ორგანიზაცია კანდიდატებთან ერთად 19.000 წევრისაგან შესდგება, ორგანიზაცია გაიზარდა რიცხვობრივად და თვისობრივად. ორგანიზაციამ დიდი მუშაობა შეასრულა ლენინური კავშირის სწორი ხაზიდან გადახრების წინააღმდეგ ბრძოლაში. თბილისის ორგანიზაციამ თავის დროზე მიაქცია ყურადღება მემარჯვენე საფრთხესთან ბრძოლასაც; საბჭოთა მშენებლობის პრაქტიკულ საქმიანობაში ქალაქად და სოფლად კომკავშირმა გამოიჩინა დიდი აქტივობა; უკანასკნელი წლის განმავლობაში უფრო მეტად განმტკიცდა და გამაგრდა მისი ლენინური რიგები.

ამ მიღწევებთან ერთად უნდა აღინიშნოს ნაკლიც, რომლის გამოსწორება აუცილებელია მომავალ მუშაობში.

ის ამოცანები, რომლებიც დასახა კომკავშირის საკავშირო მე-8-ე ყრილობამ, თბილისის ორგანიზაციის მიერ არ არის შესრულებული. ხელმძღვანელობის სისტემა და მუშაობის ფორმები და მეთოდები არ არის შეფარდებული ა. ლ. კ. კ. წევრთა კულტურულ პოლიტიკურ მოთხოვნილებებთან. ამ მხრივ არ არის შესრულებული კ. პ. (ბ) მე-15 ყრილობის დადგენილება მაკრატელის „დოკეტის“ შესახებ. თბილისის ორგანიზაციის აპარატში და კომკავშირის აქტივში აქვს ადგილი ბიუროკრატიზმსაც. აქედან ნათელია, რომ მომავალში თბილისის ორგანიზაციამ უნდა შესცვალოს მუშაობის ფორმები და მეთოდი მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობის მოთხოვნილების ზრდასთან შეფარდებით. ორგანიზაციის ძველი აქტივი უკვე ჩამოშორდა. საჭიროა ახალი აქტივის წამოწევა და მომზადება. ეს საქმე დღემდი სუსტათ არის დაყენებული. სოფლის ზოგიერთ უჯრედებზე გაძლიერდა კულაკური გავლენა. ღარიბთა და მოჯამაგირეთა შორის მუშაობა მოისუსტებს, არ ექცევა ყურადღება მათ ჩაბმას ორგანიზაციის რიგებში.

მუშა-ახალგაზრდობის საწარმოო და პროფტეხნიკური განათლების საქმე საგრძნობლად მოისუსტებს. ამაში დანაშაული მარტო კომკავშირს არ მიუძღვის. თვითკრიტიკის საკითხების დამუშავებას ორგანიზაციამ ნაკლები ყურადღება მიაქცია. მომავალში უნდა გავაძლიეროთ მუშაობა ახალგაზრდობის ინტერნაციონალისტურად აღსაზრდელად და მასში ყოველგვარ ნაციონალისტურ-ბურჟუაზიულ იდეოლოგიის აღმოსაფხვრელად. საჭიროა განუწყვეტელი ბრძოლა ტროცკისტულ ოპოზიციის ნაშთებთან და ორგანიზაციის მთელი ყურადღების მობილიზაცია მემარჯვენე გადახრების და მასთან შემარიგებელთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამხ. ახრიბეკოვის მოხსენების შემდეგ პლენუმმა მოისმინა კომ. თბილისის კომიტეტის მდივნის ამხ. აზარაშვილის მოხსენება თბილისის ორგანიზაციის მუშაობის შესახებ.

მემარჯვენე გადახრის საფრთხე კომკავშირში

ისეთი დიდად მნიშვნელოვანი დოკუმენტები, როგორიცაა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მიმართვა მოსკოვის ორგანიზაციისადმი, საკავშირო კომპარტიის (ბ) მოსკოვის კომიტეტის რეზოლიუცია და შემდეგ როგორც ქვედა საფეხურის ორგანიზაციების (მოსკოვის ორგანიზაციის უჯრედები), ისე ხელმძღვანელი ორგანიზაციების (საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას წერილები პარტუჯრედების ბიუროების გადარჩევის კამპანიის შესახებ) რეზოლიუციები და პარტიის წევრთა მასებისა და მუშათა კლასისადმი მიმართული ოფიციალური წერილები. უკვე საკმაოდ ცნობილნი არიან ჩვენი პარტიის წევრთა ფართო მასისათვის. ამიტომ, როდესაც ვლაპარაკობთ ჩვენს პარტიაში არსებულ მემარჯვენე გადახრაზე, არ შეგვიძლია გვერდი ავუხვიოთ ხსენებულ დოკუმენტებს, გვერდი ავუხვიოთ იმ კურსს, რომელიც დაგვისახა პარტიის მე-15 ყრილობამ და რომელსაც პარტია ასე მტკიცედ იცავს.

კომკავშირი მთელი თავისი არსებობის განმავლობაში არასოდეს არ, დგებოდა ნეიტრალურ პოზიციაზე ისეთ მომენტში, როდესაც პარტიაში ისახებოდა შინაგანი ხასიათის წინააღმდეგობანი. საკმაოა გავიხსენოთ კომკავშირის დამოკიდებულება ჯერ ტროცკისტულ ოპოზიციასთან, ხოლო შემდეგ გაერთიანებულ ოპოზიციასთანაც და საქართველოს კომკავშირის დამოკიდებულება საქართველოს კომპარტიაში არსებულ უკლონიზმთან, რომ თვალსაჩინოდ დავრწმუნდეთ, თუ რამდენად უნიადაგოა ის შეხედულება, თითქოს კომკავშირი ნეიტრალურ პოზიციაზე დგას პარტიაში არსებულ პრინციპიალურ შეხედულებათა სხვადასხვაობის საკითხში.

სხვანაირად არც შეიძლება იყოს, ვინაიდან თვით ის პრინციპიალური გზა, რომელიც საფუძვლად უდევს კომკავშირის ორგანიზაციის არსებობას, გულისხმობს, რომ კომკავშირი წარმოადგენს მუშური ახალგაზრდობის აღმზრდელ აქტიურ პოლიტიკურ ორგანიზაციას, და ამავე დროს ის არის ბოლშევიკური პარტიის იარაღი მისი გავლენის გასავრცელებლად მშრომელთა ფართო მასებში, და რეზერვი პარტიის რიგების შესავსებად მისი პრინციპების მიხედვით აღზრდილი ახალგაზრდა კადრებით.

აქედან უკვე ცხადია, რომ კომკავშირს, როგორც პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელსაც უშუალოდ ხელმძღვანელობს პარტია (ამასთანავე როგორც პარტიის უახლოეს თანაშემწეს), არ შეუძლია არ იყოს პარტიის პოლიტიკურ ცხოვრების აქტიური მონაწილე. მას არ შეუძლია აქტიური მონაწილეობა არ მიიღოს პოლიტიკურ ცხოვრებაში აგრეთვე იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი გადამჭრელ როლს თამაშობს პარტიის შემცვლელი თაობის — კომკავშირის მასების ჭეშმარიტ ბოლშევიკურ აღზრდაში. ეხლანდელ კონკრეტულ პირობებშიაც, როდესაც პარტია რაზმავს თავის რიგებს გადამჭრელი შეტევისათვის მის შიგნით არსებული ოპორტუნისტული ელემენტების წინააღმდეგ, მისი გენერალური ხაზიდან გადახვევის ტენდენციების და ამ ტენდენციებთან შემარიგებელი განწყობილების წინააღმდეგ, კომკავშირს უნდა გამოეთქვა თავისი დამოკიდებულება იმ პროცესებთან, რომლებსაც ამჟამად ადგილი აქვს პარტიაში. ასეც მოიქცა ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის ცეკას მე-2 პლენუმი, რომელმაც მიიღო სავსებით გარკვეული რეზოლიუციები ამ საკითხზე (იხ. ახალგაზრდა ლენინური კომკავშირის ცეკას მე-2 პლენუმის რეზოლიუცია ამხ. კაგანოვიჩის საინფორმაციო მოხსენების და ამხ. მილჩაკოვის მოხსენების (გამო). ასეთივე გადაწყვეტილებებით გამოეხმაურენ მემარჯვენე გადახრას კომკავშირის აქტივის კრებები ჩვენი ქვეყნის მსხვილ პროლეტარულ ცენტრებში, კერძოდ ამიერ - კავკასიაში.

იბადება კითხვა — „პარტიაში მემარჯვენე გადახრის საფრთხის არსებობა ცნობილია, მაგრამ არსებობს თუ არა ასეთივე საფრთხე კომკავშირში?“ — აქტივის კრებებზე, რომლებიც ამიერ - კავკასიაში ჩავატარეთ, ბევრჯერ გაისმოდა ასეთი კითხვა და როგორც სჩანს ბევრ კომკავშირელს აინტერესებს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.

იმისათვის, რომ პასუხი გავცეთ ამ კითხვაზე, საჭიროა მოკლედ დავახასიათოთ პარტიაში არსებული მემარჯვენე გადახრა, აღვნიშნოთ ის სოციალურ-ეკონომიური მიზეზები, რომლებმაც წარმოშვეს ეს გადახრა, აღვნიშნოთ, თუ რა საფრთხეა ეს და საიდან მომდინარეობს იგი.

ამხ. **სტალინმა** ჩვენი პარტიის მოსკოვის კომიტეტის პლენუმზე ეს კითხვა გაჰყო ორ ნაწილად :მემარჯვენე გადახრა კომუნიზმში კაპიტალიზმის პირობებში და მემარჯვენე გადახრა კომუნიზმში საბჭოთა განვითარების პირობებში. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს უკანასკნელი. შევჩერდეთ მის ახსნა-განმარტებაზე.

აი, რას ამბობს ამხ. **სტალინი** ამ საკითხზე:

„მემარჯვენე გადახრა კომუნიზმში საბჭოთა განვითარების პირობებში, როდესაც კაპიტალიზმი უკვე დამხობილია, მაგრამ მისი ფესვები ჯერ კიდევ არაა მოგლეჯილი, მოასწავებს კომუნისტების ერთი ნაწილის მიდრეკილებას (მართალია ეს მიდრეკილება ჯერ არ არის ჩამოყალიბებული და შეიძლება ითქვას, ჯერ კიდევ არ არის შეგნებული) გადაუხვიონ ჩვენი პარტიის გენერალური ხაზიდან ბურჟუაზიული იდეოლოგიისაკენ. როდესაც ჩვენი პარტიის ზოგიერთი წრეები სცდილობენ უკან დაახევინონ ჩვენს პარტიას მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებებიდან და უარჰყოფენ სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე შეტევის საჭიროებას, ან მოითხოვენ ჩვენი ინდუსტრიის ტემპის შენელებას, ვინაიდან მისი განვითარების ეხლანდელი ტემპი დამღუპველად მიაჩნიათ ჩვენი ქვეყნისათვის, ან უარჰყოფენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის თანხების მიწოდების მიზანშეწონილობას, ვინაიდან ეს ფული წყალში გადაყრად მიაჩნიათ, ან უარჰყოფენ ბიუროკრატიზმთან ბრძოლას თვითკრიტიკის საფუძველზე, ვინაიდან ფიქრობენ, რომ თვითკრიტიკა არყევს ჩვენს აპარატს, ან მოითხოვენ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შერბილებას და სხვ. — ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი პარტიის რიგებში მოიპოვება ისეთი ხალხი, რომელიც სცდილობს „საბჭოთა“ ბურჟუაზიის გემოვნებასა და მოთხოვნილებებს შეუფარდოს ჩვენი სოციალისტური მშენებლობის საქმე, თუმცა შეიძლება თითონაც ვერ ამჩნევდეს ამას“.

აქ სავსებით ნათლად და მკაფიოდ არის დახასიათებული მემარჯვენე გადახრა კომუნიზმში საბჭოთა განვითარების პირობებში, დ. ი. იმ პირობებში, რომლებშიაც იმყოფება საკავშირო კომპარტია (ბ). რა მიზეზები უწყობენ ხელს მემარჯვენე გადახრის წარმოშობას ჩვენს პარტიაში? უმთავრესად, რა თქმა უნდა, მეურნეობის ორი, ერთი-ერთმანეთის სრულიად საწინააღმდეგო, ფორმის ერთსა და იმავე დროს არსებობა—ერთის მხრივ არსებობს განსაზოგადოებული კოლექტიური სოციალისტური მეურნეობა (მბრძანებელი სიმაღლენი), ხოლო მეორეს მხრივ მრავალი მილიონი წვრილი საქონელმწარმოებელნი, რომლებთანაც ჩვენ უკვე რვა წელიწადია გვაქვს შეჯიბრება ლენინის ცნობილი ლოზუნგის მიხედვით: „ვინ ვის აჯობებს?“ ამ შეჯიბრების დროს ჩვენ ვცდილობთ წვრილ მეურნეობათა გადაყვანას ახალ ტეხნიკურ საფუძველზე, მათ გარდაქმნას განსაზოგადოებულ სოციალისტურ მეურნეობად.

მაგრამ ლოზუნგი „ვინ ვის აჯობებს?“ კიდევ დიდხანს დარჩება ჩვენს პირობებში პარტიის ბრძოლის ლოზუნგად, ვინაიდან არც ისე ადვილად და არც ისე მალე შეიძლება იმ წინააღმდეგობათა აღმოფხვრა, რომელნიც შექმნეს საუკუნოებრივმა პირობებმა და რომლებიც ჩვენ მემკვიდრეობით დაგვერჩა. წვრილი საქონელმწარმოებელი ჯერ კიდევ სცოცხლობს და ჯერჯერობით საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჩვენს განვითარებაში. „ხოლო კაპიტალიზმის ძალა, განსაკუთრებით ჩვენს პირობებში, მდგომარეობს წვრილი წარმოების ძალაში, ვინაიდან წვრილი წარმოება კაპიტალიზმსა და ბურჟუაზიას წარმოშობს მუდმივად, ყოველდღე, ყოველ საათში, სტიქიურად და მასიური მასშტაბით“. **(ლენინი).**

ჩვენ ვიცით, რომ ამხ. **ლენინის** მიერ აღნიშნული პროცესი ჩვენს პირობებში სწარმოებს განსაკუთრებით თვალსაჩინოდ. ამხ. **ლენინი** იმავე წვრილ წარმოებასა და წვრილ მწარმოებლებზე ამბობდა, რომ „ისინი პროლეტარიატს ხვევენ წვრილ-ბურჟუაზიულ სტიქიაში, მსჭვალავენ მას ამ სტიქიით, რყვნიან მას ამ სტიქიით, გამუდმებით იწვევენ პროლეტარიატის შიგნით წვრილ-ბურჟუაზიული მოდუნების, დაქსაქსულობის, ინდივიდუალიზმის რეციდივებს, გატაცებიდან გულგატეხაზე გადასვლას“.

რაკი წვრილ-ბურჟუაზიული სტიქია ასეთ გავლენას ახდენს პროლეტარიატზე, მას არ შეუძლია არ მოახდინოს გავლენა აგრეთვე მის ხელმძღვანელ რაზმზე—კომუნისტურ პარტიაზე. სწორედ ამაშია ყველა ძირითადი მიზეზი, რომელიც წარმოშობს ყოველგვარ მერყეობასა და ქანაობას ჩვენს რიგებში—„გატაცებას“ (ტროცკისტული ოპოზიცია) და „გულგატეხას“ (ოპორტუნიზმი—კაპიტალიზმის მიმართ დათმობაზე წასვლა).

დავკმაყოფილდეთ ამ შემთხვევაში მემარჯვენე გადახრის წარმომშობი მიზეზების ზემოხსენებული დახასიათებით და პასუხი გავსცეთ წერილის დასაწყისში დასმულ კითხვებს, ე. ი. რამდენად შეეხება ყოველივე ეს კომკავშირს.

კომკავშირი არ წარმოადგენს ჩვენი ქვეყნისა და მუშათა კლასის ხელმძღვანელ ორგანიზაციას; ამიტომ ერთი შეხედვით შეიძლება გვეჩვენოს, რომ მასში კიდევაც რომ ქონდეს ადგილი მემარჯვენე გადახრას, ეს მაინცდამაინც ძალიან საშიში არ იქნება მუშათა კლასის დიქტატურისათვის. რა თქმა უნდა, საკითხის ასე დაყენება იქნება არასწორი, ძირიანად შემცდარი, ვინაიდან საქმე ეხება შემცვლელ თაობას, მუშური ახალგაზრდობის პოლიტიკურ ორგანიზაციას. კომკავშირში წარმოშობილი ტენდენციებით უაღრესად დაინტერესებულია ჩვენი პარტია. ამიტომ პირდაპირ უნდა გავაცხადოთ, რომ მემარჯვენე საფრთხეს, პროლეტარიატის მკაფიო კლასობრივი ხაზიდან გადახრის საფრთხეს, ბევრად უფრო ღრმა ფესვები აქვს კომკავშირში, ვიდრე პარტიაში. რატომ?

ჯერ ერთი იმიტომ, რომ კომკავშირი ბევრად ნაკლებ არის გამოცდილი და გამობრძმედილი იმ უდიდეს რთულ ხელოვნებასა და საქმეში, რომელსაც კლასობრივი ბრძოლა ეწოდება. მას არა აქვს გამოცდილება იმ ხანგრძლივ ბრძოლაში ყოველგვარ გადახრებსა და ოპორტუნიზმთან, რომელიც ყოველთვის თან სდევდა ჩვენი პარტიის, როგორც მუშათა კლასის პარტიის, ჩამოყალიბებისა და განმტკიცების პროცესს, ხოლო ჩვენი პარტია ხომ ამ გამოცდილების საფუძველზე გამოიჭედა.

მეორე: თუ „წვრილ-ბურჟუაზიულ მოდუნებას“ და იდეოლოგიურ მერყეობას იჩენს ზოგიერთი წევრი ჩვენი პარტიისა, რომლის პირადი შემადგენლობის და შემდგომი ზრდის სოციალური ბაზა თითქმის შეზღუდულია (კომპარტიაში უდიდეს პროცენტს შეადგენენ დაზგის მუშები), ასეთსავე მერყეობასა და იდეურ ქანაობას ბურჟუაზიული და წვრილ-ბურჟუაზიული ელემენტების ზეგავლენის გამო ბევრად უფრო ძლიერ განიცდის კომკავშირი, ვინაიდან, თუმცა კომკავშირი თავისი მიზნებით და ამოცანებით არის პროლეტარული ორგანიზაცია, მაგრამ პარტიასთან შედარებით მას აქვს ბევრად უფრო ფართო სოციალური ბაზა, ე. ი. მისი მნიშვნელოვანი ნაწილის შევსება ხდება არაპროლეტარული ელემენტებით. მაშასადამე, ერთის მხრივ იმის გამო, რომ კომკავშირს არა აქვს საკმაო გამოცდილება და იდეური გამოწრთობა და მეორეს მხრივ მისი სოციალური შემადგენლობის გამო, ის პარტიაზე უფრო განიცდის ჩვენი პარტიის სწორი ლენინური ხაზიდან გადახრის საფრთხეს.

აქ აუცილებლად იბადება მეორე კითხვა: „იყო თუ არა კომკავშირში მემარჯვენე გადახრის შემთხვევები, იყვნენ და არიან თუ არა კომკავშირში მემარჯვენე გადახრის მატარებელნი?“.

რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევებს ჰქონდა ადგილი, და ამ გადახრებს ცოცხალი ხალხი ატარებდა. განა ცოტა იყო წარსულ საარჩევნო კამპანიაში ისეთი შემთხვევები, როდესაც სოფლელი კომკავშირელი „კულაკის მომხრედ“ გამოდიოდა! განა დამახასიათებელი არ არის ქუთაისის მაზრის ბალდათის თემკომის მაგალითი—იქ გაბატონებული იყვნენ სწორედ ასეთი „კულაკის მომხრეები“, იცავდნენ სოფლის შეძლებული ფენების ინტერესებს და პირდაპირ ავიწროვებდნენ მოჯამაგირეებსა და ღარიბ გლეხებს, მაშინ, როდესაც ხელთ ჰქონდათ ჩვენი პარტიის მე-15 ყრილობის რეზოლიუციები! განა ცოტაა ისეთი უჯრედი, სადაც სრულიად გაურჩევლად ეკიდებიან კავშირში ახლად მისაღები ახალგაზრდობის სოციალური შერჩევის საქმეს, რის გამოც კომკავშირში შემოპარვას ახერხებენ ჩვენთვის კლასობრივად უცხო ელემენტები! განა არ იყო მთელი რიგი ისეთი შემთხვევები, როდესაც ჩვენი სოფლელი კომკავშირელები, აქტივისტები, საბჭოების და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრები, რომლებსაც საკმაო გავლენა აქვთ სოფლად, ხელს უწყობდნენ კულაკს გადასახადების თავიდან აცილებაში! განა ცოტაა ჩვენი ისეთი საბჭოთა უჯრედი, რომელიც ყოველ საათში ხედავს თავის დაწესებულებაში აშკარა ბიუროკრატიზმის უმსგავსო გამოხატულებას, მაგრამ გულხელდაკრეფილია და იღიმება კიდეც. ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთ უჯრედებს არ სურთ ეჩხუბონ, არ სურთ „აწყენინონ“ დიდი თანამდებობის პირს ან პირებს!

კომკავშირელთა ნაწილის ოპორტუნიზმის, მემარჯვენეობის კონკრეტული გამოხატულებანი მდგომარეობენ იმაში, რომ კომკავშირელთა ნაწილი გაბედულად ვერ ეხმარება ჩვენს პარტიას მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გასატარებლად, ხოლო ზოგჯერ პირდაპირ საბოტაჟსაც უწევს ამ საქმეს. ამას მოწმობენ დაბნეულობისა და უმოქმედობის მთელი რიგი ფაქტები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს ქვეყანაში პურის დამზადების კამპანიის დროს.

თუ ამხ. **სტალინი** ამბობს, რომ „მემარჯვენე გადახრა კომუნისტებს შორის ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული და შეგნებული“, ეს მით უფრო შეიძლება ითქვას კომკავშირზე. რა თქმა უნდა, ჯერჯერობით კომკავშირში არ არის არავითარი ჩამოყალიბებული, შეგნებული მემარჯვენე გადახრა, მაგრამ ის მოვლენები, რომლებსაც ზემოთ შევეხეთ, დამახასიათებელია არა მარტო ცალკე უჯრედებისათვის, არამედ კომკავშირის ზოგიერთი ქვედა საფეხურის კომიტეტებისათვისაც.

ამიერ-კავკ., კერძოდ საქართველოს პირობებში კომკავშირში მემარჯვენე გადახრისა და საფრთხის საკითხს ისიც აღრმავებს, რომ ჩვენდამი მტრულად განწყობილი ჯგუფები და კლასები ყოველ ღონეს ხმარობენ რათა მოსახლეობაში გააღვივონ ნაციონალისტური, შოვინისტური, განწყობილებანი; თავიანთ მუშაობას ისინი ჩვეულებრივ იწყებენ ახალგაზრდობიდან. ამიტომ შესაძლებელია რომ ჩვენს პირობებში მემარჯვენე გადახრებმა მიიღოს ნაციონალისტური, შოვინისტური განწყობილებებისა და ტენდენციების სახე. ასეთ მაგალითებს, მართალია ხშირად არა, მაგრამ მაინც ჰქონდა ადგილი ჩვენს სინამდვილეში.

ჩვენ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ იმაზე, თუ რა შედეგები მოჰყვება ჩვენი ქვეყნისათვის და მუშათა კლასის დიქტატურისათვის ისეთ შემთხვევას, რომ ჩვენს პარტიასა და კომკავშირში გაიმარჯვოს მემარჯვენე გადახრამ. ყველამ იცის, რომ დათმობა კულაკისათვის სოფლად, ნეპმანისათვის ქალაქში, თვითკრიტიკის „ალაგმვა“ და მაშასადამე ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შეწყვეტა—ყოველივე ეს იქნებოდა ჩვენი დაღუპვის მომასწავებელი, ეს დაღუპავდა პროლეტარიატის დიქტატურას, და აღადგენდა ძველ კაპიტალისტურ წყობილებას.

სწორედ ამიტომ პარტია მიმართავს მახვილს იმ ელემენტებისა და ტენდენციების წინააღმდეგ, რომლებიც ვერ ხედავენ ამ უდიდეს საფრთხეს და სცდილობენ უკან დაახევინონ პარტიას მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებებიდან.

ამასთან ერთად პარტია აყენებს ტროცკისტული ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგს. ტროცკისტული ოპოზიცია უკვე დიდი ხანია გადაბარგდა მუშათა კლასის მოწინააღმდეგეთა ბანაკში.

კომკავშირის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მან პარტიის ხელმძღვანელობით თავის მხრივ ულმობელი ბრძოლა გამოუცხადოს მემარჯვენე ტენდენციებსა და მიდრეკილებებს საკუთარ რიგებში და საბოლოოდ გაანადგუროს იდეურად ტროცკისტული ოპოზიციის ნაშთები.

ბ. ჯავახიძე

სრულიად საქართველოს პროფკავშირთა მეშვიდე ყრილობა

ყრილობის გახსნა

გუშინ საღამოს შრომის სასახლის დიდ დარბაზში გაიხსნა პროფკავშირთა მეშვიდე ყრილობა. ყრილობა გახსნა ამხ. ზ. მახაიძემ, რომელმაც ყრილობის მუშაობას მოკლე სიტყვა წარუმძღვარა.

შემდეგ ყრილობა ირჩევს საქმიან და საპატიო პრეზიდიუმს, სამდივნოსა და სამანდატო კომისიას.

საპატიო პრეზიდიუმი

საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად არჩეულ იქნა შემდეგი ამხანაგები: სტალინი, რიკოვი, ტომსკი, ვოროშილოვი, ბუხარინი, კალინინი, ორჯონიკიძე, ლოზოვსკი, კრუპსკაია, ცხაკაია, მახარაძე, ორახელაშვილი, ელიავა, ქართველიშვილი, კახიანი.

საქმიანი პრეზიდიუმი

საქმიან პრეზიდიუმში არჩეულია შემდეგი 39 ამხანაგი: კუზნეცოვი, რუმიანცევი, მახაიძე, თოდრია, სუხიშვილი, ყურულაშვილი, სვანიძე, მაშკევიჩი, ანთიძე, გოდაბრელიძე, მიქაძე, დავიდოვი, ეკვიანოვა, ნარჩემაშვილი, ორჯონიკიძე, ხვედელიძე, კუნჭულია, გეგენავა, სიხარულიძე, სუკოიანი, ნიკიტინი, აფხაიძე, რაზმაძე, ატოევი, ჩხეიძე, თალაკვაძე, გოზალოვი, მაეფი, აბაკელია, მეტრეველი, პროლინი, პუკჩევა, კაპანაძე, ასკერ-ოღლი, ჩახლაძე, ტუსკია, პეტროვსკაია, სამხარაძე.

სამდივნოში: — მარკმანი, ჯაფარიძე, ჩარკვიანი, არუთინოვი, ბუაძე, ჩოლოკუა, ქურდოვანიძე.

სამანდატო კომისიაში: — ჯიჯაძე, ორჯონიკიძე, შიშინაშვილი, გურული, ციციშვილი, გოგუაძე და მეგრელიშვილი.

ამხ. მახარაძის მოხსენება

ჩვენ აქ უნდა შევთანხმდეთ — ამბობს მომხსენებელი, რომ ეს ჩვენი ყრილობა საპროფკავშირო მუშაობის ფართო თვითკრიტიკის ყრილობა იქნება. ყოველმა ჩვენგანმა მიზნად უნდა დაისახოს საქმიანად მიუდგეს ჩვენს საპროფკავშირო მუშაობას და გამოაჩინოს არსებული ნაკლოვანებანი.

მიღწეულ შედეგებზე ჩვენ არ უნდა გავჩერდეთ. გარდა ჩვენი მტრებისა, არავის ეჭვი არ შედის იმაში, რომ ჩვენ გვაქვს მიღწევები. ჩვენ წინ მივიწევთ ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით. ჩვენი მუშაობა უაღრესად რთული მუშაობაა. უდაოა, რომ ჩვენს მუშაობაში მიღწევებთან ერთად გვაქვს ნაკლიც, შეცდომებიც. პროფმუშაობის ზოგიერთ დარგებში ჩვენი საქმიანობა ჯერ კიდევ ძლიერ სუსტია. ამ ყრილობაზე ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ სწორედ ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებათა გარშემო.

ფროფკავშირების მასიური მუშაობა

უკანასკნელს ხანებში პროფკავშირების წევრთა რიცხვი სწრაფი ნაბიჯით იზრდება. საანგარიშო პერიოდში ჩვენს პროფკავშირებში გაერთიანებულ წევრთა რიცხვი შესამჩნევად გაიზარდა.

1927 წლის 1-ლ აპრილს საქართველოს პროფკავშირები აერთიანებდა 160.000 წევრს, ხოლო 1928 წ. 1-ლ აპრილს — 180.400 ამნაირად გვაქვს ზრდა 13 პროცენტით. შეუკავშირებელ მუშების რიცხვი თანდათან კლებულობს.

კავშირში წევრების მიღება სათანადო სიმაღლეზე ვერაა დაყენებული. საზოგადო კრებებზე ამ საკითხს სხვათა შორის აყენებენ. ჩვეულებრივად ეს საკითხი სხდომის დასასრულს ირჩევა, როცა დამსწრე მუშები უკვე საკმაოდ მოქანცული არიან. ამნაირად კავშირში წევრთა მიღების საკითხი ფორმალური აქტის ხასიათს ღებულობს.

არის შემთხვევები, როცა კავშირში აზერხებენ შემოსვლას კერძო საწარმოების მფლობელნი.

სასოფლო-სამეურნეო მუშების კავშირში ბევრია ჩაწერილი არა მშრომელ ელემენტები.

საანგარიშო პერიოდში ჩვენ დავასრულეთ მუშაობა საპროფკავშირო აპარატის მასასთან დაახლოვების საქმეში.

ფაბქარხადგილკომების რიცხვი 1319-დან გაიზარდა 1465-დე, ხოლო პროფრწმუნებულების რიცხვი 804-დან 909-დე. გაიზარდა აგრეთვე რიცხვი კომისიებისა ქვემოდგომ საკავშირო ორგანიზაციებში.

საგრძნობლად გაიზარდა აგრეთვე საპროფკავშირო აქტივი. 1927 წლის 1-ლ იანვარს ითვლებოდა 19.500 კაცი, ხოლო 1928 წლის 1-ლ იანვარს — 25.815 კაცი ითვლება. ამნაირად გვაქვს ზრდა 32 პროცენტით.

საერთოდ საპროფკავშირო აქტივის შემადგენლობა 1927 წელს შეადგენდა 12,4 პროც. ხოლო 1928 წელს იგი შეადგენს 14,3 პროცენტს კავშირის წევრთა საერთო რიცხვთან შედარებით. თუმცა აქტივის რიცხვი ჩვენს კავშირებში საკმაოდ მნიშვნელოვანია, მიუხედავათ ამისა თვისებრივი მხრით ეს აქტივი ვერაა ისეთი, როგორიც უნდა იყოს. ჩვენი აქტივი ჯერ კიდევ საკმაოდ მოუმზადებელია. საჭიროა ამ აქტივში მუდმივი, დაუღალავი, სისტემატიური მუშაობა. საპროფკავშირო აქტივის ჩაბმა პრაქტიკულ საკავშირო მუშაობაში ყველგან როდი ხდება. აქტივის საქმიანობა უმთავრესად კრებებზე დასწრებასა და მოხსენებების მოსმენაში გამოიხატება.

აქტივის ამ მდგომარეობაში დატოვება შეუძლებელია. ჩვენ მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ აქტივს. მასიური მუშაობის სწორი დაყენება პირდაპირ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იქნება დაყენებული პროფაქტივთან მუშაობა.

გადარჩევის საქმის ტექნიკის გაუმჯობესებამ გამოიწვია საარჩევნო კრებებზე დამსწრეთა რიცხვის გადიდება და კამათში მონაწილეთა რიცხვის თვალსაჩინო ზრდა. ეხლა კამათში მონაწილეობას იღებს არა მარტო აქტივი, არამედ კავშირის ჩვეულებრივი მუშებიც.

საპროფკავშირო მუშაობის უმთავრესი, ძირითადი და ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი არის მასიური მუშაობა.

მასიური მუშაობის ერთ-ერთ ძირითად ფორმას საზოგადო კრება წარმოადგენს. მიუხედავათ იმისა, რომ საზოგადო კრებების შინაარსის გაუმჯობესების საკითხი არა ერთხელ იყო დასმული, მაინც ამ მხრით რაიმე თვალსაჩინო წარმატებას ვერ ვხედავთ.

საზოგადო კრების მუშაობის მთავარ ნაკლს წარმოადგენს ის, რომ მუშები სუსტად ესწრებიან ამ კრებებს.

ეს ნაკლი იმით აიხსნება, რომ ჩვენ არ ვიცით როგორ გამოვიყენოთ მუშათა მასის აქტივობა.

ხშირად ხდება, რომ საწარმოს ცხოვრების საგულისხმიერო საკითხებს ფაბქარხადგილკომი სწყვეტს და ამაში მუშათა მასა მონაწილეობას არ იღებს. საზოგადო კრებებზე ხშირად ხდება ისეთი საკითხების გატარება, რომელიც მუშებში ინტერესს არ იწვევს.

პროფკავშირების მუშაობა სოფლად

პროფკავშირების მუშაობას სოფლად დიდი მნიშვნელობა ეძლევა, მეტადრე დღეს, როცა სოფლად ადგილი აქვს კაპიტალისტურ ელემენტების ზრდას, კულაკურ ელემენტების გაძლიერებას.

მიწა-ტყის კავშირმა ჯერ კიდევ საკმარისად ვერ შეაკავშირა და ვერ დარაზმა სასოფლო-სამეურნეო მუშები, დღეს კავშირი აერთიანებს მოჯამაგირეთა საერთო რიცხვის მხოლოდ 50 პროცენტს, ე. ი. ნახევარს, ამიტომ კავშირის წინ სდგას ამოცანა გააფართოვოს თავისი ორგანიზაცია, შეაკავშიროს მოჯამაგირეთა მთელი მასა და ჩააბას იგი კავშირის რიგებში.

თუ ჩვენ შევსძელით მოჯამაგირეების მომზადება, მათგან კვალიფიცირური მუშების მომზადება, მაშინ ისინი საბჭოთა მეურნეობებში და სახალხო მამულებში ჩაბმულ მუშებთან ერთად მტკიცე დასაყრდენი გახდებიან პროლეტარული დიქტატურისთვის სოფლად და დიდ დახმარებას გაგვიწევენ გლეხური მეურნეობის სოციალისტური გადახალისების საქმეში.

პირველ რიგში მიწა-ტყის კავშირმა სხვა ორგანიზაციებთან ერთად მთავარი ყურადღება წ. კ. უცოდ. უნდა მიაქციოს და მიიღოს სათანადო ზომები მოჯამაგირეთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობად.

მოჯამაგირეთა შრომის მოწესრიგების ძირითად მომენტს შრომის ხელშეკრულებათა დადება შეადგენს, ვინაიდან მოჯამაგირეთა შორის ძირითადი საკითხები, როგორიცაა შრომის ხელფასი, სამუშაო დრო და სხვა, შეიძლება მოწესრიგებული იქნეს შრომის ხელშეკრულებით.

შრომის ხელშეკრულებათა დადებასთან ერთად ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ამ ხელშეკრულებათა ცხოვრებაში გატარებას, მათ განხორციელებას, ვინაიდან არის შემთხვევები როცა კავშირი სდებს ხელშეკრულებას, მაგრამ ეს ხელშეკრულება მართოდენ ქაღალდზე რჩება, საქმით კი მას არავინ ასრულებს.

ქალთა შორის მუშაობა

კავშირის წევრ ქალთა რიცხვი 1927 წლის 1-ლ აპრილს 32.400 შეადგენდა, ხოლო 1928 წლის 1-ლ იანვარს 36.400. ამნაირად ჩვენ გვაქვს კავშირის წევრ ქალთა რიცხვის ერთგვარი აბსოლუტური ზრდა (12,4 პროცენტით). წარმოებაში ჩაბმული ქალების რიცხვი ერთგვარ ზრდას განიცდის, მაგრამ მათი ხვედრითი წონა საერთო რიცხვთან შედარებით არ შეცვლილა.

ადგილი აქვს აგრეთვე ქალთა აქტივობის ზრდას პროფმუშაობის დარგში. მაგალითად 1927 წლის 1-ლ იანვარს საპროფკავშირო აქტივში ქალები 14 პროცენტს შეადგენდენ, ხოლო 1928 წ.—15,5 პროცენტს.

ჩვენ სავსებით სწორად როდი უდგებით საპროფკავშირო მუშაობაში ქალების ჩაბმის საკითხს. ქალები შეყვანილი უნდა იქნენ სხვადასხვა საკავშირო ორგანიზაციებში, არა როგორც ცალკე ჯგუფების წარმომადგენლები, არამედ მათი უშუალო მუშაობის მიხედვით, ჩვენ უნდა განვახორციელოთ არა ფორმალური, არამედ ნამდვილი საქმიანი პრაქტიკული თანასწორობა.

როცა ქალებს ირჩევენ საკავშირო ორგანოებში, როგორც წარმომადგენელს, ამ შემთხვევაში ისინი ფაქტიურად არ იღებენ მონაწილეობას მუშაობაში და მხოლოდ საპატიო წარმომადგენლებად ირიცხებიან ორგანიზაციებში.

ჩვენს ორგანიზაციებში ძლიერ სუსტადაა დაყენებული ქალების დაწინაურების საქმე სახელმძღვანელო სამუშაოზე საბჭოთა და სამეურნეო დაწესებულებებში. ამ სამუშაოზე ქალების დაუწინაურებლობა აიხსნება ერთის მხრით ძველი ყოფა-ცხოვრების ნაშთებით, ქალზე ძველი შეხედულებით და მეორეს მხრით მით, რომ ქალებში მომზადებული კადრები არა გვყავს.

მოზარდთა შორის მუშაობა

კავშირების წევრთა შორის მოზარდები თვალსაჩინო ნაწილს შეადგენენ. 1927 წლის მარველ აგვისტოს მოზარდთა რიცხვი უდრიდა 5,429 კაცს, ხოლო 1928 წლის 1-ლ აპრილს 5,604 კაცს. ამრიგად ჩვენ ვხედავთ, რომ უფროსთა მასის ჯგუფების რიცხვი შედარებით უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მოზარდების რიცხვი, რომლების ზრდა 2—4 პროცენტს არ აღემატება. მოზარდთა რიცხვის ასეთი ნელი ზრდა იმ გარემოებით აიხსნება, რომ საკმაო ყურადღება არ ექცევა მოზარდთა ჩაბმას წარმოებაში. ზოგიერთი სამეურნეო ორგანიზაცია, პირიქით სცდილობს კიდეც, რომ მოზარდები თავიდან მოიშოროს.

ზოგიერთ საწარმოში დაკანონებული ჯავშნი მოზარდებისა განხორციელებული არაა, ამჟამად გამოცემულია ახალი კანონი მოზარდთა ჯავშნის შესახებ. ამ კანონის გატარებისას ჩვენ ყოველგვარი ზომა უნდა მივიღოთ, რომ არ მოხდეს მოზარდთა რიცხვის შემცირება, მეტადრე იმ შეგირდების, რომლებიც საფაბრიკო-საქარხნო შეგირდების სკოლებში სწავლობენ. კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების დროს ყოველივე ზომა უნდა მივიღოთ რომ მოზარდთა რიცხვი წარმოებაში გაძლიერდეს და გავითვალისწინოთ აგრეთვე ცვლილებები, რომლებიც ახალ კანონში მოცემული, საკავშირო პროფსაბჭოს და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიერ მოცემული დირექტივით გათვალისწინებულია განსაზღვრულ ღონისძიებათა გატარება მოზარდთა საწარმოო სწავლების საქმის გასაუმჯობესებლად (საფაბრიკო-საქარხნო სკოლებისათვის მანქანების, დაზგების, ხელსაწყოს უკეთესი მიწოდება და სხ. სხ.).

მუშათა კლასის ნივთიერი მდგომარეობა

მუშათა კლასის ნივთიერი მდგომარეობა განუწყვეტლივ უმჯობესდება, ამაზე ლაპარაკი იყო კავშირების მე-6 ყრილობაზედაც. წლინახევრის განმავლობაში ამ ყრილობის შემდეგ ჩვენ განსაზღვრული მიღწევები გვაქვს ამ დარგში.

შრომის ხელფასი მატულობს წარმოების ყველა დარგებში, მხოლოდ 1927—28 სამეურნეო წლის განმავლობაში 1926—27 სამეურნეო წელთან შედარებით ჩვენ გვაქვს შრომის ხელფასის თვალსაჩინო ზრდა წარმოების ყველა ძირითად დარგებში.

მუშის ბიუჯეტზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ 1925 წელს ხარჯების რაოდენობა ერთ ოჯახზე 74 მანეთს შეადგენდა, ხოლო 1927 წლის დამლევს 100 მანეთს აღწევს, ამნაირად მუშის ბიუჯეტის სახარჯო ნაწილი 2 წლის განმავლობაში 35 პროცენტით გაიზარდა.

მოხდა საგრძნობი ცვლილებები თვითონ ბიუჯეტში. თუ 1925 წელს ბიუჯეტის მეტი ნაწილი, მისი სიმცირის გამო, მარტოოდენ კვებაზე იხარჯებოდა და მუშას არ ჰქონდა საშუალება მეტი დაეხარჯა ტანსაცმელზე და სხვა სამეურნეო და კულტურულ-განმანათლებელ საჭიროებაზე. სამაგიეროდ ამ მხრით დღეს თვალსაჩინო წინსვლა გვაქვს.

წარსულ სახელშეკრულებო კამპანიის დროს ჩვენ გავატარეთ შრომის ხელფასის გადიდება იმ ლოზუნგით, რომ მოგვემატებინა შრომის ხელფასი უპირველესად ყოვლისა ხელფასით ჩამორჩენილ მუშებისათვის და გაგვეთანაბრებინა ისინი წინ წასულ ჯგუფებთან. მიმდინარე წელსაც შრომის ხელფასის გადიდებას ჩვენ ამ ლოზუნგით ვატარებთ. ესაა ჩვენი ამოცანა, რომ ჩამორჩენილი ჯგუფების გათანასწორების საშუალებით ავწიოთ მათი შრომის ხელფასი.

ამჟამად ჩვენს წინ სდგას ამოცანა, რომ შრომის ხელფასის ფონდი თანაბრად და სწორად იქნეს განაწილებული მუშების სხვადასხვა ჯგუფებს შორის. ამჟამად მრავალ საწარმოში დიდ სიჭრელეს აქვს ადგილი სხვადასხვა ჯგუფების შრომის ხელფასში, ვინაიდან სანორმო მუშაობა წესიერად დაყენებული ვერაა.

მაგალითად, თუ ერთ საამქროში მუშას აქვს ზედმეტი გამომუშავება 150—200 პროცენტი, სამაგიეროდ მეორე საამქროში ან მეორე საწარმოს იმავე საამქროში ეს ზედმეტი გამომუშავება 50—80 პროცენტს არ აღემატება.

კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების კამპანიის დროს ამ გარემოებას ანგარიში უნდა გაეწიოს და მიღებული უნდა იქნეს ზომები, რომ ადგილი არ ექნეს ხელფასის ფონდის უთანასწორო განაწილებას. ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო იქნება გაუდიდოთ ხელფასი მცირე ხელფასიან ჯგუფებს იმ ჯგუფების ხელფასის ხარჯზე, რომლებიც ძლიერ წაწეულან წინ.

1928 წლიდან სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში გატარებული იქნა მოსამსახურეთა შრომის ხელფასის სახელმწიფო ნორმირების მოწესრიგება.

მან შეამცირა სიჭრელე, რომელიც არსებობდა ერთ და იმავე თანამდებობათა ხელფასში—სხვადასხვა დაწესებულებებში.

სიჭრელის შესამცირებლად საჭირო გახდა გაგვედიდებია ხელფასი ჩამორჩენილ ჯგუფების იმ მუშაკთა ხელფასის ხარჯზე, რომლებიც ამ მხრივ წინ წაიწიეს.

შრომის ხელფასის სახელმწიფო ნორმირების მოწესრიგების მეოხებით ნაწილობრივ მოგვარებული იქნა საკითხი სამუშაო დღის განსაზღვრის შესახებ. იმ მომუშავეთა რიცხვი, რომლებიც განუსაზღვრელ სამუშაო დროს მუშაობდენ, 1.873-დან 1.398-მდე დავიდა, ე. ი. დაიკლო 25,4 პროც.

ჩვენში არის შემთხვევები, როცა მუშა-მოსამსახურეებს დროზე არ ეძლევათ შრომის ხელფასი. ასეთ შემთხვევას ადგილი აქვს ლითონ-ტრესტში, სატყეო ტრესტში, სამთო-ტრესტის საწარმოებში და აგრეთვე ზოგიერთ დაწესებულებებში, რომლებიც ადგილობრივ ბიუჯეტზე იმყოფებიან.

უნდა ითქვას, რომ შრომის ხელფასის დაგვიანების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში კავშირები საკმაო სიმტკიცეს ვერ იჩენენ და თავის დროზე ვერ იღებენ საჭირო ზომებს.

ჩვენ აუცილებლად უნდა შემოვიღოთ ასეთი წესი: როცა ხელფასის მიცემა დაგვიანებით ხდება, პასუხისგებაში მივცეთ სამეურნეო და სახელმწიფო საწარმოების ხელმძღვანელები. თუ ამ ზომას მტკიცედ გავატარებთ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ სამეურნეო მუშაკები უფრო ყურადღებას გამოიჩენენ და თავის დროზე მიიმართავენ საჭირო თანხებს.

შრომის ნაყოფიერება და შრომის ხელფასი

შრომის ნაყოფიერების ზრდა აუცილებლად წინ უნდა უსწრებდეს შრომის ხელფასის ზრდას.

წარმოების ზოგიერთ დარგებში, თუმცა შრომის ნაყოფიერების ზრდას გვიჩვენებს, მაგრამ ეს ზრდა ბევრად ნაკლებია, ვიდრე შრომის ხელფასის ზრდა. ეს გარემოება ჩვენ ისედაც სუსტ საწარმოო დაწესებულებებს მძიმე მდგომარეობაში აყენებს (ხარჯები მეტია, ხოლო შემოსავალი ნაკლები).

რა მიზეზით ეცემა შრომის ნაყოფიერება? პროფსაბჭომ შეისწავლა ეს საკითხი და გამოარკვია, რომ აქ უმთავრესი მნიშვნელობა აქვს იმ ნაკლოვანებებს, რომელიც ჩვენს სამეურნეო მუშაობაში გვაქვს (ხშირად ხდება სამუშაოს გაცდენა, საწარმოები საკმაოდ არაა დატვირთული, მომარაგების საქმე ცუდათაა დაყენებული).

აქედან იმ დასკვნას ვერ გავაკეთებთ, რომ შრომის დისციპლინის მხრით ჩვენში ყველაფერი რიგზეა დაყენებული, თუმცა შრომის დისციპლინა შედარებით გაძლიერდა, მაინც იგი დღესაც სუსტია. ჩვენ საწარმოებში ხშირად ხდება სამუშაოს გაცდენა, მაგალითად, ქვანახშირის წარმოება-სამუშაოს გაცდენა მატულობს კიდეც.

ამ გარემოებას ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ სამეურნეო მუშაკებთან ერთად და მივიღოთ ზომები პროლეტარულ შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად.

კავშირების მონაწილეობა სამეურნეო მუშაობაში

პროფკავშირების მონაწილეობა მუშათა სახელმწიფოს სამეურნეო მუშაობაში საპროფკავშირო მუშაობის ერთ-ერთ თვალსაჩინო მომენტს შეადგენს. პროფკავშირებმა უნდა გამოიჩინონ სათანადო აქტივობა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი სამეურნეო საკითხების გადაწყვეტაში და ამ საქმეში დაემყარონ მუშების კოლექტიურ გამოცდილებას. კავშირები უნდა დეხმარონ მუშათა სახელმწიფოს ინდუსტრიალიზაციის დაჩქარებაში, მშენებლობის ნაკლოვანებათა გამოსწორებაში, ახალი საწარმოების აგებაში და ძველების გაფართოვებაში.

პროფმუშაკი როდი ერკვევა პროფმუშაობის ამ მარტივ საკითხებში. ავიღოთ თუნდაც კავშირების მონაწილეობა ადგილობრივ მრეწველობის განვითარების ხუთ-წლიანი გეგმების შედგენაში. ამ გეგმების შედგენა მიმდინარე ზაფხულს სწარმოებდა. არც ერთ საპროფკავშიროს არ მიუღია მონაწილეობა ამ ხუთ-წლიანი გეგმების შედგენაში.

კავშირების მონაწილეობა სამეურნეო მუშაობაში ზერელე და შემთხვევითი ხასიათისაა. სამეურნეო ორგანოები მრავალ ღონისძიებას ატარებენ, რომელშიაც კავშირები მონაწილეობას არ იღებენ. ზოგიერთი პროფკავშირები ამ გარემოებას არც კი აქცევენ ყურადღებას.

სამეურნეო მუშაობაში მონაწილეობის დროს ჩვენი კავშირები იშვიათად თუ სარგებლობენ იმ მასალით, რომელსაც საწარმოო თათბირების საქმიანობა გვაძლევს. ადგილებზე საწარმოო თათბირები მრავალ მნიშვნელოვან საწარმოო საკითხს ამუშავებენ. ამ საკითხებს დიდი მნიშვნელობა აქვს. კავშირებმა ყურადღება უნდა მიაქციონ საწარმოო თათბირების გამოცდილებას. გამოიყენონ იგი ამა თუ იმ საკითხების გადაწყვეტის დროს ტრესტებსა და სხვა სამეურნეო ორგანიზაციებში.

მასიური ეკონომიური მუშაობა

კავშირების მასიური - ეკონომიური მუშაობა საქართველოში უკანასკნელი წლის განმავლობაში გაძლიერდა წარსულ წელთან შედარებით.

თათბირების მოწვევა დღეს უფრო რეგულიარულად და სისტემატიურად ხდება.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენი მასიური ეკონომიური მუშაობა შესაფერისადაა დაყენებული.

ჩვენ ჯერ კიდევ ვერ გადავაქციეთ საწარმოო თათბირები მასიურ კონტროლის ორგანოდ, ისეთ ორგანოდ, რომელმაც უნდა ჩააბას მუშათა მასები სოციალისტურ მშენებლობაში აქტიურ და შეგნებულ მონაწილეობის მისაღებად.

უწინარეს ყოვლისა, უნდა შეიცვალოს ის მიდგომა საწარმოო და ეკონომიურ თათბირებისადმი, რომელიც ჩვენში — საქართველოში ხშირად გვხვდება.

საწარმოო თათბირების მუშაობის წარმატების საზომად ხშირად იღებენ იმ ფულად ეკონომიას, რომელიც მოჰყვება თათბირების გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებას.

სწორია, თუ არა, ასეთი შეხედულება?

საწარმოო თათბირები უნდა ეხმარებოდენ ჩვენს სამეურნეო ორგანიზაციებს ყოველგვარ საწარმოო ნაკლოვანებათა გამოჩენის და გასწორების საქმეში. მაგრამ ეს არის საწარმოო თათბირების მუშაობის მხოლოდ ერთი მხარე.

უმთავრესი თათბირების მუშაობაში არის მუშათა მასის საწარმოო აღზრდა და მათი ჩაბმა სოციალისტურ მშენებლობაში. საჭიროა არა მარტო დახმარება ნაკლოვანებათა გამოსწორებაში, არამედ მუშათა მასის თვითმოქმედების გაღრმავება და მათი შემოქმედებითი თაოსნობისათვის ფართო ასპარეზის შექმნა.

ამიტომ საწარმოო თათბირების მუშაობას კავშირები უნდა აფასებდენ უმთავრესად არა მათი მუშაობის შედეგად მიღებული ეკონომიის თვალსაზრისით, არამედ იმის მიხედვით, თუ რამდენად შესძლო თათბირებმა ამა თუ იმ საწარმოოს მუშათა მასის ჩაბმა საწარმოოს საკითხების განხილვაში, რამდენად გაღრმავა მან და განავითარა მუშების თაოსნობა და შემოქმედებითი უნარი, აქტიურად აამოძრავა მუშათა ჩამორჩენილი ფენები.

უკვე მეორე წელია საქართველოს პროფსაბჭო სცდილობს ეკონომიური მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადაიტანოს საამქროებში და მოაწყოს საამქრო საწარმოო თათბირები. საამქრო-საწარმოო თათბირები უდიდეს როლს თამაშობენ მუშათა აქტივობის გაძლიერების მხრით. საამქრო თათბირები აღვივებენ მუშების ინტერესს თათბირების მუშაობისადმი და საწარმოო საკითხების განხილვაში აბამენ მუშების ჩამორჩენილ ჯგუფებსაც.

მაგრამ, სამწუხაროდ ყველა კავშირები როდი აფასებენ საკმაოდ საამქრო თათბირებზე გადასვლის მნიშვნელობას, ზოგიერთ ადგილებში არა თუ არ გადასულან საამქრო თათბირებზე, არამედ არის შემთხვევები, როცა იწვევენ საერთო საწარმოო თათბირებს ისეთ საწარმოებში, რომელიც ერთმანეთთან არაფრითაა დაკავშირებული.

თუმცა საკითხების შერჩევა თათბირებზე განსახილველად შედარებით გაუმჯობესდა, მაინც ქვემდგომი საკავშირო ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ ვერ განითავისუფლეს თავი თათბირებზე საერთო საანგარიშო მოხსენებების დაყენებისაგან. თათბირებზე საანგარიშო მოხსენებების დაყენება უკარგავს მუშებს ინტერესს საწარმოო თათბირების მუშაობისადმი და არსებითად არავითარი ნაყოფი არ მოაქვს. თათბირზე გამოდის სამეურნეო მუშაკი (საწარმოს დირექტორი, საამქროს გამგე და სხვ.) და საანგარიშო მოხსენებაში ისეთ საგნებზე ლაპარაკობს, რომელსაც მუშები კარგად იცნობენ.

ზოგჯერ საკითხები, რომელიც მუშებს აღელვებს, ისე სწყდება, რომ არ ხდება მათი მასიური განხილვა, მაშინ, როცა მეორე ხარისხოვანი და მუშებისთვის არა საინტერესო საკითხები ჩვეულებრივად ირჩევა საწარმოო თათბირებზე.

საანგარიშო ცნობების მიხედვით საწარმოო თათბირების წინადადებები სრულდება 60-დან 80 პროცენტამდე.

სამწუხაროდ სრულდება მხოლოდ წვრილმანი წინადადებები, ხოლო საგულისხმიერო წინადადებები, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს წარმოებისათვის, ან სულ არ სრულდება ან ძლიერ იგვიანებს მათი შესრულება.

პროფმუშაკები ბევრს ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ სამეურნეო ორგანიზაციები არ ასრულებენ საწარმოო თათბირების გადაწყვეტილებებს. უნდა ითქვას, რომ ეს ლაპარაკი უმთავრესად ზოგადი ხასიათისაა. სინამდვილეში კი არ ხდება საამისო ზომების მიღება. კონკრეტიულად არ იხმება საკითხი იმის შესახებ, რომ ესა თუ ის წინადადება შესრულებულია თუ არა.

ყოველ წინადადების გარშემო საჭიროა ქარხკომი შეუთანხმდეს ადმინისტრაციას, როდის და რანაირად იქნება იგი განხორციელებული. ნამდვილად ეს დირექტივა არსად ცხოვრებაში არ ტარდება.

იმ შემთხვევებში, როცა ადმინისტრაცია დანიშნულ ვადაში არ ასრულებს ან საერთოდ უარს ამბობს წინადადების შესრულებაზე, საკითხი გადატანილი უნდა იქნეს სადაც საჭიროა და კონკრეტიულად აღინიშნოს სახელდობრ რა და რა მიზეზით არ სრულდება ადმინისტრაციის მიერ.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ფრიად მნიშვნელოვანი დოკუმენტში, რომელიც თვით კრიტიკას ეხება, აღნიშნულია, რომ სასამართლო პასუხისგებაში იქნეს მიცემული და სამაგალითოდ დაისაჯოს ყველა დამნაშავენი, რომლებიც საწარმოო თათბირების მუშაობისადმი საბოტაჟს იჩენენ. ეს დირექტივა ჩვენში არ სრულდება. მიუხედავად იმისა, რომ არის შემთხვევები, როცა საწარმოო თათბირებს უყურადღებოდ და გულგრილად ეკიდებიან. ჩვენში არ ყოფილა მაგალითი, რომ ვინმე პასუხისგებაში ყოფილიყოს მიცემული, ვინაიდან ჩვენი ქვემდგომი საკავშირო ორგანიზაციები არ აცნობებენ ცენტრალურ გამგეობებს და პროფსაბჭოს ასეთ შემთხვევებს და ამნაირად არ იძლევიან საშუალებას განხორციელებული იქნეს ნახსენები დირექტივა და სამაგალითოდ დაისაჯონ დამნაშავენი, რომლებიც მასიური ეკონომიური მუშაობისადმი უყურადღებობას იჩენენ.

გასულ წელს პირველად იყო საქართველოში შემოღებული საწარმოო თათბირების დროებითი საკონტროლო კომისიების დაარსება ასეთი კომისიები შვიდი საწარმოსთან მოეწყო. საკონტროლო კომისიების მუშაობამ დაამტკიცა, რომ მათ დიდი მნიშვნელობა აქვს მუშების აქტივობის გაძლიერების საქმეში. კომისიებმა ხელი შეუწყეს აგრეთვე საწარმოო თათბირების მუშაობის გაძლიერებას და დიდი როლი ითამაშეს მრავალ საწარმოო ნაკლოვანებათა გამოსწორებაში. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჩვენი საკავშირო ორგანოები საკმაო ყურადღებით ვერ შეხვდენ ამ მნიშვნელოვან საქმეს, რის გამოც საკონტროლო კომისიების მუშაობაში მრავალ ნაკლოვანებას ვხედავთ.

უმთავრესი საკონტროლო კომისიების მუშაობაში არის მათი მასიურობა. ეს მასიური ხასიათი მდგომარეობს არა იმაში, რომ საწარმოო თათბირებს მრავალი მუშა დაესწროს, არამედ იმაში, რომ დავალების შესწავლის საქმეში ჩააბას მუშათა ფართო მასა, გამოარჩიოს და გამოიყენოს მათი კოლექტიური გამოცდილება.

თუ ამ თვალსაზრისით მივუდგებით ჩვენი საკონტროლო კომისიების მუშაობას, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მხრით ისინი ვერ ამართლებენ თავის დანიშნულებას; გამონაკლისს მხოლოდ 2-3 საკონტროლო კომისია შეადგენს. ეს მოვლენა კავშირების სუსტ ხელმძღვანელობას უნდა მიეწეროს და აგრეთვე იმას, რომ საკონტროლო კომისიის მუშაობის შინაარსი ინტერესს ვერ იწვევდა. კავშირმა ვერ შესძლო შეერჩია საკონტროლო კომისიისთვის ისეთი საკითხები, რომელიც სათანადო ინტერესს გამოიწვევდა მუშათა მასაში.

ზოგიერთ საწარმოში ქარხკომებმა ვერ გამოიყენეს უფლება გაეთავისუფლებინათ საკონტროლო კომისიის წევრები წარმოების მუშაობიდან. ზოგიერთი კავშირის მუშაკები ამ საკითხს ეკონომიის თვალსაზრისით მიუდგნენ. საკონტროლო კომისიების წევრთა სამუშაოდან განთავისუფლება და კომისიებისთვის მიცემულ დავალებათა უფრო ღრმა დამუშავება მეტს შესაძლებლობას მისცემს არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად და, მაშასადამე, მეტი ეკონომიის და სარგებლობასაც მოუტანს წარმოებას.

მუშათა გამომგონებლობის საკითხს პროფსაბჭოს მუშაობაში დიდი ადგილი ეჭირა დამთავრებული საანგარიშო პერიოდში. ჩვენ დიდი ყურადღება მივაქციეთ ამ საკითხს, ბევრად მეტი, ვიდრე წარსულ წელს, ვინაიდან გამომგონებლობა არის წარმოების გაუმჯობესების ერთ-ერთი ფაქტორი. იგი ხელს უწყობს აგრეთვე მუშების შემოქმედებითი უნარის გამოჩენას. პროფსაბჭომ დიდ წინააღმდეგობას ხვდებოდა ამ საქმეში სამეურნეო ორგანიზაციების მხრით, მაგრამ ჩვენ გამოვიჩინეთ სათანადო სიმტკიცე და სხვადასხვა ორგანიზაციების დახმარების საშუალებით (მუშათა და გლეხთა ინსპექცია და სხ.) ვსცდილობდით განგვეხორციელებინა გამოგონებათა დაჯილდოვება და გამოგონებათა ცხოვრებაში გატარება. უნდა ითქვას, რომ ამ მხრით ჩვენ განსაზღვრული გარდატეხა მოვახდინეთ და ჩავაბით ამ საქმეში, როგორც ქვემდგომი საკავშირო ორგანიზაციები, ისე სამეურნეო დაწესებულებები.

ჩვენ უნდა გაუწიოთ ამ საქმეს სათანადო მხარდაჭერა და ყოველმხრივად შეუწყოთ ხელი გამომგონებლობის წახალისებას. საჭიროა დავაყენოთ საკითხი სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წინ, რომ ბიუროს, რომელიც პროფსაბჭოს ინიციატივით, სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოსთანაა დაარსებული, არა მარტო მიმოწერით, არამედ საქმით დაეხმარონ გამომგონებლებს.

საბჭოთა სახელმწიფო აპარატის ნამდვილი გაუმჯობესება და მისი დაახლოვება მუშათა მასასთან და აგრეთვე ბიუროკრატიზმის ნაშთების აღმოფხვრა ჩვენი აპარატის მუშაობაში, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დამთავრდეს წარმატებით, თუ სახელმძღვანელო სამუშაოზე სახელმწიფო, სამეურნეო და კოოპერატიულ დაწესებულებებში ჩვენ დავაწინაურებთ საუკეთესო მუშებს.

ადმინისტრატიულ სამეურნეო თანამდებობაზე დაწინაურებული მუშების რიცხვი 1927 წელს საქართველოში შეადგენდა 153 კაცს, ხოლო 1928 წელს 132. ეს ციფრები, ნათლად გვიჩვენებს, რომ დაწინაურების საქმე ჩვენში სუსტადაა დაყენებული. დაწინაურების საქმე არა თუ არ ძლიერდება, პირიქით იგი კლებულობს. სხვანაირად არ შეიძლება აიხსნას დაწინაურებულთა რიცხვის შემცირება.

რაში უნდა მდგომარეობდეს პრაქტიკულად პროფკავშირების მუშაობა დაწინაურების საქმეში?

უწინარეს ყოვლისა, პროფკავშირების მუშაობა დაწინაურების საქმეში მიმართული უნდა იყოს დაწინაურებულთა კადრის მომზადებაზე, მათს აღზრდაზე, მათგან ისეთი კადრის მომზადებაზე, რომ, სამეურნეო და საბჭოთა აპარატში სამუშაოდ დაწინაურებული იქნენ მართლაც რომ ღირსეული და მომზადებული ამხანაგები. ამ საქმეში დიდ დახმარებას გაგვიწევს მასიური ეკონომიური მუშაობა.

თუ მასიური ეკონომიური მუშაობა კარგად იქნება დაყენებული, მაშინ ჩვენ შევძლებთ მართლაც აღვზარდოთ და მოვამზადოთ მუშების გამოსაწევი კადრი.

მეორე საკითხია ამა თუ იმ სამუშაოზე გასაგზავნად დაწინაურებულთა შერჩევა. აქაც ყველაფერი როდია რიგზე დაყენებული. დაწინაურებულ კანდიდატთა შერჩევის დროს ყურადღება არ ექცევა იმას, რამდენად შეუძლია ამა თუ იმ ამხანაგს მისთვის დაკისრებული მუშაობის შესრულება.

მუშების დაწინაურების დროს ყოველ ცალკე შემთხვევაში გულდასმით უნდა გავარჩიოთ საკითხი, შეუძლია თუ არა ამ მუშაკს შეასრულოს ის თანამდებობა, რომელზედაც იგი იგზავნება. უბრალოდ მისი დაწინაურება და რომელიმე თანამდებობაზე გაგზავნა არ ივარგებს, ვინაიდან ეს საქმე უნაყოფო იქნება.

კავშირების დაცვითი მუშაობა

ყოველი კავშირის წესდებაში, ნათქვამია, რომ კავშირებმა ყოველივე ზომა უნდა მიიღონ კავშირის წევრთა უფლებრივი და ეკონომიური ინტერესების დასაცავად.

უნდა ითქვას, რომ ამ საქმეში მრავალი ნაკლოვანება გვაქვს. ზოგიერთ კავშირებში დაცვითი მუშაობა ძლიერ ცუდათაა დაყენებული. ხშირად საკმაოდ არაა დაცული მუშა-მოსამსახურეთა ინტერესები, ხშირად ხდება შრომის უფლებრივი პირობების დარღვევა. უფლების დარღვევის შემთხვევებს კავშირები ვერ ამჩნევენ და ამნაირად ეს საქმე უყურადღებოთ რჩება.

კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების დროს კავშირებს ხშირად შეაქვთ ხელშეკრულებაში ისეთი მუხლი, რომელიც მშრომელთა მდგომარეობას აუარესებს კანონით დადგენილ ნორმებთან შედარებით.

კანონში ნათლადაა ნაჩვენები, რომ შვებულების ფულიდან არ შეიძლება გამოქვითვა, ეს მთავარი მოთხოვნილება კანონისა ყველგან არ სრულდება.

კანონის დარღვევას ხშირადა აქვს ადგილი მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან დათხოვნის დროს. ჩვენი ქვემდგომი ორგანიზაციები და ცენტრალური გამგეობები საკმაო ზომებს როდი იღებენ ამ საქმეში და საკმაო დაჟინებით როდი მოითხოვენ, რომ გატარებული იქნეს ცხოვრებაში საბჭოთა შრომის კანონები. არამედ ხშირად ეხმარებიან ადმინისტრაციას.

ეხლა ვნახოთ როგორაა ბრძოლა შრომის საქმეების გაჭიანურების წინააღმდეგ.

პროფსაბჭომ გამოიკვლია თბილისის შრომის სასამართლოების მუშაობა და გამოარკვია, რომ მხოლოდ საქმეების 4 პროცენტი ირჩევა კანონით დადგენილ ვადაში. დანარჩენი საქმეების გარჩევა გრძელდებოდა 3—8 თვეს ხან კიდევ მეტს.

საქმეების გაჭიანურების უმრავლეს მიზეზს შეადგენს დაუდევრობა და უთავბოლობა ამ საქმეში.

ამჟამად გამოცემულია ახალი წესი, რომელიც ბევრად აადვილებს კონფლიქტების გარჩევის საქმეს. ამ წესით დადგენილია 7 დღის ვადა სასამართლოში საქმის გასარჩევად. საჭიროა მივიღოთ ზომები, რომ ეს კანონი ცხოვრებაში გატარდეს. საჭიროა აგრეთვე, რომ გულგრილად არ შევხედოთ კანონების დარღვევას, როგორც ეს დღემდე იყო.

საქმის გაჭიანურებას ადგილი აქვს არა მარტო შრომის სასამართლოებში, არამედ კავშირის ორგანოებშიაც.

შეფასებელ-საკონფლიქტო კომისიებში კონფლიქტების გასარჩევად ჩვენს ორგანიზაციებში დადგენილია ვადა 72 საათი. მაგრამ ეს ვადა ხშირად ირღვევა და კონფლიქტების გადაწყვეტა მთელი თვეობით გრძელდება.

უნდა შევთანხმდეთ ამ ყრილობაზე და დავადგინოთ, რომ მტკიცედ და ყოველმხრივად დავიცავთ კავშირის წევრთა ნივთიერ და ეკონომიურ ინტერესებს. ჩვენმა პროფმუშაკებმა ხშირად უნდა გადაიკითხონ წესდება და საწევრო წიგნაკები, არ მოიკითხონ მხოლოდ მაშინ, როცა საწევრო გადასახადის აკრეფის დრო მოვა.

* * *

შემდეგ მომხსენებელი ათავებს რა პროფკავშირთა მუშაობის მიმოხილვას მუშათა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების დარგში, მოკლედ ეხება კავშირების კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობას.

საქართველოს სოციალური დაზღვევის ორგანოების ფინანსიური მდგომარეობა*)

(საქართველოს პროფკავშირთა ყრილობის გამო)

რამდენათაც ფართოვდება ჩვენი სახალხო მეურნეობა და მტკიცდება მისი ფინანსიური ბაზა, იმდენათ ვითარდება სოციალური დაზღვევა და იზრდება მისი ბიუჯეტი.

მაგალითად, საქართველოს დამზღვევი ორგანოების შემოსავალი უდრიდა:

1924/25 საოპ. წელში	5.302.072 მ.
1925/26 საოპ. წელში	7.400.621 მ.
1926/27 საოპ. წელში	9.108.566 მ.
1927/28 საოპ. წელში	11.079.629 მ.
1928/29 წ. ნავარაუდ.	11.270.600 მ.

ასეთი ჩქარი ნაბიჯით იზრდება სოციალური დაზღვევის ორგანოების ბიუჯეტის **საშემოსავლო** ნაწილი. მაგრამ თუ ავიღებთ ამავე ორგანოების ბიუჯეტის **საგასავლო** ნაწილს, ჩვენ დავინახავთ, რომ აღნიშნულ წლებში, ხარჯები, გაწეული დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეთა უზრუნველყოფაზე, კიდევ უფრო ჩქარი ტემპით იზრდებიან.

აი, ხარჯების ჯამიც წლების მიხედვით:

1924/25 საოპ. წელში	5.231.339 მ.
1925/26 საოპ. წელში	8.210.750 მ.
1926/27 საოპ. წელში	10.156.865 მ.
1927/28 საოპ. წელში	12.627.497 მ.
1928/29 წ. ნავარაუდ.	14.723.333 მ.

ამნაირად, თუ 1924/25 წელთან შედარებით, 1927/28 წელში დამზღვევი ორგანოების შემოსავალი გაიზარდა 109,0%-ით, ხარჯების ზრდა 141,4%-ს აძლევა.

დაწყებული 1925/26 წლიდან საქართველოს დამზღვევი ორგანოების შემოსავალი ვეღარ ჰფარავს გასავალს და დეფიციტის ხვედრითი წონა წლიურად იზრდება.

მაგალითად, თუ 1924/25 საოპერაციო წელში ჩვენმა დამზღვევმა ორგანოებმა დაჰფარეს საკუთარი შემოსავლით ყოველგვარი ხარჯები და თავისუფალი თანხა ნაშთის სახით დარჩათ —70.733 მანეთი, შემდეგ წლებში დეფიციტი უდრის:

საოპერაც. წელში		
1925/26	810.128 მ.	ანუ შემ. 10,9%
1926/27	1.048.309 მ.	ანუ შემ. 11,5%
1927/28	1.547.868 მ.	ანუ შემ. 14,0%
1928/29	3.727.733 მ.	ანუ შემ. 33,1%

საქართველოს დამზღვევი ორგანოების ფინანსიური მდგომარეობის გაუარესება, როგორც ეს უკვე აღნიშნული გვქონდა ზევით, 1925/26 წლიდან დაიწყო. მაგრამ განსაკუთრებულ მძიმე პირობებში უხდებოდათ მათ მუშაობა 1927/28 საოპერაციო წელში. უსახსრობის გამო ხშირი იყო შემთხვევები, როცა ამა თუ იმ დამზღვევ კასაში მთელი თვეობით სწყდებოდა დახმარებათა გაცემა. ამ მხრივ კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობას გვიქადის 1928/29 საოპერაციო წელი. თუ 1927/28 წელში დეფიციტი 14,0% უდრიდა, 1928/29 წელში საქართველოს დამზღვევი კასების დეფიციტი—33,1% უდრის, ანუ მთელი შემოსავლის ერთ მესამედს.

როცა ჩვენი დამზღვევი ორგანოების ფინანსიურ მდგომარეობას ვეცნობით, თავის თავად გვებადება შემდეგი სამი კითხვა:

1. რა და რა წყაროებიდან ჰფარავდენ საქართველოს დამზღვევი კასები ყოველწლიურ გადახარჯვას,

2. რა და რა მიზეზები იწვევენ დამზღვევი ორგანოების დეფიციტიანობას ჩვენში და

3. რა ზომებია საჭირო ჩვენი დამზღვევი ორგანოების ფინანსიური ბაზის განსამტკიცებლად.

რა და რა წყაროებიდან იფარებოდა დეფიციტი

არსებული კანონმდებლობის მიხედვით დამზღვევი ორგანოების მთელი შემოსავალი ოთხ ფონდს შორის ნაწილდება. ეს ფონდებია: ა) დამზღვევი კასის საოპერაციო - საორგანიზაციო ხარჯების ფონდი, ბ) საექიმო დახმარების, გ) საკავშირო - სათადარიგო და ე) მუშათა საბინაო აღმშენებლობის ფონდი. დამზღვევი კასების უშუალო განკარგულებაში მხოლოდ ის თანხა გადადის, რომელიც ირიცხება დამზღვევი კასის ფონდში. დანარჩენი ფონდების თანხები, დამზღვევი კასის სალაროში შემოსვლისთანავე, უნდა გადაეცეს დანიშნულებისამებრ: საექიმო დახმარების — ჯანმრთელობის ორგანოებს, საკავშირო—სათადარიგო სოცდაზღვევის ცენტრალურ სამმართველოს და მუშათა საბინაო აღმშენებლობის — კომუნალურ ბანკს.

საქართველოს დამზღვევი ორგანოების შემოსავალი ფონდების მიხედვით განაწილებული იყო ასე:

საანგარიშო თარიღი	დამზღ. კასის ფონდი		საექ. დახმარები ფონდი		საკავშირო სათადარ. ფონდი		მუშათა აღმშენებ. ფონდი	
	აბსოლუტ. ციფრები მანეთებში	%% -ში საერთო ჯამთან	აბსოლუტ. ციფრები მანეთებში	%% -ში საერთო ჯამთან	აბსოლუტ. ციფრები მანეთებში	%% -ში საერთო ჯამთან	აბსოლუტ. ციფრები მანეთებში	%% -ში საერთო ჯამთან
1924/25 ს. წ.	3645460	68,8	1258290	23,7	398322	7,5	—	—
1925/26 „ „	4940227	66,8	1922632	25,9	537762	7,3	—	—
1926/27 „ „	5900792	64,8	2270221	24,9	653615	7,2	283938	3,1
1927/28 „ „	7325238	66,2	2614338	23,6	713185	6,4	426868	3,8
1928/29 წ. სავარ.	7363865	66,0	2511287	22,5	798185	7,2	490095	4,4

დამზღვევი კასის ფონდში შემოსავლის საერთო ჯამიდან საშუალოთ მხოლოდ 66,5% გადადის. დანარჩენი თანხა, ანუ 33,5% სხვა ფონდების კუთვნილებას შეადგენს. და აი, დამზღვევი კასები, როცა საოპერაციო-საორგანიზაციო ხარჯებს ვეღარ ჰფარავდენ დამზღვევი კასის ფონდიდან, იძულებული იყვნენ ამ ხარჯების დაფარვა წარმოებინათ სხვა ფონდებიდან. ამით, რასაკვირველია, ჩვენი დამზღვევი კასები არღვევდენ ფონდების შესახებ არსებულ დებულებებს. მაგრამ საქართველოს დამზღვევი ორგანოების წინაშე კითხვა ასე იდგა ხოლმე:

დამზღვევი კასის ფონდი, თუნდაც საპროცენტო ანარიცხების აკრეფა 100%-დე იქნეს აყვანილი, ვერ ჰფარავს საოპერაციო - საორგანიზაციო ხარჯებს. ასეთ პირობებში ან ცენტრმა უნდა მისცეს დამზღვევ კასებს დოტაცია, ან დაზღვევის საშუალო ტარიფი უნდა იქნეს გადიდებული ან და ხარჯების შემცირება უნდა მოხდეს იმდენათ, რომ დამზღვევი კასის ფონდმა დაჰფაროს იგი.

დაზღვევის ტარიფის გადიდება მარტო საქართველოს დამზღვევ ორგანოებზე არ არის დამოკიდებული. ამ კითხვის გადაჭრა მარტო ჩვენ არ შეგვეხება. საოპერაციო ხარჯები, რომელიც დამოკიდებულია, ერთი მხრივ დაზღვევის რისკის მოძრაობაზე, ხოლო მეორეს მხრივ—ცენტრის მიერ გამოცემულ კანონმდებლობაზე, რომელიც წინასწარ განსაზღვრავს დახმარებათ ნორმებს, საქართველოს დამზღვევ ორგანოებს არ შეუძლიათ შეამცირონ დადგენილებათა გამოცემის საშუალებით.

ამნაირად, ჩვენს დამზღვევ კასებს რჩებოდათ მხოლოდ ორი გზა: ან ცენტრიდან უნდა მიეღოთ დოტაცია თავის დროზე, ან და ვიდრე ცენტრიდან დოტაციას მიიღებდენ, შეეწყვიტათ დახმარებათა გაცემა. რამოდენიმე დამზღვევ კასაში ასეც ხდებოდა. ჭიათურაში, ფოთში, ოზურგეთში და სხვაგან იყო შემთხვევები 1927/28 წელში დახმარებათა მთელი თვეობით შეწყვეტის.

როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, 1927/28 საოპერაციო წელში საქართველოს დამზღვევი ორგანოების დეფიციტი 1.547.868 მანეთს უდრიდა. რომ ეს ასე მოხდებოდა სრულიად საქართველოს სოცდაზღვევის კომიტეტმა ჯერ კიდევ წლის დასაწყისში გაითვალისწინა და აღძრა შუამდგომლობა ა/კ. მთავ. სამმართველოს წინაშე 1.300.000 მანეთის დოტაციის შესახებ. მაგრამ მთელი საანგარიშო წლის განმავლობაში საქართველოს დამზღვევმა ორგანოებმა დოტაციის სახით მხოლოდ 569.257 მანეთი მიიღეს, ანუ დეფიციტის ერთი მესამედი. დანარჩენი ორი მესამედი დაფარული იქნა თვითნებობის გზით საკავშირო სათადარიგო და მუშათა საბინაო აღმშენებლობის ფონდებისადმი კუთვნილ თანხებიდან.

ამ აქტით საქართველოს დამზღვევმა კასებმა დაარღვიეს ფონდების შესახებ არსებული კანონმდებლობა, მაგრამ, ვიმეორებთ, სხვა გამოსავალი შექმნილ მდგომარეობიდან არ არსებობდა, თუ, რასაკვირველია, არ შესწყვეტდენ ავადმყოფთა, პენსიონერთა და უმუშევართა უზრუნველყოფაზე დახმარებათა გაცემას. ეს უკანასკნელი გზა კი ყოვლად მიუღებელი იყო.

აი, როგორ იფარებოდა ჩვენში სოცდაზღვევის ორგანოების დეფიციტი.

დეფიციტის მიზეზები

საქართველოს დამზღვევი ორგანოების დეფიციტიანობის მთავარ მიზეზებათ უნდა ჩაითვალოს, ერთის მხრივ—დაზღვევის ტარიფის საშუალო ოდენობის სიმცირე, ხოლო მეორეს მხრივ—დაზღვევის რისკის დიდი მაჩვენებლები. ისედაც მცირე დაზღვევის საშუალო ტარიფი დაწყებული 1925/26 წლიდან ყოველ წლიურად მცირდება. თუ, მაგალითად, 1924/25 საოპერაციო წელში გაცემულ სამუშაო ხელფასის ყოველ მანეთიდან დამზღვევ კასებს ერგებოდათ 13,55 კაპეიკი, 1927/28 წელში კი მხოლოდ 12,1 კაპ. ეს ერთი შეხედვით უმნიშვნელო შემცირება დაზღვევის საშუალო ტარიფის იწვევს დამზღვევი ორგანოების შემოსავლის ხვედრითი წონის 8,7%-ით შემცირებას.

გარდა ამისა, 1924/25 წელთან შედარებით შემცირდა აგრეთვე დამზღვევი კასის ფონდის ხვედრითი წონა. თუ, მაგალითად, 1924/25 წელში დამზღვევ ორგანოებში შემოსულ ყოველ 100 მანეთიდან დამზღვევი კასის ფონდში ირიცხებოდა 68 მან. და 80 კ. 1927/28 წელში მხოლოდ 66 მ. და 20 კ. გადადის. ამნაირად, დამზღვევი კასის ფონდის ხვედრითი წონაც 1927/28 საოპერაციო წელში შემცირდა 3,8%-ით. ერთად კი—დაზღვევის ტარიფისა და დამზღვევი კასის ფონდის ხვედრითი წონის შემცირებამ გამოიწვია საქართველოს დამზღვევი ორგანოების საერთო შემოსავლის ხვედრითი წონის შემცირება 14,1%-ით.

ამნაირად, შესუსტდა რა დამზღვევი კასების ფინანსიური ბაზა, მეორეს მხრივ თვალსაჩინოთ გაიზარდა დაზღვეულთა უზრუნველყოფაზე გაწეული ხარჯების ხვედრითი წონა, რაც შედეგია იმის, რომ ჩვენში თანდათან იზრდება დაზღვევის რისკის სხვადასხვა სახეები.

მაგალითად, 1924/25 წელთან შედარებით 1927/28 წელში გაიზარდა:

1. მუშაობის უნარის დროებით დაკარგვის გამო ანაზღაურებული დღეები 100 დაზღვეულზე 14,2%-ით.
2. უმუშევართა რიცხვი 1000 აქტიურ დაზღვეულზე 89,6%-ით.
3. პენსიონერების რიცხვი 1000 აქტიურ დაზღვეულზე 89,6%-ით.
4. ყოველთვიური პენსიის საშუალო ნორმა 106,9%-ით.
5. თვიური დახმარების ნორმა უმუშევრობის გამო 178,5%-ით.

ამნაირად, დაზღვევის რისკის ამ სახეების და დახმარებათა ნორმების ზრდამ გამოიწვია ხარჯების ხვედრითი წონის ზრდა 73,8%-ით.

ბუნებრივია, შემოსავლის მაჩვენებელთა შემცირებას, ხოლო გასავლის მაჩვენებელთა ასეთი სწრაფი ნაბიჯით ზრდას უნდა გამოეწვია საქართველოში დამზღვევი ორგანოების ფინანსიური მდგომარეობის გამწვავება და ეს ასეც მოხდა. კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობას გვიქადის 1928/29 საოპერაციო წელი, თუ გამონახული არ იქნა რაიმე გამოსავალი.

რა ზომებია საჭირო

შემოსავალ - გასავლის მაჩვენებელთა ისეთი ურთიერთობა, როგორიც ამჟამათ არსებობს, გვიჩვენებს, რომ საქართველოს დამზღვევი ორგანოები ვერასოდეს ვერ შესძლებენ საკუთარი ძალ-ღონით, ანუ საკუთარი თანხებით სოციალური დაზღვევის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, თუ გადიდებული არ იქნა დაზღვევის საშუალო ტარიფის ოდენობა 14,5%-დე. მაგრამ საშუალო ტარიფის ამ ოდენობაზე აყვანა ჩვენში, სადაც სახელმწიფო აპარატის ხვედრითი წონა დაზღვეულთა რიცხვში ფრიად დიდია, შეუძლებელია. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ დაზღვევის ტარიფის გადასინჯვა არ უნდა მოხდეს; რომ წარმოება - დაწესებულებათა დაზღვევის ტარიფის მიხედვით განიხვრის საქმე არ არის სათანადო სიმაღლეზე ჩვენში, ეს აშკარაა. გარდა ამისა, მთელი რიგი საწარმოო დარგები, განსაკუთრებით კი კომუნალური მეურნეობა შეღავათიან ტარიფიდან გადაყვანილი უნდა იქნეს ნორმალურ ტარიფზე. წარმოების ეს დარგები შეღავათიან ტარიფზე გადაყვანილი იყო იმის გამო, რომ ამ ორი-სამი წლის წინად მძიმე ფინანსიურ მდგომარეობას განიცდიდენ. ამჟამათ კი ასეთ მდგომარეობას ადგილი აღარა აქვს.

დაზღვევის ტარიფის გადიდებასთან უნდა ახლდეს დამზღვევი ორგანოების მხრივ სამკრეფო მუშაობის გაცხოველება. ამ მხრივ საქართველოს დამზღვევ ორგანოებს უამრავი დეფექტები აქვთ. ჩვენ დღემდე ვერ შევსძელით საანგარიშო უწყებების მთელი 100%-ით თავის დროზე მიღება. ის საანგარიშო უწყებებიც კი, რომლებსაც თავის დროზე ვღებულობთ, ხშირათ სწორად არ არის შედგენილი დამქირავებლისაგან. საანგარიშო უწყება ერთად ერთი საბუთია, რომლის საშუალებით ვანგარიშობთ, თუ რამდენი გვერგება დამქირავებლისაგან. ამ საბუთის მიხედვით გამოგვყავს დამქირავებლებზე დარჩენილი დავალიანების ჯამი, დაზღვეულთა რიცხვი, საშუალო სამუშაო ხელფასი და სხვ.

თუ რამდენად ცუდად არის დაყენებული საანგარიშო უწყებების შედგენის საქმე და რამდენ ბოროტებას აქვს ადგილი დამქირავებლების მხრივ, ეს აშკარათა სჩანს თუნდაც იქიდან, რომ მარტო თბილისში გასულ წელს 67 წარმოება - დაწესებულებაში აღმოჩენილი იყო გადამალული ხელფასი 1.953.787 მანეთის რაოდენობით. ამ თანხიდან მარტო ძირითადი ანარიცხების სახით დამზღვევ კასას ერგება —224.939 მანეთი. ვინ იცის, იმ 3000 დამქირავებლიდან, რომლებიც თბილისის დამზღვევ კასას ჰყავს აყვანილი აღრიცხვაზე, კიდევ რამდენი მათგანი სჩადის ასეთ ბოროტებას. საანგარიშო უწყების თავის დროზე მიღებას და ამ უწყებების სასტიკ კონტროლს უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს.

სისრულით უნდა იქნეს გამოყენებული უდავო იძულებითი გადახდევინების წესი. არც ერთი კაპეიკი დავალიანება, ძველი დავალიანების სისრულით აკრეფა—ასეთი უნდა იყოს საქართველოს დამზღვევი ორგანოების ლოზუნგი 1928/29 საოპერაციო წელში.

ამით მაქსიმუმამდე იქნება აყვანილი საქართველოს დამზღვევი ორგანოების შემოსავალი.

რაც შეეხება **გასავალს**, ვიდრე შევეხებით იმ კითხვას, თუ უზრუნველყოფის რომელ სახეზე შეიძლება ხარჯების შემცირება, აქვე მოვიყვანთ პატარა ცხრილს ამ ხარჯების წლების მიხედვით მოძრაობის შესახებ.

უზრუნველყოფის სახეები	უზრუნველყოფის თვითეული სახეზე გაწეული ხარჯ. ხვედრითი წონა			
	24/25 წ.	25/26 წ.	26/27 წ.	27/28 წ.
1. მუშაობის უნარ. დრ. დაკარგვა	41,8	40,5	40.0	37,2
2. პენსიონერ. უზრუნველყოფა	8,8	12,5	17,3	19,7
3. უმუშევართა უზრუნველყოფა	5,1	8,0	8,5	17,4
4. დახმარების დამატ. სახეები	16,4	19,2	15,5	11,9
5. საორგანიზაციო ხარჯები	10,9	9,0	7,0	5,6
6. პროფილაქტიკა	14,6	6,5	6,6	4,9
7. სხვადასხვა ხარჯები	2,4	4,3	5,1	3,3

გასავლის საერთო ჯამში პირველი ადგილი მუშაობის უნარის დროებით დაკარგვაზე გაწეულ ხარჯებს უკავიათ. თუმცა, დაწყებული 1925/26 წლიდან, ამ ხარჯების ხვედრითი წონა შემდეგ წლებში თანდათან მცირდება. თანდათან მცირდებიან აგრეთვე ხარჯები: დახმარების დამატებით სახეებზე პროფილაქტიკაზე და ხარჯები, გაწეული საორგანიზაციო საჭიროებებზე. სამაგიეროდ ფრიად ჩქარი ტემპით იზრდება ხარჯების ხვედრითი წონა: პენსიონერებზე და უმუშევრებზე.

დამზღვევი ორგანოების ხარჯები ორ კატეგორიად იყოფიან. პირველ კატეგორიას ეკუთვნიან დაზღვევის რისკის ის სახეები, რომელთა მოძრაობა და ღირებულება დამზღვევი ორგანოების ზეგავლენას არ ექვემდებარება. დამზღვევ ორგანოებს არ შეუძლიათ არც ამ მოძრაობის შენელება და არც ხარჯების შემცირება, ვინაიდან რისკის ამ სახეების მოძრაობა დამოკიდებულია გარეშე პირობებზე, ხოლო დახმარებათა ნორმები შრომის კანონმდებლობით წინასწარ არის განსაზღვრული. ასეთია მაგალითად, პენსიონერთა და უმუშევართა რიცხვის მოძრაობა, მშობიარობისა და გარდაცვალების შემთხვევები და აგრეთვე მუშაობის უნარის დროებით დაკარგვის რისკი.

დამზღვევი ორგანოების ხარჯების მეორე კატეგორიას ეკუთვნიან ისეთი ხარჯები, რომელთა განსაზღვრა, — გადიდება თუ შემცირება, — სავსებით დამზღვევი ორგანოების ხელშია. ასეთია: საორგანიზაციო ხარჯები და პროფილაქტიური ღონისძიებანი.

როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ვხედავთ, პირველი კატეგორიის ხარჯებზე გასავალი უდრის 89,5 პროც., ხოლო მეორე კატეგორიის ხარჯებზე — 10,5 პროც. ამ ორი კატეგორიიდან რომელში შეიძლება ხარჯების შემცირება? თუ ავიღებთ საორგანიზაციო საჭიროებებს და პროფილაქტიურ ღონისძიებათა ხარჯებს, ერთი რომ, მათი შემცირება რაიმე თვალსაჩინო გავლენას ვერ მოახდენს ჩვენი დამზღვევი ორგანოების დეფიციტიანობაზე; მეორე — პროფილაქტიური ხარჯების შემცირება გავლენას მოახდენს მუშაობის უნარის დროებით დაკარგვის მოძრაობაზე გადიდების მხრივ და ამით დამზღვევი ორგანოების ხარჯების საერთო ჯამი გაიზრდება, ხოლო საორგანიზაციო ხარჯების წინდაუხედავი შემცირება გაცილებით უფრო დიდ ზიანს მოუტანს, როგორც თვით დაზღვეულთ, ისე დამზღვევ ორგანოებს, ვინაიდან, ამ ხარჯების ხელ - ახალი შემოკლება დამზღვევი კასების მხოლოდ თანამშრომელთა შტატის შემოკლებით არის შესაძლებელი. ეს კი გამოიწვევს დაზღვეულთა თავის დროზე დაკმაყოფილების შეფერხებას, საკონტროლო აპარატის დასუსტებას, საპროცენტო ანარიცხების თავის დროზე აუკრეფლობას და სხვა.

რაც შეეხება პირველი კატეგორიის ხარჯებს, აქედან მხოლოდ მუშაობის უნარის დროებით დაკარგვის რისკია, რომლის მოძრაობაზეც შესაძლოა გავლენის მოხდენა დამზღვევი კასების მხრივ. დღეს არავისათვის, საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ დაზღვეულთა შორის არიან ისეთები, რომლებიც ბოროტათ იყენებენ თავის უფლებას და სიმულიაციის გზით, ან ყალბი საბუთების გაკეთებით, ხშირათ სცარცვავენ დამზღვევი კასის სალაროს. აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მკურნალი ექიმები, რომელთა ხელშიც იმყოფება დაზღვეულთა ავადმყოფობის შემთხვევაში სამუშაოდან განთავისუფლების საქმე, ხშირად იოლად ეკიდებიან თავის მოვალეობას და არა ერთი და ორი ათეული ბიულეტენის ანაზღაურება უხდებათ უმართებულოდ ჩვენს დამზღვევ კასებს.

ასეთ არანორმალურ მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ დამზღვევმა კასებმა. ამით არა ერთი და ორი ათასი მანეთის ეკონომიის გაკეთება შეიძლება.

ამნაირად, ერთის მხრივ შემოსავლის გადიდება, ხოლო მეორეს მხრივ, გასავლის შესაძლებლობის ფარგლებში შემცირება ოდნავ მაინც შეამცირებს საქართველოს დამზღვევი ორგანოების დეფიციტს.

მაგრამ ეს ღონისძიებანი ჩვენ მაინც არ მოგვცემს საშუალებას, რომ დეფიციტიანობას თავი დავაღწიოთ. დაახლოვებით ორ მილიონ ნახევარი მანეთის დოტაციის სახით მიღება მაინც აუცილებელია ცენტრიდან. უამისოთ საქართველოს დამზღვევი ორგანოები ვერ შესძლებენ არსებობას.

სრულიად საქართველოს სოცდაზღვევის კომიტეტმა ეხლავე უნდა დასვას ეს კითხვა ცენტრის წინაშე. დოტაციის სახით მისაღები თანხა წინასწარ უნდა განისაზღვროს თვეების მიხედვით. ყოვლად დაუშვებელია დოტაციის იმ სახით და წესით მიღება, როგორც ეს შარშან ხდებოდა.

ბ. ჟუმბურიძე.

---

*) წერილის ის ნაწილი, რომელიც ეხება დაზღვევის ტარიფის გადასინჯვის საკითხს, მიდის კამათის წესით.

რედ.

საბჭოთა არჩევნებისათვის

საარჩევნო ინსტრუქცია

დადგენილება

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა

საბჭოთა არჩევნების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის კონსტიტუციის 95 მუხლის თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1) დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული ინსტრუქცია მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევის შესახებ.

2) ამ დადგენილების მიღების დღიდან გაუქმებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1927 წლის დეკემბრის 16-ს დამტკიცებული ინსტრუქცია მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევის შესახებ.

3) აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის, აჭარისტანის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს ნება ეძლევათ შეიტანონ ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ ინსტრუქციაში დამატება, რაც საჭირო იქნება, ყოფა-ცხოვრების თავისებურებისა და სხვა ადგილობრივი პირობების მიხედვით, იმ პირობით, რომ ეს დამატება წინასწარ დამტკიცებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე— ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი — ი. ვარძიელი.

1928 წ. ნოემბრის 21.

ქ. თბილისი — სასახლე.

დადგენილება

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა

საბჭოების და საბჭოთა ყრილობების არჩევნების შესახებ 1929 წელში

საქ. სოც. საბჭ. რესპ. კონსტიტუციის 65 მუხლის თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. მოხდეს 1929 წელს სასოფლო, სათემო და საქალაქო საბჭოების, აგრეთვე სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების არჩევნები.

შენიშვნა. არჩევნების წესი განისაზღვრება სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის განსაკუთრებული ინსტრუქციით — მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევის შესახებ.

2. მოსამზადებელ მუშაობას არჩევნებისათვის სათანადო ორგანოები, უნდა შეუდგნენ დაუყოვნებლივ ამ დადგენილების ძალაში შესვლისთანავე; საანგარიშო და წინასწარი საარჩევნო კამპანია ჩატარებული უნდა იქნეს 1929 წ. იანვრის 1-დან იმავე წლის თებერვლის 1-მდე, ხოლო საბჭოების არჩევნები უნდა მოხდეს 1929 წ. თებერვლის 1-დან მარტის 1-მდე.

3. აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკისა, აჭარისტანის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოების ყრილობები და საბჭოთა სამაზრო ყრილობები მოწვეულ უნდა იქნეს 1929 წლის მარტის 1-დან მარტის 15-მდე.

4. სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობა მოწვეულ იქნეს 1929 წლის მარტის მეორე ნახევარში.

5. სათანადო ორგანოებს ევალებათ დაუყოვნებლივ შეადგინონ აფხაზეთის ს. ს. რ-ისა, აჭარისტანის ავტონომიური ს. ს. რ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საარჩევნო კომისიები და სამაზრო, საქალაქო, სარაიონო, სათემო და სასოფლო საარჩევნო კომისიები საარჩევნო ინსტრუქციით გათვალისწინებული წესისამებრ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე— ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი — ი. ვარძიელი.

1928 წ. ნოემბრის 21.

თბილისი—სასახლე.

ინსტრუქცია

მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევის შესახებ

თავი I

მოქალაქეთა საარჩევნო უფლება

1. უფლება არჩიოს და არჩეულ იქნეს საბჭოებში ეკუთვნის, ეროვნებისა, რასისა, ბინადრობისა და სხ. განურჩევლად, საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ორივე სქესის შემდეგ მოქალაქეთ, რომელთაც არჩევნების დღისათვის 18 წელი შესრულებიათ:

ა) ვინც ცხოვრების სახსარს სარგო და ზოგად-სასარგებლო შრომით პოულობს, როგორიც არის მაგალითად: ვაჭრობა-მრეწველობისა და სასოფლო-მეურნეობაში დაქირავებული ყველა დარგისა და კატეგორიის მუშა და მოსამსახურე, მიწის მუშა გლეხი, რომელიც დაქირავებულ შრომას არ გამოიყენებს მოგების მიზნით, შინა-მრეწველი და ხელოსანი, საბჭოთა დაწესებულების მოსამსახურე და სხ., აგრეთვე ვინც შინაურ მეურნეობას ეწევა და ამით შესაძლებლობას აძლევს პირველთ გასწიონ სარგო შრომა;

ბ) მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და წითელი ფლოტის წითელარმიელთა და წითელფლოტელთ.

შენიშვნა: ამ მუხლში აღნიშნული მოქალაქეები არ დაკარგავენ საარჩევნო უფლებას მაშინაც, თუ ისინი მოკლებულნი იქნებიან შრომის უნარს ან დროებით უმუშევრად დარჩებიან.

2. აქტიური და პასიური საარჩევნო უფლებით საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეებთან თანასწორად სარგებლობს კავშირის სხვა საბჭოთა რესპუბლიკის ყველა მოქალაქე, რომელიც საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე იმყოფება, თუ ის შეეფერება 1-ლი მუხლით გათვალისწინებულ პირობებს.

3. საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკა, იცავს რა ყველა ქვეყნისა და ეროვნების მშრომელთა სოლიდარობას, ყველა პოლიტიკურ უფლებასთან ერთად აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლებას ანიჭებს უცხოელებსაც, რომელნიც მის ტერიტორიაზე რაიმე შრომას ეწევიან და ეკუთვნიან მუშათა კლასს, ან გლეხობას, რომელიც არ სარგებლობს სხვისი შრომით.

შენიშვნა: ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილებით არჩევნებში მონაწილეობის უფლება შეიძლება მიენიჭოს აგრეთვე იმ მშრომელ უცხოელებს, რომელნიც საბჭოთა სოც. რესპ. კავშირის ტერიტორიაზე ცხოვრობენ, მაგრამ მუშათა კლასს ან გლეხობას არ ეკუთვნიან, უკეთუ საკმაოდ დამტკიცებულია მათი სრული ლოიალობა საბჭოთა მთავრობის მიმართ.

4. ვერ აირჩევენ და ვერ იქნებიან არჩეულნი, თუნდაც ეკუთვნოდნენ მოქალაქეთა ერთ-ერთ 1-ლ მუხლში ჩამოთვლილ კატეგორიას:

ა) ვინც მოგების მიზნით სარგებლობდა ან ამჟამად სარგებლობს დაქირავებული შრომით;

ბ) ვინც უშრომლად მიღებული შემოსავლით ცხოვრობდა ან ამჟამად ცხოვრობს, როგორიცაა კაპიტალის სარგებელი, საწარმოს შემოსავალი, ქონების შემოსავალი და სხვა;

გ) ვინც კერძო ვაჭრობას და აგრეთვე სავაჭრო და საკომერციო შუამავლობას ეწეოდა ან ამჟამად ეწევა;

დ) ყველა სარწმუნოებისა და რჯულის რელიგიური კულტის სასულიერო მსახურნი როგორც ყოფილნი, ისე აწინდელნი;

ე) ვინც მსახურობდა მეფის მთავრობასთან პოლიციასა და ჟანდარმთა ცალკე კორპუსში ან დამცველ განყოფილებაში, და საქართველოს მენშევიკურ მთავრობასთან შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო რაზმში, რუსეთში ყოფილი მეფის საგვარეულოს წევრი, აგრეთვე ის პირი, ვინც ხელმძღვანელობას უწევდა პოლიციას, ჟანდარმერიას და დამსჯელ ორგანოებს;

ვ) ვისაც სისხლის სამართლის კანონიერ ძალაში შესული განაჩენით გადაწყვეტილი აქვს სოციალური დაცვის ღონისძიება, რომელსაც თან სდევს უფლებათა შეზღუდვა, სასამართლოს განაჩენით დადგენილ ვადამდე;

ზ) ვინც დადგენილი წესისამებრ ცნობილია სულით ავადმყოფად ან შეშლილად, ან ვინც მეურვეობაში იმყოფება;

5. მოქალაქეთა ცალკე კატეგორიებიდან საარჩევნო უფლებით ვერ ისარგებლებს:

ა) მიწად-მომქმედი, რომელიც გამოიყენებს დაქირავებულ შრომას, მუდმივს ან სასეზონს, ისეთი რაოდენობით, რომ მისი მეურნეობა გადასცდება შრომითი მეურნეობის ფარგლებს;

შენიშვნა: შრომითი მეურნეობის დამახასიათებელი ნიშანი ამ შემთხვევაში ის არის, რომ დაქირავებულ შრომას აქვს დამხმარე მნიშვნელობა, და ოჯახში მყოფი ყველა შრომისუნარიანი წევრი აუცილებლად მონაწილეობს ყოველდღიურ მუშაობაში.

ბ) მიწად-მომქმედი, რომელსაც სამიწადმოქმედო მეურნეობასთან ერთად აქვს სასარეწაო და სამრეწველო საწარმო (წისქვილი, ხეხერხავი ქარხანა და სხვა), რომელიც მუშაობს მუდმივი ან სასეზონო დაქირავებული შრომის დახმარებით;

გ) ის პირი, ვინც ეკონომიურად იმორჩილებს ადგილობრივ მოსახლეობას სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა, სამუშაო საქონლისა და სხვა ასეთების მისთვის სისტემატიურად მიქირავების გზით, ან ვინც მუდმივად აწოდებს მოსახლეობას ფულად ან საქონლის კრედიტს კაბალური პირობით;

დ) შინამრეწველი და ხელოსანი, რომელიც მიმართავს მუდმივ დაქირავებულ შრომას, უკეთუ მათ არ შეეფარდებათ ამა ინსტრუქციის მე-6 მუხლის პ. „თ";

ე) სამრეწველო ტიპის საწარმოს მეპატრონე, რომელიც აწარმოებს მოსახლეობის ექსპლოატაციას ამა თუ იმ სამუშაოს გაცემის გზით—სახლში შესასრულებლად;

ვ) ფაბრიკა-ქარხნის ტიპის საწარმოს პატრონი და მოიჯარადრე;

ზ) თეთრი ჯარების ყოფილი ოფიცრები და სამხედრო მოხელეები და ამ ჯარების რიგებში ნებაყოფლობით შესული ჯარის კაცები, აგრეთვე კონტრ-რევოლიუციონური ბანდების ხელმძღვანელები, თუ მათ არა აქვთ აღდგენილი საარჩევნო უფლება საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ან ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის განსაკუთრებული დადგენილებით და არ უდგებიან ამა ინსტრუქციის მე-6 მუხლის „ნ" პუნქტის მოქმედებას;

თ) ის პირი, ვინც პირდაპირ თუ არა პირდაპირ ხელმძღვანელობას უწევდა ყოფილი პოლიციის, ჟანდარმერიის და დამსჯელი რაზმების მუშაობას, როგორც მეფის მთავრობის, ისე თეთრ კონტრ-რევოლიუციონურ მთავრობათა დროს, როგორიც არიან: ყოფილი მინისტრი და მისი ამხანაგი, სამინისტროთა დეპარტამენტის დირექტორი, გენერალ-გუბერნატორი, მთავარმართებელი საგანგებო დაცვის წესების მოქმედების დროს, სამხედრო და სამოქალაქო გუბერნატორი, ვიცე-გუბერნატორი, თავად-აზნაურობის საგუბერნიო და სამაზრო წინამძღოლნი, საგანგებო მინდობილობათა მოხელე, სასამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარე, სისხლის სამართლის დეპარტამენტის თავმჯდომარე და წევრი, აგრეთვე სასამართლო პალატის პროკურორი და პროკურორის ამხანაგი; განსაკუთრებულ დიდ საქმეთა გამომძიებელი; სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარე და წევრი, სამხედრო გამომძიებელი, სამხედრო პროკურორი და მისი თანაშემწე; საერობო და მაზრის უფროსი; შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხელე და საპატიმრო უწყების ყველა მოსამსახურე; აგრეთვე ის პირი, ვისაც მენშევიკური მთავრობის დროს საქართველოში ეჭირა შემდეგი თანამდებობა: მინისტრისა, მისი ამხანაგისა, გენერალ-გუბერნატორისა, საგანგებო კომისარისა, სახალხო გვარდიის შტაბის თავმჯდომარისა და წევრისა, საგანგებო და სამხედრო საველე სასამართლოს წევრისა და პროკურორისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორისა და ვიცე-დირექტორისა, იმავე სამინისტროს ადმინისტრატიული განყოფილების უფროსისა და უფროსის თანაშემწისა, ადმინისტრაციის ინსპექტორისა და საპატიმროების ინსპექტორისა;

ი) ადმინისტრატიული წესით გადასახლებული, აგრეთვე ის პირი, ვის შესახებაც სასამართლოს გამოტანილი აქვს განაჩენი მისი განდევნის შესახებ წინანდელი საცხოვრებელი ადგილიდან, ამ ადგილის ბოროტმოქმედთა წრესთან კავშირის გამო; საპატიმროში მოთავსებული.

6. საარჩევნო უფლება არ წაერთმევათ შემდეგი კატეგორიის პირთ:

ა) მიწად-მომქმედს, რომელიც გამოიყენებს თავის მეურნეობაში ერთი მუდმივი მუშის დაქირავებულ შრომას განსაკუთრებული გარემოების გამო, როგორიცაა: ავადმყოფობა, მობილიზაცია, მილიციაში სამსახური, არჩევა საზოგადოებრივ თანამდებობაზე, რომელიც მოითხოვს მეურნეობის ჩამოშორებას, და სხვა, სანამ ასეთი მდგომარეობა იარსებებს;

ბ) მიწად-მომქმედს, რომელიც გაცხარებული მუშაობის პერიოდში მოკლე ხნით დაიქირავებს მუშებს, რიცხვით არა უმეტეს 2 კაცისა, პურის, თივის, ბამბის და სხვა ტეხნიკური კულტურის მოსარწყავად ან მოსავლის ასაღებად, სიმინდის გასათოხნად, ყურძნის მოსაკრეფად, და სხვა საჩქარო სამუშაოს შესასრულებლად.

შენიშვნა: აფხაზეთის მეთამბაქოებს რომელნიც თამბაქოს დამუშავებისა და მისი მოსავლის აღებისათვის გამოიყენებენ დაქირავებული მუშების შრომას ორ კაცზე უმეტესი რაოდენობით ერთ დღეს, საარჩევნო უფლება არ წაერთმევა, უკეთუ მთელი სეზონის განმავლობაში დაქირავებული შრომა არ აღემატება ას სამუშაო დღეს.

გ) მიწად-მომქმედ გლეხს, რომელიც თავის ოჯახიდან სასეზონო სამუშაოზე მიდის და ამ დროისათვის დაიქირავებს ერთს მუშას ან მოჯამაგირეს;

დ) გლეხს, რომელსაც ერთი მწყემსი ჰყავს დაქირავებული, უკეთუ მწყემსის შრომას დამხმარე ხასიათი აქვს და ოჯახში მყოფი შრომისუნარიანი წევრები ყოველდღიურ მუშაობაში მონაწილეობას ღებულობენ;

ე) იმ პირს, რომელიც თავის შრომით ეწევა სასოფლო მეურნეობას და თავის მეურნეობის ნაწარმოებს ბაზარზე ასაღებს;

ვ) იმ მუშის ოჯახის წევრებს, რომელიც ფაბრიკაში ან ქარხანაში მუშაობს, მაგრამ კავშირი არ გაუწყვეტია სასოფლო მეურნეობასთან და ამ მეურნეობაში ერთი მუდმივი დაქირავებული მუშის შრომით სარგებლობს იმ პირობებში, რაც მე-5 მ. „ა" პუნქტის შენიშვნით არის გათვალისწინებული;

ზ) წარმოებითი საწარმოს მოიჯარადრეს, რომელიც დაქირავებულ შრომას არ მიმართავს და იჯარით აღებულ საწარმოში თითონ მუშაობს და თავის ოჯახის წევრებს ამუშავებს, უკეთუ იგი არ არის მოკლებული საარჩევნო უფლებას ამა ინსტრუქციის სხვა მუხლის ძალით.

თ) შინა-მრეწველსა და ხელოსანს, რომელიც აწარმოებს შრომის მეურნეობას დაქირავებული მუშა-ძალის გამოუყენებლად, (ან სხვას აძლევს სამუშაოს შესასრულებლად იმ შემთხვევაში, როდესაც სახელოსნოს მოწყობილობა მას ნებას არ აძლევს თვით შეასრულოს მთელი სამუშაო), ან რომელსაც წარმოების პირობების გამო ჰყავს ერთი მოზრდილი მუშა, ან არა უმეტეს ორი შეგირდისა;

შენიშვნა: წარმოების პირობები ამ შემთხვევაში გულისხმობს მხოლოდ ტეხნიკურ პირობებს, როდესაც თვით ხელობა ისეთია, რომ აუცილებლად მოითხოვს დაქირავებული მუშის დახმარებას (როგორც მაგალითად მჭედლისათვის საჭიროა მეჩანგე).

ი) იმ პირს, ვინც იღებს პროცენტს შრომის შემნახველ სალაროში შეტანილი ანაბარისათვის, ან სახელმწიფო, კომუნალური და კოოპერატიული სესხის ობლიგაციებისათვის, უკეთუ ეს შემოსავალი არ შეადგენს მისი არსებობის ძირითად წყაროს, ან თუ ეს პირი არ არის მოკლებული საარჩევნო უფლებას სხვა რაიმე საფუძველზე;

კ) იმ პირს, ვინც განსაკუთრებული პირობების გამო ეწევა წვრილ ვაჭრობას, როგორიც არიან: შრომისა ან ომის ინვალიდი, რომელიც ვაჭრობს სოცუზრუნველ. სახკომისარიატ. უფასო პატენტით, უმუშევარი მუშა და მოსამსახურე, რომლებიც იღებენ 1-ლი ხარისხის პატენტს, უკეთუ ეს მოსაქმეობა მათთვის დროებითია;

ლ) იმ პირს, ვინც დაქირავებით ან რელიგიური საზოგადოების არჩევით ასრულებს ადმინისტრატიულ-სამეურნეო და ტეხნიკურ მოვალეობას რელიგიური შენობების მოვლისა და რელიგიური წესების შესრულების საქმეში, როგორიც არის მაგალითად: დარაჯი, მგალობელი, რეგენტი, ორგანისტი და სხვ., აგრეთვე საეკლესიო-სამრევლო საბჭოს წევრს, უკეთუ ის მოკლებული არ არის საარჩევნო უფლებას სხვა საფუძველზე;

მ) იმ მუშებს, მშრომელ გლეხებს, ყაზახებს, შინამრეწველებსა და ხელოსნებს, რომელნიც თავის დროზე თეთრი ჯარების რიგებში მობილიზაციით იყვნენ გაწვეულნი;

ნ) თეთრი ჯარების იმ ყოფილ ოფიცრებს, სამხედრო მოხელეს და ჯარისკაცს, რომელიც შემდეგ იმყოფებოდა მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და მუშათა და გლეხთა წითელი ფლოტის რიგებში და აქტიურ მონაწილეობას იღებდა საბჭოთა ხელისუფლების შეიარაღებულ დაცვაში, ან ამჟამად იმყოფება წითელი არმიისა და წითელი ფლოტის ნამდვილ სამსახურში;

ო) თავისუფალი პროფესიის პირს, რომელიც ზოგად-სასარგებლო შრომას ეწევა და საარჩევნო უფლებას მოკლებული არ არის სხვა საფუძველზე;

პ) იმ პირთა ოჯახის წევრებს, რომელნიც საარჩევნო უფლებას მოკლებულნი არიან, უკეთუ ისინი ნივთიერად დამოკიდებული არ არიან საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირებზე და ცხოვრობენ ზოგად სასარგებლო შრომით.

7. იმ პირთ, ვინც მოკლებულია საარჩევნო უფლებას ამა ინსტრუქციის მე-4 მუხლის „ე" პუნქტისა, აგრეთვე მე-5 მუხლის „თ" პუნქტის ძალით (ყოფილი პოლიციის მოსამსახურენი და სხვ.), შეუძლიანთ მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში, უკეთუ მათ აღდგენილი აქვთ საარჩევნო უფლება სრ. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის ცალკე დადგენილებით, შესაფერი კანონით გათვალისწინებული წესისამებრ (სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება, 1925 წლ. ოქტომბრის 4-ის თარიღით, № 47).

8. იმათ, ვინც წინად დაქირავებულ შრომას მიმართავდა მოგების მიზნით, უშრომლად მიღებული შემოსავლით ცხოვრობდა, კერძო ვაჭრობასა და საკომერციო შუამავლობას ეწეოდა, რელიგიური კულტის სამსახურისაგან მიღებული შემოსავლით ცხოვრობდა ან ვინც თეთრი ჯარების ოფიცრებისა, სამხედრო მოხელეებისა და ჯარისკაცების რიცხვს ეკუთვნოდა (მ. 4, პ.პ. „ა", „ბ", „გ" და „დ" და მუხ. 5, პ. „ზ"), შეიძლება მიენიჭოს უფლება არჩევნებში მონაწილეობისა ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილებით, უკეთუ ისინი არა ნაკლებ სამი წლისა ეწევიან სარგო და ზოგად-სასარგებლო შრომას და დაამტკიცეს თავისი ლოიალობა საბჭოთა მთავრობის მიმართ, რა გარემოებაც დადასტურებული უნდა იქნეს იმ დაწესებულების ან საწარმოს ადმინისტრაციის მიერ, სადაც საარჩევნო უფლების აღდგენის მთხოვნელი პირი მუშაობს, აგრეთვე დეპუტატთა საბჭოს ან რომელიმე ადმინისტრატიული ორგანოს სათანადო მოწმობით, ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება საარჩევნო უფლების აღდგენის შესახებ უნდა წარედგინოს დასამტკიცებლად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

შენიშვნა: ამ მუხლში აღნიშნულ პირებს შეიძლება იმავე წესით მიენიჭოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება ამავე მუხლით გათვალისწინებული შრომის სტაჟის უქონლადაც, უკეთუ ისინი პროფესიონალური კავშირის წევრები არიან.

9. საარჩევნო კომისიების მუშაობის დამთავრების შემდეგ მე-8 მუხლში აღნიშნულ პირთა შუამდგომლობა საარჩევნო უფლების აღდგენის შესახებ განხილული იქნება უშუალოდ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ.

10. საარჩევნო კომისიებს უფლება არა აქვთ შეავსონ ან შესცვალონ ამ თავში აღნიშნულ პირთა ნუსხა.

თავი II

საარჩევნო კომისიები

11. საბჭოთა არჩევნებისათვის დაარსდება შემდეგი საარჩევნო კომისიები:

ა) ცენტრალური საარჩევნო კომისია;

ბ) აფხაზეთის მოკავშირე სოც. საბჭოთა რესპუბლიკისა, აჭარისტანის ავტონომიურ სოც. საბჭოთა რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საარჩევნო კომისიები;

გ) სამაზრო საარჩევნო კომისიები;

დ) საქალაქო საარჩევნო კომისიები;

ე) სარაიონო საარჩევნო კომისიები ქალაქებში;

ვ) სათემო საარჩევნო კომისიები.

შენიშვნა 1: იმ ადგილებში, სადაც სასოფლო საბჭოები არსებობენ, შესდგებიან გარდა აღნიშნული კომისიებისა სასოფლო საარჩევნო კომისიები.

შენიშვნა 2: საარჩევნო კომისიის წევრები კომისიაში მუშაობისათვის განსაკუთრებულ გასამრჯელოს არ მიიღებენ.

12. ცენტრალურ საარჩევნო კომისიას შეადგენს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი 23 წევრისაგან არჩევნებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად მთელს რესპუბლიკაში.

გარდა საარჩევნო კამპანიის საერთო ხელმძღვანელობისა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დაეკისრება აგრეთვე საჩივრების განხილვა ფოთის საქალაქო საარჩევნო კომისიისა, სამაზრო საარჩევნო კომისიებისა და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის საარჩევნო კომისიების მოქმედების შესახებ.

შენიშვნა: ცენტრალური საარჩევნო კომისია თავის მუშაობისათვის გამოიყენებს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების აპარატს.

13. აფხაზეთის მოკავშირე სოც. საბ. რესპუბლიკისა, აჭარისტანის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან საარჩევნო კომისიებს შეადგენენ ამ კომიტეტების პრეზიდიუმები. ამ კომისიებში შედიან: თავმჯდომარე, რომელსაც ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარდგენით დაამტკიცებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, და წარმომადგენლები: შესაფერი მოკავშირე და ავტონომიური ერთეულის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, პროფკავშირთა შენაერთისა, ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირისა, საქართველოს კომპარტიის მუშა - ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილებისა, ადგილობრივი ქალაქის საბჭოსი (სამხრეთ - ოსეთის საოლქო საარჩევნო კომისიაში — ცხინვალის სათემო საბჭოსი), ეროვნულ უმცირესობათა, წითელი არმიისა, გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოებათა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა (კოოპერაციის, „თავდაცვა-ავიაქიმისა" და სხვა) აღნიშნული საარჩევნო კომისიები მოქმედებენ ამა ინსტრუქციის საფუძველზე.

14. სამაზრო საარჩევნო კომისიას შეადგენს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი 9-11 წევრისაგან. ამ კომისიის შედგენილობაში უნდა შედიოდნენ თავმჯდომარე და წარმომადგენლები: სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტისა, პროფკავშირთა შენაერთისა, ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირისა, საქართველოს კომპარტიის მუშა - ქალთა და გლეხ - ქალთა განყოფილებისა, სამაზრო ქალაქის საბჭოსი, ეროვნულ უმცირესობათა, სამაზრო გლეხკომისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა (კოოპერაციის, „თავდაცვა-ავიაქიმისა" და სხვა), აგრეთვე წითელი არმიისა და ფლოტის წარმომადგენელი (იმ ადგილებში, სადაც მათი ნაწილებია დაბინავებული).

შენიშვნა 1: ამ მუხლში აღნიშნული წესით მოეწყობა აგრეთვე სამაზრო საარჩევნო კომისია თბილისის მაზრისა და ქალ. თბილისისათვის 17-25 წევრის შედგენილობით.

შენიშვნა 2: სამაზრო საარჩევნო კომისია თავის მუშაობისათვის გამოიყენებს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის აპარატს.

15. არჩევნების მოსაწყობად ქალაქ თბილისში, ბათომში, სოხუმში, ფოთში, ქუთაისში, გორში, ჭიათურაში, ხაშურში, ბორჯომში და სამტრედიაში სათანადო ქალაქის საბჭოები შეადგენენ საქალაქო საარჩევნო კომისიებს ქალ. თბილისში — 17 წევრისაგან, ბათომში, სოხუმში, ფოთში და ქუთაისში 9-11 წევრისაგან, ხოლო დანარჩენ ქალაქებში— 7-9 წევრისაგან.

16. საქალაქო საარჩევნო კომისიების შედგენილობაში შედიან: თავმჯდომარე და წარმომადგენლები: სათანადო ქალაქის საბჭოსი, პროფკავშირთა შენაერთისა, ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირისა, საქართველოს კომუნისტური პარტიის მუშა - ქალთა და გლეხ ქალთა განყოფილებისა, ეროვნულ უმცირესობათა, მუშებისა, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული წარმოებასთან და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა (კოოპერაციის, თავდაცვა-ავიაქიმისა და სხვა). აგრეთვე წითელი არმიისა და ფლოტის წარმომადგენელი (იმ ქალაქებში, სადაც მათი ნაწილებია დაბინავებული).

შენიშვნა: საქალაქო საარჩევნო კომისია თავის მუშაობისათვის გამოიყენებს ქალაქის საბჭოს ტეხნიკურ აპარატს.

17. სამაზრო და ფოთის საქალაქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარდგენით დაამტკიცებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

18. სოხუმის და ბათომის საქალაქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებს სათანადო რესპუბლიკის საარჩევნო კომისიის წარდგენით დაამტკიცებენ კუთვნილებისამებრ აფხაზეთის სსრ და აჭარისტანის ავტონომიური სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმები.

19. თბილისის, ქუთაისის, გორის, ჭიათურის, ხაშურის, ბორჯომის და სამტრედიის საქალაქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებს დაამტკიცებს სათანადო სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

20. არჩევნების მოსაწყობად ქ. თბილისის სხვადასხვა უბნებში თბილისის ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმი შეადგენს სარაიონო საარჩევნო კომისიებს, რომლებშიაც შედის 7-9 წევრი. ამ კომისიების თავმჯდომარეებს დანიშნავს თბილისის ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმი. გარდა ამისა იმავე წესით და შედგენილობით თბილისში დაარსდება საგარნიზონო საარჩევნო კომისია არჩევნების მოსაწყობად აქ დაბანაკებულ სამხედრო ნაწილებში.

21. სარაიონო საარჩევნო კომისიები შეიძლება შედგენილ იქნენ წინა მუხლში აღნიშნული წესით აგრეთვე ქალ. სოხუმში, ბათომში, ფოთში, ქუთაისში და გორში შესაფერი ქალაქის საბჭოს დადგენილებით.

22. სათემო საარჩევნო კომისია, 7-11 წევრის შედგენილობით, მოეწყობა თვითეულ თემში, აგრეთვე ყველა იმ ქალაქში, სადაც სათემო საბჭოები არიან დაარსებული. ამ კომისიაში შედიან: თავმჯდომარე და წარმომადგენლები: სათემო საბჭოსი, ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირისა, ქალთა დელეგატთა კრებისა, გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოებისა, ღარიბ გლეხთა ჯგუფებისა, მოჯამაგირეებისა, პროფესიონალური კავშირებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა (კოოპერაციისა, „თავდაცვა - ავიაქიმისა" და სხვ.), აგრეთვე წითელი არმიისა და ფლოტის წარმომადგენელი (იმ ადგილებში, სადაც მათი ნაწილებია დაბინავებული).

სათემო საარჩევნო კომისიას შეადგენს სათემო საბჭო, ხოლო კომისიის თავმჯდომარეს დანიშნავს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

შენიშვნა: სათემო საარჩევნო კომისია თავის მუშაობისათვის გამოიყენებს სათემო საბჭოს აპარატს.

23. სასოფლო საარჩევნო კომისია შესაფერ ადგილებში (მუხ. 11, შენიშვნა 1) მოეწყობა 7-8 წევრის შედგენილობით. სასოფლო საარჩევნო კომისიაში შედიან: თავმჯდომარე და წარმომადგენლები: სასოფლო საბჭოსი, ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირისა, ქალთა დელეგატთა კრებისა, გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოებისა, ღარიბ გლეხთა ჯგუფებისა, მოჯამაგირეებისა, პროფესიონალური კავშირებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა (კოოპერაციის, „თავდაცვა-ავიაქიმისა" და სხვ.), აგრეთვე წითელი არმიისა და ფლოტის წარმომადგენელი (იმ ადგილებში, სადაც მათი ნაწილებია დაბინავებული).

სასოფლო საარჩევნო კომისიას შეადგენს სასოფლო საბჭო, ხოლო კომისიის თავმჯდომარეს დანიშნავს სათანადო სათემო საბჭოს პრეზიდიუმი.

შენიშვნა: სასოფლო - საარჩევნო კომისია თავის მუშაობისათვის გამოიყენებს სასოფლო საბჭოს აპარატს.

24. მე-11 მუხლში აღნიშნული საარჩევნო კომისიები შესდგებიან საბჭოთა არჩევნების დროისათვის და დაიშლებიან ერთი თვის შემდეგ საარჩევნო კამპანიის დამთავრების დღიდან, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის განკარგულებით.

25. საარჩევნო კომისიები ვალდებული არიან:

ა) თვალყური ადევნონ შესაფერი ტერიტორიის ფარგლებში არჩევნების კანონიერებას და ყველა იმ წესებისა, ნორმებისა და ვადის შესრულებას, რაც დადგენილია საარჩევნო კამპანიისათვის, და შეუძლებელ ჰყონ მათი დარღვევა;

ბ) თვალყური ადევნონ, რომ არჩევნების დროს არ მოხდეს ადმინისტრატიული ძალდატანება ამომრჩევლების მიმართ;

გ) ხელმძღვანელობა გაუწიონ ქვემდგომი საარჩევნო კომისიებისა და მათი რწმუნებულების მუშაობას;

დ) მოახსენონ სათანადო აღმასრულებელ კომიტეტებს ქვემდგომი საარჩევნო კომისიების დაშლისა ან ცალკე წევრების გადაყენების შესახებ;

ე) ანგარიში მოსთხოვონ ქვემდგომ საარჩევნო კომისიებს მათი მუშაობის შესახებ და ზემდგომ საარჩევნო კომისიებსა და სათანადო აღმასრულებელ კომიტეტებს წარუდგინონ ცნობები შემოღებული ფორმით არჩევნების მსვლელობის შესახებ და ყოველივე ამ საქმეზე ქონებული მასალა;

ვ) განიხილონ დაწესებულ ვადაზე საჩივრები ქვემდგომი საარჩევნო კომისიების მოქმედების გამო და კერძოთ, საარჩევნო უფლების უკანონოთ ჩამორთმევის გამო;

ზ) მოხსენება წარუდგინონ ზემდგომ საარჩევნო კომისიებს იმის შესახებ, რომ ამა ინსტრუქციის მე-66 მუხლში აღნიშნული მიზეზისა გამო დამტკიცებული არ იქნეს არჩევნები მთლიანად, ან კერძოთ ამა თუ იმ დეპუტატის მიმართ;

თ) გაგზავნონ თავის წარმომადგენლები ქვემდგომ საარჩევნო კომისიებში მათი მუშაობისა და საარჩევნო კამპანიის მსვლელობის გასაცნობათ.

26. სარაიონო საარჩევნო კომისიებს ქალაქებში, ხოლო თუ სარაიონო კომისიები არ არსებობენ, საქალაქო კომისიებს, გარდა ზევით აღნიშნულ ფუნქციებისა, დაეკისრებათ:

ა) საარჩევნო უფლების მქონე პირთა (ამომრჩეველთა) სიების შედგენა და დამტკიცება;

ბ) იმ პირთა სიების შედგენა, განხილვა, შემოწმება და გამოქვეყნება, რომელნიც მოკლებულნი არიან საარჩევნო უფლებას;

გ) სახელობითი საარჩევნო უწყებების დაგზავნა ამომრჩევლებისათვის და სხვა ღონისძიების მიღება საარჩევნო კრებების დროისა და ადგილის შესატყობინებლად;

დ) თავის რწმუნებულის დანიშვნა არჩევნებისათვის ცალკე საარჩევნო ჯგუფებში: პროფესიონალურ კავშირებში, მეოჯახე ქალთა, შინამრეწველთა, გლეხთა, წითელარმიელთა და სხვათა შორის.

შენიშვნა: სახელობითი საარჩევნო უწყებები საარჩევნო კრების დანიშვნის შესახებ ქ. თბილისში, დაეგზავნება მხოლოდ იმ ამომრჩევლებს, რომელნიც არ შედიან საწარმოებსა და დაწესებულებებში და შეკავშირებული არ არიან პროფესიონალურ ორგანიზაციებად.

27. სათემო საარჩევნო კომისიებს, აგრეთვე სასოფლო საარჩევნო კომისიებს (სადაც ისინი არსებობენ), გარდა იმ მოვალეობათა, რაც ამა ინსტრუქციის 25 მუხლიდან გამომდინარეობს, დაევალებათ:

ა) რაიონის დაყოფა საარჩევნო უბნებად;

ბ) საუბნო რწმუნებულის დანიშვნა საბჭოთა არჩევნებისათვის;

გ) საარჩევნო უფლების მქონე პირთა (ამომრჩეველთა) სიების შედგენა და დამტკიცება;

დ) შედგენა, განხილვა, შემოწმება და გამოქვეყნება საარჩევნო უფლების მოკლებულ პირთა სიებისა;

ე) გამოცხადება საარჩევნო კრების დროისა და ადგილისა და საარჩევნო უწყების დაგზავნა მოქალაქეებისათვის.

თავი III

ამომრჩეველთა და საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა სიების შედგენა

28. სათემო, სასოფლო და ქალაქის საბჭოები აწარმოებენ საარჩევნო უფლების მქონე პირთა (ამომრჩეველთა) და საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა მუდმივ სახელობრივ აღრიცხვას.

29. საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა აღრიცხვა მოხდება დოკუმენტალური ხასიათის ცნობების მიხედვით. ასეთი ცნობები იქნებიან:

ა) იმ პირთათვის, რომელთაც საარჩევნო უფლება სასამართლოს მიერ აქვს ჩამორთმეული, ან ვის შესახებაც სასამართლოს გამოტანილი აქვს განაჩენი მათი განდევნის შესახებ მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან, — განაჩენის ასლი ან სათანადო სასამართლო ორგანოს ცნობა;

ბ) იმ პირთათვის, ვინც დაქირავებულ შრომას გამოიყენებს მოგების გამოსარჩენად, აგრეთვე იმ პირთათვის, რომელნიც უშრომლად მიღებული შემოსავლით ცხოვრობენ. — საფინანსო ორგანოების ცნობები მათ მიერ საშემოსავლო და სარეწაო გადასახადების გადახდის შესახებ და დამზღვევი სალაროების ცნობები დაზღვევის თანხების შეტანის შესახებ;

გ) იმ პირთათვის, ვინც ვაჭრობას ეწევა,— საფინანსო ორგანოების ცნობები მათ მიერ პატენტების აღების შესახებ, — აგრეთვე ცნობები მათზე იჯარით გაცემული სავაჭრო სადგომების შესახებ;

დ) სულით ავადმყოფთა და შეშლილთათვის — ჯანმრთელობის ორგანოების აქტები ან აქტების შემოწმებული ასლები სულით ავადმყოფად ან შეშლილად ცნობის შესახებ; მეურვეობაში მყოფთათვის — სათანადო სამეურვეო ორგანოების ცნობები;

ე) ყოფილი პოლიციის მსახურთა და აგენტებისა, რელიგიური კულტის მსახურთა და ყველა დანარჩენ პირთათვის, ვინც ამა ინსტრუქციის მე-5-ე მუხლშია ჩამოთვლილი,—ადმინისტრატიული ორგანოებისა ან სათემო და სასოფლო საბჭოების ცნობები.

30. სათემო, სასოფლო და საქალაქო (ან სარაიონო) საარჩევნო კომისიები კუთვნილებისამებრ შეადგენენ და დაამტკიცებენ ამომრჩეველთა სიებს: სოფლებში თვითეული სოფლისათვის ცალკე, ხოლო ქალაქებში წარმოებითი ან პროფესიონალური ერთეულების კვალობაზე. იმ ამომრჩეველთა სიები, რომელნიც არ შედიან საწარმოებსა და დაწესებულებებში და შეკავშირებული არ არიან პროფესიონალურ ორგანიზაციებად, შედგენილი იქნება ტერიტორიალური ერთეულების კვალობაზე (რაიონი, უბანი და სხვ.).

შენიშვნა: იმ სოფლებში, რომლებიც რამოდენიმე საარჩევნო უბნებად არიან დაყოფილი; საარჩევნო სიები შედგენილ უნდა იქნენ ცალკე თვითეული საარჩევნო უბნისათვის.

31. სათემო, სასოფლო და ქალაქის საბჭოების მიერ წარმოდგენილ სიების მიხედვით (მ. მ. 28-29) წინა მუხლში აღნიშნული საარჩევნო კომისიები შეადგენენ და დაამტკიცებენ საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა სიებს.

საარჩევნო კომისიები ვალდებულნი არიან საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა სიების შედგენის დროს შემოწმონ, ამა ინსტრუქციის 29 მუხლში აღნიშნული დოკუმენტალური ხასიათის ცნობების მიხედვით, თუ რამდენად სწორად არის ჩარიცხული ესა თუ ის პირი პერსონალურად საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა კატეგორიაში.

შენიშვნა: საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკების ტერიტორიაზე მცხოვრები უცხოელნი, რომელნიც არა მშრომელთა კატეგორიებს ეკუთვნიან და რომელნიც ამა ინსტრუქციის მე-3 მუხლის ძალით საარჩევნო უფლებით ვერ ისარგებლებენ, არ უნდა იქნენ შეტანილი საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა სიაში, ან ამომრჩეველთა სიაში.

32. ქ. თბილისის სარაიონო საარჩევნო კომისიებს შეუძლიანთ იმ პირთა სიების შედგენის დროს, რომელნიც მოკლებული არიან საარჩევნო უფლებას, გამოიყენონ დოკუმენტალური ხასიათის ცნობების ნაცვლად, რაც 29 მუხლშია ნაჩვენები, ის ცნობები, რასაც ისინი მიიღებენ დაინტერესებული პირისა და მოწმეების დაკითხვის საშუალებით.

33. იმ პირთა სიები, რომელნიც საარჩევნო უფლებას მოკლებული არიან, საარჩევნო კომისიებმა უნდა გამოაქვეყნონ ადგილობრივ ბეჭდვით ორგანოში, გამოაკრონ თვალსაჩინო ადგილას, გამოაცხადონ საზოგადო კრებაზე და სხვ. 20 დღით ადრე მაინც სათანადო საბჭოს არჩევნებამდე.

34. საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა დამტკიცებული სიების ერთ ცალს საარჩევნო კომისია გაუგზავნის შესაფერ საბჭოს, ხოლო მეორე ცალს ზემდგომ საარჩევნო კომისიას.

თავი IV

საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა საჩივრების განხილვა

35. იმ პირს, რომელსაც საარჩევნო კომისიის დადგენილებით ჩამორთმეული აქვს საარჩევნო უფლება, შეუძლიან გაასაჩივროს ეს დადგენილება ერთი კვირის განმავლობაში სიის გამოქვეყნების დღიდან, უკეთუ, მისი აზრით, მისთვის საარჩევნო უფლების ჩამორთმევა ეწინააღმდეგება საქართველოს ს.ს.რ. კონსტიტუციას და ამა ინსტრუქციის მე-4, მე-5 და მე-6 მუხლებს.

36. საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს იმ საარჩევნო კომისიაში, რომელმაც ეს დაამტკიცა, საარჩევნო კომისია გადასინჯავს თავის დადგენილებას და გამოიტანს სათანადო გადაწყვეტილებას.

უკეთუ საჩივარი დაკმაყოფილებულ იქნა საარჩევნო კომისია აუწყებს ამას საჩივრის შემტანს უკეთუ საჩივარი დაკმაყოფილებული არ იქნა, კომისია ვალდებულია სამი დღის განმავლობაში გაუგზავნოს საჩივარი თავისი დასკვნით ზემდგომ საარჩევნო კომისიას (ე. ი. სასოფლო კომისია გაუგზავნის სათემო კომისიას, სარაიონო კომისია—საქალაქო კომისიას, სათემო და საქალაქო კომისიები—სამაზრო საარჩევნო კომისიას).

37. ზემდგომი საარჩევნო კომისია ვალდებულია განიხილოს წინა მუხლში აღნიშნული წესით შემოსული საჩივარი 3 დღის განმავლობაში, განხილვის შემდეგ ზემდგომი საარჩევნო კომისია შეატყობინებს ქვემდგომ საარჩევნო კომისიას მომჩივნისათვის გამოსაცხადებლად, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც აღნიშნულია ამა ინსტრუქციის 38 მუხლში.

38. უკეთუ საჩივარი სასოფლო საარჩევნო კომისიის დადგენილებაზე არ იქნა დაკმაყოფილებული სათემო საარჩევნო კომისიის მიერ, უკანასკნელი დაუყოვნებლივ გაუგზავნის მას სამაზრო საარჩევნო კომისიას. სამაზრო საარჩევნო კომისია ვალდებულია განიხილოს საჩივარი 3 დღის განმავლობაში და გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ან დაამტკიცებს სასოფლო საარჩევნო კომისიის დადგენილებას, ან დააკმაყოფილებს საჩივარს, რაც უნდა ეუწყოს სათანადო საარჩევნო კომისიას და მომჩივანს.

39. საარჩევნო კომისიების მუშაობის დამთავრების შემდეგ საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა საჩივრები განხილულ იქნება სათანადო საბჭოებისა და აღმასრულებელი კომიტეტების მიერ, რომელთა დადგენილებანი შეიძლება განსაჩივრებული იქნენ ზემო-მდგომ აღმასრულებელ კომიტეტში საერთო წესით.

40. უზენაესი მმართველობის წესით საარჩევნო უფლების ჩამორთმევის საკითხს განიხილავს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

თავი V

საარჩევნო კრებები

41. თვითეული ამომრჩეველი განახორციელებს საარჩევნო უფლებას მარტო ერთ ადგილას. უკეთუ მუშაობისა და პროფესიის მიხედვით ამა თუ იმ პირს საარჩევნო უფლება ეკუთვნის რამდენსამე დაწესებულებაში ან რამდენსამე ადგილას, მას ნება ეძლევა აირჩიოს ადგილი, სადაც მიიღებს იგი მონაწილეობას არჩევნებში.

42. საბჭოს წევრების და კანდიდატების არჩევა მოხდება საარჩევნო კრებაზე.

43. საარჩევნო კრებას მოიწვევს საარჩევნო კომისია ან მისი რწმუნებული.

44. საარჩევნო კრების მოწვევის დრო და ადგილი ამომრჩევლებს უნდა ეცნობოს სახელობითი უწყებების დაგზავნით, აგრეთვე შესაფერი განცხადების თვალსაჩინო ადგილზე გამოკიდებით. ბეჭდვით ორგანოში გამოცხადებით და სხვა გზით, ხუთი დღით ადრე მაინც კრების გახსნამდე.

შენიშვნა: ქალ. თბილისში ის ამომრჩეველნი, რომელნიც შედიან ამა თუ იმ საწარმოსა და დაწესებულებაში ან შეკავშირებულნი არიან პროფესიონალურ ორგანიზაციებად, არჩევნებში მონაწილეობისათვის მიიღებენ თავიანთ საწარმოსა და დაწესებულებისაგან ან პროფესიონალური კავშირისაგან განსაკუთრებულ ბილეთებს.

45. ქალაქებში საარჩევნო კრებები მოეწყობა წარმოებითი ან პროფესიონალური ერთეულების მიხედვით (საწარმოო, დაწესებულება, პროფკავშირი).

ის მოქალაქეები, რომელნიც არ შედიან საწარმოებსა და დაწესებულებებში და შეკავშირებული არ არიან პროფესიონალურ ორგანიზაციებად, როგორც, მაგალითად, შინა-მრეწველები, ხელოსნები, დიასახლისები, მეეტლეები და სხვები, მონაწილეობას მიიღებენ არჩევნებში დანარჩენ ამომრჩევლებთან ერთად წარმოებითი და პროფესიონალური ერთეულების მიხედვით მოწყობილ საარჩევნო კრებებზე, ან მათთვის ცალკე მოეწყობა საარჩევნო კრებები ტერიტორიალური ერთეულების მიხედვით (რაიონი, უბანი და სხვ.).

შენიშვნა: საარჩევნო ერთეულები ქალაქებში ისეთი ანგარიშით უნდა იქნენ მოწყობილი, რომ თვითეული ერთეულიდან ასარჩევი იყოს არა უმეტეს ხუთი დეპუტატისა.

46. სათემო საბჭოებისა და სასოფლო საბჭოებს არჩევნები მოეწყობა თვითეულ სოფელში ცალკე, თუ სოფელში 100 მცხოვრები მაინც არის. როდესაც მცხოვრებთა რიცხვი უფრო ნაკლებია, მაშინ ცალკე სოფლები გაერთიანდებიან ერთი დეპუტატის ასარჩევად.

47. საარჩევნო კომისიას შეუძლიან თვითეული სოფელი დაყოს ცალკე საარჩევნო უბნებად, მაგრამ იმ პირობით, რომ თვითეულ საარჩევნო უბანში მცხოვრებთა რიცხვი 100-ზე ნაკლები არ იყოს.

48. საარჩევნო კრებაზე უნდა მოხდეს ყველა იმ პირთა აღნუსხვა, ვინც არჩევნებზე გამოცხადდა.

საარჩევნო კრებას შეიძლება დაესწროს მხოლოდ ის, ვისაც საარჩევნო უფლება აქვს.

49. საარჩევნო კრება კანონიერია, თუ მას დაესწრო ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 35 პროცენტი მაინც.

50. საარჩევნო კრება, რომელზედაც ამომრჩეველთა 35 პროცენტზე ნაკლები ნაწილი გამოცხადდება, ვერ შესდგება, რის შესახებაც დაიწერება ოქმი. ეს ოქმი დაერთვება საარჩევნო საქმეს, ხოლო საარჩევნო კრება გადაიტანება რომელიმე უახლოესი დღისათვის, რაც ეცნობება ამომრჩევლებს.

51. საარჩევნო კრებას გახსნის საარჩევნო კომისიის რწმუნებული და გაუძღვება სამი პირის შედგენილობით არჩეული პრეზიდიუმი საარჩევნო კომისიის რწმუნებულის თავმჯდომარეობით.

52. საარჩევნო კრების გახსნის შემდეგ თავმჯდომარე ვალდებულია:

ა) გააცნოს კრების დამსწრეთ არჩევნების წესი, რისთვისაც ის წაიკითხავს ამა ინსტრუქციის 1—9 და 41—66 მუხლებს.

ბ) გამოაცხადოს ამომრჩეველთა რიცხვი და არჩევნებზე გამოცხადებულ პირთა რიცხვი;

გ) გამოაცხადოს კანდიდატების სიები და ცალკე კანდიდატების სახელი და გვარი, რომლებიც შემოვიდა საარჩევნო კრებამდე ან თვით საარჩევნო კრებაზე, იმის აღნიშვნით, თუ ვის მიერ არიან კანდიდატები დასახელებული.

53. საარჩევნო კრების დღიური წესრიგი უნდა დაამტკიცოს თვით საარჩევნო კრებამ.

54. კენჭის ყრა საარჩევნო კრებაზე მოხდება ან სიებით ან პერსონალურად, როგორც ამას კრება გადასწყვეტს.

შენიშვნა: სიებით კენჭის ყრის დროს შეიძლება ცალკე კანდიდატის გამორიცხვა ამა თუ იმ სიიდან.

55. კანდიდატთა სიები ან ცალკე კანდიდატურები შეიძლება დასახელებულ იქნეს საზოგადოებრივი, პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების ან ცალკე მოქალაქეების მიერ, როგორც საარჩევნო კრებაზე, ისე ამ კრებამდეც კანდიდატთა სიების პრესაში გამოქვეყნებით ან თვალსაჩინო ადგილზე გამოკვრის საშუალებით.

56. საარჩევნო კომისიას და მის რწმუნებულს არა აქვთ უფლება წამოაყენონ თავის მხრით არც კანდიდატთა სია, არც ცალკე კანდიდატურა.

57. თვითეული კანდიდატის შესახებ შეიძლება მოხდეს წინასწარი მსჯელობა თუ კრება ამას საჭიროდ დაინახავს.

58. არჩევნები სწარმოებს ახდილი კენჭის ყრით. არჩეულათ ჩაითვლება ის პირი, ვინც კენჭის ყრის დროს ხმების მარტივ უმრავლესობას მიიღებს.

შენიშვნა: უკეთუ კანდიდატების საჭირო რიცხვი არ მიიღებს ხმების უმრავლესობას, მოხდება განმეორებითი კენჭის ყრა. განმეორებითი კენჭის ყრის წინ შეიძლება ახალი კანდიდატების დასახელება.

59. დეპუტატებს საარჩევნო კრება აირჩევს იმ რაოდენობით, რომ 1 დეპუტატი მოდიოდეს: თბილისში 200 ამომრჩეველზე, ქუთაისში—150 ამომრჩეველზე, ბათომში—100 ამომრჩეველზე, სოხუმში, ფოთში, გორში, ჭიათურაში, ხაშურში, ბორჯომში და სამტრედიაში—50 ამომრჩეველზე, ხოლო დანარჩენ ქალაქებში და სოფლებში ყოველ 100 მცხოვრებზე. უკეთუ საარჩევნო უბანში აღმოჩნდება საარჩევნო ნორმებს ზევით ამომრჩეველთა ან მცხოვრებთა განსაზღვრული რიცხვი, რომელიც თუმცა საარჩევნო ნორმას ვერ აღწევს, მაგრამ ამ ნორმის ნახევარზე ნაკლები არ არის, საბჭოში არჩეული უნდა იქნეს დამატებითი დეპუტატი.

შენიშვნა: ის საწარმო, სადაც ამომრჩეველთა რიცხვი თუმცა სრულ საარჩევნო ნორმას არ შეადგენს, მაგრამ ამ ნორმას 50 პროცენტს აღწევს, აირჩევს საბჭოში ერთ დეპუტატს.

60. წითელი არმიის საკადრო ნაწილები და ტერიტორიალური ნაწილების მუდმივი შემადგენლობა იმ სოფლებში და ქალაქებში, სადაც დანარჩენი მოსახლეობა აირჩევს საბჭოს დეპუტატებს მცხოვრებთა საერთო რიცხვის მიხედვით, აირჩევენ თავიანთ დეპუტატებს იმ ანგარიშით, რომ ერთი დეპუტატი მოდიოდეს 50 ამომრჩეველზე, ხოლო იმ ქალაქებში, სადაც დანარჩენი მოსახლეობა აირჩევს დეპუტატებს ამომრჩეველთა რიცხვის მიხედვით. წითელი არმიის საკადრო ნაწილები და ტერიტორიალური ნაწილების მუდმივი შემადგენლობა აირჩევენ დეპუტატებს იმავე ანგარიშით, როგორც დანარჩენი მოსახლეობა.

უკეთუ წითელი არმიის საკადრო ნაწილში ან ტერიტორიალური ნაწილის მუდმივ შემადგენლობაში ამა თუ იმ ადგილზე არ არის ამომრჩეველთა ის რიცხვი, რაც საჭიროა ერთი დეპუტატის არჩევნებისათვის, ეს ნაწილი არჩევნებისათვის შეუერთდება სხვა ნაწილებს, რომელნიც იმავე ადგილას იმყოფებიან, ხოლო თუ სხვა ნაწილები არ არიან, ან თუ გაერთიანების შემდეგაც ამომრჩეველთა რიცხვი იმ რაოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდება, რაც ერთი დეპუტატის არჩევისათვის. ეს ნაწილი ნაწილი, ან გაერთიანებული ნაწილები აირჩევენ საბჭოში ერთ დეპუტატს.

შენიშვნა: წითელი არმიის ტერიტორიალური ნაწილების ცვალებადი შემადგენლობა აირჩევს დეპუტატებს დანარჩენ მოსახლეობასთან ერთად და მათი თანასწორი ნორმით.

61. თვითეული საარჩევნო კრება. დეპუტატების გარდა, აირჩევს მათ კანდიდატებს დეპუტატთა რიცხვის ერთი მესამედის რაოდენობით.

საბჭოს წევრთა კანდიდატები აირჩევიან დეპუტატების შემდეგ ცალკე კენჭის ყრით.

62. სათემო საბჭოს წევრებისა და მათი კანდიდატების არჩევის შემდეგ საარჩევნო კრება ცალკე კენჭის ყრით აირჩევს სათემო სარევიზიო კომისიას ხუთი წევრისა და ორი კანდიდატის შედგენილობით.

63. უკეთუ სათემო საბჭოს არჩევნები რამდენსამე საარჩევნო უბანში მოხდება, სარევიზიო კომისიის წევრად დასახელებული პირის კანდიდატურა განცხადებულ უნდა იქნეს ყველა საარჩევნო უბანში; ამასთანავე არჩეულად ის კანდიდატი ჩაითვლება, რომელიც ხმათა უმეტესობას მიიღებს, ხოლო არა ნაკლებ ყველა საარჩევნო უბანში მონაწილე მოქალაქეების მიერ მიცემულ ხმათა რიცხვის ნახევარისა.

შენიშვნა: სარევიზიო კომისიის შედგენილობაში არ შეიძლება არჩეულ იქნენ ის პირნი, რომელნიც აღნიშნული არიან სათემო სარევიზიო კომისიების დებულების მე-2 მუხლში.

64. საარჩევნო კრების მსვლელობისა და შედეგების შესახებ შედგენილი უნდა იქნეს თანახმად შემოღებული ფორმისა, ოქმი, რომელსაც ხელს მოაწერს საარჩევნო კრების პრეზიდიუმი.

65. ყოველი არჩეული დეპუტატის შესახებ საარჩევნო კომისიამ უნდა შეადგინოს ანკეტა, თანახმად დამტკიცებული ფორმისა.

თავი VI

არჩევნების გაუქმების წესი—ხელახალი და დამატებითი არჩევნები

66. არჩევნები გაუქმებულ იქნება შემდეგი მიზეზების გამო:

ა) უკეთუ საარჩევნო კრებას დაესწრო ამომრჩეველთა 35 პროცენტზე ნაკლები;

ბ) უკეთუ არჩევნების წარმოების დროს დარღვეული იქნება საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია ან ამა ინსტრუქციის დადგენილებანი.

67. ზემოაღნიშნული მიზეზებით არჩევნები შეიძლება გაუქმებულ იქნეს:

ა) მთლიანად, ე. ი. საბჭოს წევრთა მთელი შემადგენლობის მიმართ;

ბ) ნაწილობრივ, ე. ი. საბჭოს ცალკე წევრთა მიმართ, ცალკე საარჩევნო უბნებში.

68. არჩევნები გაუქმებულ იქნება მთლიანად, უკეთუ დეპუტატთა ნახევარზე მეტი არჩეულია უკანონოდ (მ. 66). უკეთუ უკანონო არჩევნებს ადგილი ჰქონდა ერთსა ან რამდენიმე საარჩევნო უბანში, სადაც არჩეულია დეპუტატების საერთო რიცხვის უმცირესი ნაწილი, არჩევნები გაუქმებული იქნება მხოლოდ ამ საარჩევნო უბნებში, ხოლო არჩევნები დანარჩენ საარჩევნო უბნებში კანონიერად ჩაითვლება.

69. არჩევნები შეიძლება გაუქმებულ იქნეს როგორც მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკისა, ოლქისა, ან მაზრის მთელს ტერიტორიაზე, ისე ამ ტერიტორიის ცალკე ნაწილში.

არჩევნების გაუქმება გამოცხადებულ უნდა იქნეს საყოველთაო ცნობისათვის ან ადგილობრივ პრესაში ან ამომრჩეველთა კრებებზე.

70. ყველა განცხადება და საჩივარი არჩევნების წარმოების გამო შეტანილ უნდა იქნეს წერილობით ან სიტყვიერად 7 დღის განმავლობაში არჩევნების შემდეგ იმ საარჩევნო კომისიაში, რომელიც არჩევნებს ხელმძღვანელობდა.

71. საარჩევნო კომისია წარუდგენს შემოსულ განცხადებასა და საჩივარს თავის ახსნა-განმარტებით ზემდგომ საარჩევნო კომისიას 3 დღის ვადაზე.

ზემდგომი საარჩევნო კომისია ვალდებულია განიხილოს აღნიშნული განცხადება და საჩივარი 7 დღის განმავლობაში; ამასთანავე საკითხს არჩევნების ნაწილობრივი უკანონოების შესახებ ზემდგომი საარჩევნო კომისია თითონ გადასწყვეტს, ხოლო საკითხს არჩევნების მთლიანად დამტკიცებისა ან გაუქმების შესახებ გადასცემს თავის დასკვნით გადასაწყვეტად შესაფერ აღმასრულებელ კომიტეტს.

72. უკეთუ არჩევნები გაუქმებულ იქნა, ახალი არჩევნები მოხდება ამა ინსტრუქციით გათვალისწინებული წესით. ამასთანავე თუ არჩევნები მთლიანად იქნა გაუქმებული, ახალი არჩევნების მოსახდენად მოეწყობა შესაფერი საარჩევნო კომისია ახალი შედგენილობით.

73. მუშაობის დამთავრების შემდეგ საარჩევნო კომისიებმა უნდა გადასცენ მთელი საარჩევნო მასალა სათანადო საბჭოს ან აღმასრულებელ კომიტეტს.

74. უკეთუ დეპუტატები ამომრჩევლების მიერ უკან გაწვეულ იქნებიან, საბჭო დანიშნავს საბჭოს წევრების დამატებით არჩევნებს, დამატებითი არჩევნები დამტკიცებულ უნდა იქნეს სათანადო სათემო, სასოფლო ან საქალაქო საბჭოს მიერ.

75. წინა მუხლში აღნიშნული წესი შესრულებულ იქნება იმ შემთხვევაშიაც, უკეთუ ესა თუ ის წევრი გარდაიცვალა ან საბჭოს შედგენილობიდან გამოვიდა საცხოვრებელი ადგილის გამოცვლისა, საარჩევნო უფლების დაკარგვისა და სხვა მიზეზის გამო.

76. უკეთუ 74 და 75 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევაში დამატებით ასარჩევია საბჭოს მთელი შედგენილობის ნახევარზე მეტი, უნდა მოხდეს ხელახალი არჩევნები მთლად საბჭოს შედგენილობისა არსებული წესით. ხელახალი არჩევნები დამტკიცებულ უნდა იქნეს ზემდგომი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ.

77. უკეთუ საბჭოს პრეზიდიუმის ან აღმასრულებელი კომიტეტის შედგენილობიდან გამოვიდა მისი წევრების ნახევარზე მეტი, უნდა მოხდეს არჩევნები აღმასრულებელი კომიტეტის მთელი შედგენილობისა.

თავი VII

საბჭოებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევა

78. ახლად არჩეულ საბჭოს პირველ საორგანიზაციო სხდომას მოიწვევს სათანადო საარჩევნო კომისია, ამ სხდომაზე აირჩევიან საბჭოს აღმასრულებელი ორგანოები. საბჭოთა ყრილობებს მოიწვევენ სათანადო აღმასრულებელი კომიტეტები.

79. საბჭოთა სათემო ყრილობა იმ ადგილებში, სადაც სასოფლო საბჭოები არსებობენ შესდგება სასოფლო-საბჭოთა წარმომადგენელთაგან იმ ანგარიშით, რომ ყოველ 1000 მცხოვრებზე მოდიოდეს ერთი დეპუტატი.

80. საბჭოთა სამაზრო ყრილობა შესდგება მაზრის ტერიტორიაზე არსებულ საბჭოების წარმომადგენელთაგან ისეთი ანგარიშით რომ ერთი დეპუტატი მოდიოდეს ყოველ 1000 მცხოვრებზე იმ ადგილის საბჭოთაგან, სადაც საბჭოები აირჩევიან მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით, და ერთი დეპუტატი ყოველ 200 ამომრჩეველზე იმ ადგილების საბჭოთაგან, სადაც საბჭოები აირჩევიან ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით.

შენიშვნა. იმ ადგილებში, სადაც სასოფლო საბჭოებია, დეპუტატები საბჭოთა სამაზრო ყრილობისათვის აირჩევიან საბჭოთა სათემო ყრილობებზე.

81. სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობა შესდგება მოკავშირე და ავტონომიური ერთეულების საბჭოთა ყრილობებისა, საბჭოთა სამაზრო ყრილობებისა, და ქ. ფოთის საბჭოს წარმომადგენელთაგან იმ ანგარიშით, რომ ერთი დეპუტატი მოდიოდეს ყოველ 10000 მცხოვრებზე იმ ადგილების საბჭოთაგან, სადაც საბჭოები აირჩევიან მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით და ერთი დეპუტატი ყოველ 2000 ამომრჩეველზე იმ ადგილების საბჭოთაგან, სადაც საბჭოები აირჩევიან ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით.

82. საბჭოსა და საბჭოთა ყრილობის არჩევის კანონიერებისა და დეპუტატების რწმუნებულების სისწორის შესამოწმებლად თვითეული საბჭო და საბჭოთა ყრილობა აირჩევს სამანდატო კომისიას.

83. შემოწმების შედეგებს სამანდატო კომისია მოახსენებს კუთვნილებისამებრ საბჭოს ან საბჭოთა ყრილობას, რომელიც გამოიტანს დადგენილებას არჩევნების სისწორისა და დეპუტატების უფლება-მოსილების შესახებ.

შენიშვნა. წინანდელი შედგენილობის აღმასრულებელი კომიტეტის წევრს, რომელიც საბჭოს ან საბჭოთა ყრილობის წევრი არ იქნება, აქვს სათათბირო ხმის უფლება.

84. საბჭოს და საბჭოთა ყრილობას შეუძლიანთ აირჩიონ პრეზიდიუმისა და აღმასრულებელი კომიტეტის შედგენილობაში, აგრეთვე თავის წარმომადგენლად ზემდგომი ყრილობისათვის, არა მარტო ამ საბჭოსა და ყრილობის წევრები, არამედ ყოველი მოქალაქე, რომელსაც საარჩევნო უფლება აქვს, მიუხედავად მისი საცხოვრებელი, ან სამუშაო ადგილისა.

85. საბჭოთა ყრილობის მუშაობის დაწყების შემდეგ ხელისუფლების აღმასრულებელ ორგანოთ დარჩება წინანდელი შედგენილობის სათანადო აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის ფუნქციებიც შესწყდება მხოლოდ ახალი შედგენილობის აღმასრულებელი კომიტეტის პირველი სხდომის მოწვევის შემდეგ.

86. ახალი აღმასრულებელი კომიტეტის არჩევის შემდეგ მოწვეულ უნდა იქნეს საორგანიზაციო სხდომა ახლად არჩეულ აღმასრულებელი კომიტეტისა წინანდელ შედგენილობასთან ერთად. ამ სხდომაზე აირჩევიან აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და პრეზიდიუმი, აგრეთვე ყველა მისი განყოფილების გამგე.

შენიშვნა 1. აღმასრულებელი კომიტეტი აირჩევს თავის პრეზიდიუმს და თავმჯდომარეს აუცილებლად თავის წევრთა შედგენილობიდან.

შენიშვნა 2. წინანდელი შედგენილობის აღმასრულებელი კომიტეტის წევრებს, რომელნიც არჩეული არ იქნებიან ახალ შედგენილობაში, აგრეთვე მის განყოფილებათა გამგეებს ამ სხდომაზე აქვთ სათათბირო ხმის უფლება.

87. ახლად არჩეული აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და განყოფილებათა გამგეები, როდესაც თავის მოვალეობის ასრულებას შეუდგებიან, მიიღებენ სათანადო აქტებით საქმეებსა და ქონებას წინანდელი შედგენილობისაგან.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1928 წ. ნოემბრის 21.

ქ. თბილისი—სასახლე.

ყურადღება გეგმიან მუშაობას

სამეურნეო და კოოპერატიული ორგანოებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ გეგმიან მუშაობას. — რაჭა-ლეჩხუმის სამაზრო ხელისუფლებამ უნდა მოაგვაროს სოფ. ფუტიეთსა და სხვავას შორის არსებული სადაო საკითხი.—საჭიროა ნათლიმამობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება

უგეგმობის და უყაირათობის ნიმუში

სადმელი, რაჭა-ლეჩხუმის მაზრა

სადმელის აგარაკში ხე-ტყის დამზადებას „აწარმოებს" რაჭის სამაზრო-საექსპლოატაციო კოლეგია, რომელიც უგეგმოთ და უჭკუოთ მუშაობს. სანამ ხეები წისქვილის კანტორასთან ახლოს იჭრებოდა, მანამდე კვ. ვერშოკის გამოტანა ღირდა 7 კაპ. ახლა ხე შორს იჭრება და ისევ 7 კაპ. იძლევიან. მუშებმა მოითხოვეს მომატებოდათ 1 კაპ. კვ. ვერშოკზე, მაგრამ კოლეგიამ 1 კაპ. მუშებს არ მოუმატა და სამაგიეროდ კვ. ვერშოკის გამოტანა 15 კაპ. დაუჯდა. დასჭრეს და დამორეს ისეთი ზომის ხეები, რომ მისი გამოტანა ტყიდან საძნელო შეიქნა. ამის გამო მოჭრილ ხეებს ზამთარში ტყეში დატოვება და დალპობა მოელოდა. კოლეგიამ დაადგინა შუაზე დახერხა ხეები და ამ სამუშაოს შესრულებისათვის იხდის კვ. ვერშოკზე 4 კაპ., გათლაში—3 კ., სახერხ ადგილას ხეების მოტანაში 1 ცალ კამეჩებში—10 მან., რაც კვ. ვერშოკზე 1 კაპ. მოდის. სულ 8 კაპეიკი, კვ. ვერშოკი, გამოტანა 7 კაპ., სულ 15 კაპ. ამას უნდა დაუმატოთ ისიც, რომ შუაზე გახერხილი ხეების გამოყენება სამასალეთ დაახლოებით ღირებულების 30 პროც. კარგავს.

აი უგეგმობის და უყაირათობის მაგალითები. რატომ არ დამზადდა თავიდანვე ხეები ისე, რომ 8 კაპ. კიდევ არ დახარჯულიყო მასზე. ან როგორი მომჭირნეობაა ეს, რომ მუშას 1 კაპ. არ მოუმატო და მის მაგივრად 15 კაპ. უთავბოლოდ დახარჯო?

ასეთი საზარალო მუშაობა დროზე უნდა აღმოიფხვრას.

ახლოს მდგომი.

დაუსრულებელ დავას ბოლო უნდა მოეღოს

(წერილი რაჭიდან)

სოფელი ფუტიეთი და სხვავა ერთი სათემო სოფლებია. ამ ორ სოფელს შორის ძველთაგანვე მეზობლური განწყობილება არსებობდა. სამწუხაროდ უკანასკნელ ხანებში მეტად არასასიამოვნო მოვლენას აქვს ადგილი. საქმე შემდეგშია: ფუტიეთლებს მთაში აქვთ სახნავ-სათესი მიწები, რომელიც სოფ. სხვავას საზღვარშია. ფუტიეთლები ამ მიწებით მხოლოთ ოთხი თვის განმავლობაში სარგებლობენ, ხოლო ყანების მოწევის შემდეგ სხვაველებიც სარგებლობენ ხსენებული მიწებით საბალახოსათვის. მაგრამ ისინი ამით არ დაკმაყოფილდნენ და მოინდომეს ამ მიწების ერთიანად მისაკუთრება. ამ უკანონობას მეთაურობენ: სიკო ქურციკიძე (დღეს კულაკათ წოდებული), ასლან ქართველიშვილი და სამუელ პეტრიაშვილი, რომლებიც გავლენას ახდენენ ადმინისტრაციაზე და სურთ საქმის თავის სასარგებლოთ მოგვარება.

ერთხელ, როდესაც ფუტიეთლები კომის-რის თანხლებით და ის იყო ნაჯახბითვუვუ რის სუვოზ გქ თლბდრსუვოზქკლბთრ უჯ

ერთხელ, როდესაც ფუტიეთლები ხსენებულ მიწებს ხნავდნენ, თავს დაესხნენ სხვაველები კომ-სრის თანხლებით და ის იყო ნაჯახებით ერთმანეთს უნდა დარეოდნენ, რომ ადგილობრივ მილიციას არ მოეგვარებია საქმე. დასდეს ხელშეკრულება და თუ რომელიმე მხარე დაარღვევდა ხელწერილს და ისევ ასტეხდა დავას, უნდა გადაეხადა ორი ათასი მანეთი ჯარიმა სახელმწიფოს სასარგებლოთ.

ამ ზაფხულზე სხვაველებმა დაარღვიეს ეს პირობა მილიციის უფროსის თანხლებით, რომელსაც გაეცა განკარგულება მოეგლიჯა ლობეები და შეეშვათ ნათესში ნახირი. ეს ამავე გაიგეს ფუტიეთლებმა და ხელი შეუშალეს განკარგულების სისრულეში მოყვანას და მოითხოვეს წინანდელი ხელშეკრულების შესრულება, რაზედაც სხვაველებმა უარი განაცხადეს.

სხვაველებმა მიმართეს სხვა ხერხს, მოაყვანეს ტყის გამგე, რომელმაც განაცხადა, ეს მიწები მთის ადგილია, ამიტომ ის სახნავ-სათესათ არ ვარგა და საძოვრად უნდა გადაიქცეს.

ამრიგათ დღესაც დიდძალი დრო და შრომა იკარგება ამ საკითხის მოსაგვარებლად, მაგრამ უნაყოფოდ.

ფუტიეთელი გლეხობა ვერაფითარ შემთხვევაში ვერ დასთმობს თავის სახნავ-სათეს ადგილებს და ვერ გადააქცევენ მას მხოლოდ ზემო-სხვავის საქონლის საძოვრათ.

ამიტომ აუცილებელია რაჭა-ლეჩხუმის სამაზრო ხელისუფლებამ დროზე მოაგვაროს ზემოხსენებული სადაო საკითხი.

რაჭველი.

კულაკი—სიღარიბის მოწმობით

სოფ. ახკალაფა, თბ. მაზრა

ხსენებულ სოფელში მცხოვრებ კულაკმა დავით ბურაევმა, რომელსაც სასოფლო-სამეურნეო გადასახადი შეაწერეს წელს 500 მანეთი, მოახერხა უკიდურესი ღარიბის მოწმობის აღება და ამ გზით თავისი შვილი მიაღებინა ცხინვალის პედაგოგიურ სასწავლებელში. ეს მოხდა იმ დროს, როცა მართლაც ღარიბი გლეხების შვილები დარჩა სასწავლებლის გარეთ ადგილების სიმცირის გამო.

უნდა გამოირკვეს, თუ ვინ არის ამდენად „ნატურმარილეები" ამ კულაკისაგან, რომელმაც მას სიღარიბის მოწმობა უთავაზა.

ცხინვალელი.

კოოპერატიული თანხების არამიზანშეწონილად გამოყენება

ერწოს თემი, თბილისის მაზრა

ხსენებულ თემში ტყის გამგის თანაშემწე და კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარეთ ითვლება ვინმე ებანოიძე. ამ ვაჟბატონს საკმაო ბოროტმოქმედებანი აქვს ჩადენილი, მაგრამ გამომჟღავნებას ვერავინ ბედავს, რადგან კორესპონდენტს მოკვლით ემუქრება. ებანოიძეს ძლიერ უყვარს ქეიფი და ნარდის თამაში. ამის გამო ის მთელი დღეებით აცდევინებს გლეხობას ტყის მოჭრისათვის ნებართვის ასაღებად.

ასეთივე უყაირათოდ მუშაობს ებანოიძე კოოპერატივშიაც. კოოპერატივის სახელით იყიდა ცხენი 500 მანეთად და შემდეგ თავის სასარგებლოდ მოგებით გაყიდა. კოოპერატივის ფულით იყიდა აგრეთვე თივა, რომლის ნაწილი მილიციას მიყიდა, ხოლო დანარჩენი კი ლპება. ამ ოპერაციით კოოპერატივს 300 მანეთი ზარალი აქვს.

რა საჭიროა თივის შესყიდვისათვის ფულის დაბანდება, როდესაც კოოპერატივს სხვა უფრო აუცილებელი საქონლის ნაკლებობა აქვს?

კოოპერატივში მოსულ ფართალს ებანოიძე თავისებურად ანაწილებს. ძვირფას შალეულს თვითონ ისაკუთრებს კოსტიუმისათვის. სხვა მრავალი მაგალითების მოყვანაც შეიძლება, მაგრამ ზემოთქმულიც საკმაოა იმის დასადასტურებლად, თუ როგორ მუშაობას აწარმოებს ებანოიძე განსაკუთრებით კოოპერატივში.

იმედია ცეკავშირი დროზე მიიღებს სათანადო ზომებს ერწოს თემის კოოპერაციის გაჯანსაღებისათვის.

ეკალი.

ნათლიმამობით გაკეთებული საქმე

ხიდისთავის თემი, გურია

ხიდისთავის თემის სოფ. ჭაჭიეთის მცხ. პროკობი კირილეს ძე ჯაფარიძე მდიდარი ოჯახის შვილია და მშობლებთან ერთად ცხოვრობს. სოფლის საბჭოს მიერ სოფლის სოც. ჯგუფებად დაყოფის დროს, მთელი კომლი მოქცეული იქნა შეძლებულთა კატეგორიაში და სასოფლო-სამეურნეო გადასახადს იხდიან 13 მან. 75 კაპ.

ამავე თემის გლეხკომის თავმჯდომარე ნიკოლოზ გოგიტაურის ნათლიმამობით მან აიღო უკიდურესი სიღარიბის მოწმობა, რომელმაც შეცდომაში შეიყვანა აღმასკომის თავმჯდომარე.

ამ მოწმობით ის ესტუმრა თბილისს და მიიღო მთელი რიგი შეღავათებისა. უპირველეს ყოვლისა ჩაირიცხა სახ. უნივერსიტეტში, შემდეგ სტუდენტთა საერთო საცხოვრებელ ბინაში მოეწყო და იმავე მოწმობის ასლით უფასო სადილის მიღებასაც ლამობს. ახლო ხანში სტიპენდიასაც მოელის თბილისის სახ. უნივერსიტეტისაგან, რომლისთვის განცხადება და იმავე მოწმობის ასლიც კი წარუდგენია.

საჭიროა ადგილებზე ასეთი ყალბი მოწმობების გაცემას ბოლო მოეღოს და რომ შემდეგ ქალაქებში მან არ გამოიწვიოს გაუგებრობა და უღარიბესი გლეხის შვილების ადგილი არ დაიჭირონ ისეთმა პირებმა, რომლებსაც აქვთ საარსებო საშუალება კერძო მეურნეობიდან.

ქ. კალანდაძე.

რაზე დაიხარჯა შეგროვილი თანხები?

ლანჩხუთი, გურია

საამშენებლო თანხის არამიზანშეწონილად ხარჯვას მეტი ადგილი აქვს დათმობილი, ვინემ აღმშენებლობას. მაგალითად, ლანჩხუთში, სახალხო სახლის შენება, რომელიც 1922 წ. დაიწყეს, მისი კედლები ჯერაც მიწას არ ასცილებია. უფულობაა მიზეზიო, ალბად გვეტყვიან. მაგრამ ფაქტები სხვას ლაპარაკობენ. ამ სახლის სასარგებლოდ მთელი რიგი შემოწირულებები და გამოწვევები გამართა, სცენაზე წარმოდგენები, ნატურ-გადასახადი (1922 წ.) თვით დაბეგვრა, სახერხი მანქანის შემოსავალი, პროცენტები სხვადასხვა გადასახადებისაგან. ამ ბოლოს 300 ქც. ტყე მიეცა, მაგრამ საქმეს წინ წაწევა არ ეღირსა. აშენდა მხოლოდ კინოსთვის ფიცრული შენობა, ისიც საზაფხულო სეზონისთვის.

ადგილობრივი ცხრაწლედი შეკეთებას საჭიროებს, მაგრამ ეს ფიქრადაც არავის მოსდიოდა, მიუხედავად იმისა, რომ სკოლის ყოფ. გამგე მ. ქავჟარაძე სამისოდ სამაზრო განსახკომიდან იღებდა თანხებს. არავინ იცის, ეს ფულები რას ხმარდებოდა.

გლეხთა სკოლა ეკონ. რესურსების უქონლობის გამო გაჭირვებას განიცდის, არ არის გათბობა, განათება და სხვა.

სამეურნეო ბაღზე გულშემატკივარი ცოტაა. იქ ქ ლ ტ. მეურნეობის მაგიერ სიმინდი ითესება, აქაზე ფულის ხარჯვას არავითარი აზრი არა აქვს.

საჭიროა გამოირკვეს, სად წავიდა იმდენი ფულები ან ის 300 ქც. ტყე, რომელიც სახალხო სახლის აშენებას უნდა მოხმარებოდა.

ი. ო—ძე.

საბჭოთა მომავალი არჩევნები

თბილისის მაზრის თემ-აღმასკომების, თავმჯდომარეების და თემკომების მდივნების თათბირი

20 ნოემბერს ქალაქის აღმასკომში გაიხსნა თათბირი საბჭოების საარჩევნო კამპანიის შესახებ. თათბირს ესწრება თბილისის მაზრის თემ-აღმასკომების თავმჯდომარეები და თემკომების მდივნები.

თათბირის დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: 1. საბჭოთა საარჩევნო კამპანიის პოლიტიკური ამოცანები; 2. საორგანიზაციო საკითხები; 3. ახალი საარჩევნო ინსტრუქციის გარჩევა და 4 ღარიბთა შორის მუშაობა.

დღის წესრიგისა და რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ თათბირმა საბჭოთა საარჩევნო კამპანიის პოლიტიკური ამოცანების შესახებ მოისმინა

ამხ. ვ. ბოლქვაძის მოხსენება

ახლო მომავალში—იწყებს ამხ. ბოლქვაძე,—ჩვენ უნდა შევუდგეთ ფრიად საპასუხისმგებ გადარჩევას. საბჭოთა არჩევნები უაღრესად დი გადრჩევა. საბჭოთა არჩევნები უაღრესად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის აქტია, ამიტომ საჭიროა ამ საქმეს სრულიად მომზადებულნი შევხვდეთ. მიმდინარე კამპანიაში თავიდან უნდა იქნეს აცილებული ყოველგვარი შეცდომები.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ დიდი მნიშვნელობის პოლიტიკური გამოცდის ჩაბარება ჩვენ გვიხდება კლასთა ბრძოლის გამწვავების პირობებში, ამიტომაც რაც არ უნდა დაგვიჯდეს საბჭოების გადარჩევა უნდა ჩავატაროთ ისე, რომ საბჭოების შემადგენლობა იყოს მტკიცე დასაყრდენი ძალა პროლეტარიატის დიქტატურისათვის.

მიმდინარე საარჩევნო კამპანიის ჩატარების დროს ჩვენი ყურადღება შეჩერებულ უნდა იქნეს შემდეგ ძირითად მომენტებზე:

არჩევნებში უნდა ჩავაბათ მუშები, ღარიბი და საშუალო გლეხების ფართე მასები; ჩვენ უნდა შევძლოთ, რომ არც ერთი მუშა, არც ერთი ღარიბი გლეხი, მოჯამაგირე და საშუალო გლეხი არ დარჩეს ამ კამპანიაში მონაწილეობის გარეშე; ქალაქად და სოფლად ამოძრავებული ანტისაბჭოთა ელემენტებს ჩვენ უნდა დაუპირდაპიროთ მუშათა, ღარიბ და საშუალო გლეხთა მტკიცე კავშირი.

უაღრესად უნდა ავსწიოთ მუშების, მოჯამაგირეების, ღარიბებს და საშუალო გლეხთა აქტივობა არჩევნებში; საბჭოების უკანასკნელი გადარჩევა ჩვენ გვქონდა ორი წლის წინად. ამ ხნის განმავლობაში წარმოებული მუშაობა იმდენად დიდი და ყოველმხრივია, რომ შეუძლებელია ამ მუშაობაში არ გვქონდეს შეცდომები, რომელზედაც ჩვენ უსათუოდ უნდა შევაჩეროთ მუშების, მოჯამაგირეების, ღარიბ და საშუალო გლეხობის ყურადღება. ამომრჩევლები ჩვენ ისეთ პირობებში უნდა ჩავაყენოთ, რომ ვაგრძნობინოთ პასუხისმგებლობა იმაში, რომ ის ამომრჩეველია და მისგან არის დამოკიდებული საბჭოების სიმტკიცე. ჩვენ უნდა ავსწიოთ ამომრჩეველთა ავტორიტეტი.

მომავალ არჩევნებს წინ უძღვის ღარიბ გლეხთა ჯგუფების სათემო კონფერენციები. ამ კონფერენციებზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საბჭოთა არჩევნების საკითხებს. გარდა ამისა საანგარიშო კამპანია ჩატარებულ უნდა იქნეს მასების კონტროლის ქვეშ. ამ მიმართულებით ჩვენს მაზრაში ცოტა რამ არის გაკეთებული. თვითკრიტიკის ლოზუნგი თითქოს არ შეხებია ჩვენი სოფლის მუშაობას. თვითკრიტიკის განვითარება საშუალებას მოგვცემს რომ გავაძლიეროთ საბჭოების საქმიანობა, ამიტომაც ჩვენ უნდა შევძლოთ ფართე მასების ამოძრავება იმ სიძნელების წინააღმდეგ საბრძოლველად, რაც დღეს გვაქვს სოფლად.

საბჭოთა არჩევნებში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს კომკავშირელებმა და ქალთა ორგანიზაციებმა. საბჭოებში ქალების და კომკავშირელთა რიცხვი უნდა გადიდდეს. თბილისის მაზრა ამ მხრივ ჩამორჩება სხვა მაზრებს და ჩვენ ეს ნაკლი უნდა გამოვასწოროთ.

შემდეგ თათბირმა მოისმინა ამხ. თხილავას მოხსენება.

საარჩევნო კამპანიის საორგანიზაციო საკითხების შესახებ

— საარჩევნო კამპანია, ამბობს მომხსენებელი,—ეყოფა სამ პერიოდათ: მოსამზადებელი პერიოდი, რომელიც თბილისში და მის მაზრაში დაიწყო პირველ ნოემბრიდან—გაგრძელდება 15 დეკემბრამდე; საანგარიშო პერიოდი (დაიწყება 15 დეკემბრიდან და გასტანს პირველ თებერვლამდე) და თვით არჩევნები, (თებერვლის 1-დან ბოლო რიცხვებამდე).

დიდი მნიშვნელობა აქვს ამას თუ რა დროს და როგორ პირობებში ჩავატარებთ საბჭოს არჩევნებს. წარსულში ასეთ შეცდომებს ჰქონდა ადგილი: არჩევნების დროს ვეძებდით ბინას, მომხსენებლებს, ზოგან დაგვიანებით რიგდებოდა საუწყებო ბარათები და სხვა.

ყველა ეს უნდა გავითვალისწინოთ მიმდინარე არჩევნებში. საარჩევნო კომისიებმა წინდაწინვე უნდა დაამუშაონ გეგმა და იმის მიხედვით იმუშაონ. გარდა ამისა საანგარიშო მოხსენებები არ უნდა იქნეს მშრალი და განყენებული.

არჩევნების დაწყებამდე 20 დღით ადრე თვალსაჩინო ადგილებზე უნდა გაკრულ იქნეს სია იმ მოქალაქეებისა, რომელთაც წართმეული აქვთ ხმის უფლება. სიების შედგენაში საარჩევნო კომისიებს დახმარება უნდა აღმოუჩინონ კომკავშირის, პროფესიონალური და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა; სიები შემოწმებულ უნდა იქნეს ღარიბ გლეხთა ჯგუფების კრებებზე.

თემი საჭიროა დაიყოს 4—5 საარჩევნო უბნათ, რათა მასში მონაწილეობა მიიღოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა.

ნაკაზის შედგენას უაღრესად დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. ნაკაზს არ უნდა ქონდეს მხოლოდ სააგიტაციო ან განყენებული ხასიათი, არამედ ის უნდა გამომდინარეობდეს იმ შესაძლებლობიდან, რაც თემს ან სოფელს აქვს.

შემდეგ მომხსენებელი ეხება თემების გაერთიანებას და თათბირს აცნობს, რომ ნატახტრის თემი გაერთიანებულ იქნა მცხეთის თემთან, ცხვარი-ჭამა—შეუერთდა საგურამოს თემს, მანავის თემი—შეუერთდა საგარეჯოს თემს. გაერთიანდა ქვემო და ზემო ერწოს თემები; ზემო თიანეთის თემი შეუერთდა ქვემო თიანეთს, ნორიოს თემი—მარტყოფის თემს და სხვა.

შეკითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიდაც მონაწილეობა მიიღო ამხ. ულიანოვმა (მუხრანი), ლობჟანიძემ (წალკა), ასაკინმა (სართიჭალა), სილაგაძემ (გომბორი), მამედოვმა (ყარაიაზი), ნათენაძემ (საგარეჯო), კოხლაძემ (გომბორი) და ბელელაძემ (თბილისის კომიტეტი).

საარჩევნო ინსტრუქციის დამატებები

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმმა მიიღო საარჩევნო ინსტრუქციის მთელი რიგი დამატებები და განმარტებანი. ამ დამატებების აუცილებლობა გამოამჟღავნა უკანასკნელი საარჩევნო კამპანიის პროცესში.

მიღებულ დამატებებში აღნიშნულია, რომ საარჩევნო უფლებები არ ერთმევა გლეხებს, რომლებიც სეზონით სამუშაოზე მიდიან. საარჩევნო უფლებები არ ერთმევა აგრეთვე მუშებს, რომლებიც ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობენ, მაგრამ შენარჩუნებული აქვთ კავშირი სოფლის მეურნეობასთან და იყენებენ ერთი მუშის დაქირავებულ შრომას. თეთრი არმიების ჯარისკაცები შეიძლება შეტანილი იქნენ საარჩევნო სიებში და აღდგენილი იქნენ საარჩევნო უფლებებში სათანადო რესპუბლიკანურ ცაკის დადგენილებით.

ამომრჩეველ-მოჯამაგირეების განთავისუფლება სამუშაოდან

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით ამომრჩეველი-მოჯამაგირეები და სოფლის მეურნეობის მუშები განთავისუფლებული უნდა იქნენ სამუშაოდან დამქირავებლების მიერ საბჭოების არჩევნების დროის განმავლობაში.

სარევიზიო კომისიების და საბჭოების წევრობის კანდიდატთა არჩევნები

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად სცნო სარევიზიო კომისიების არჩევა თვითონ საბჭოების მიერ და დაადგინა, რომ სარევიზიო კომისიებს უნდა ირჩევდნენ ამომრჩევლები.

საბჭოების წევრობის კანდიდატთა ინსტიტუტი გადაწყვეტილია დატოვებული იქნეს ყველა საბჭოებში.

საარჩევნო კამპანიის აღრიცხვა

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება საარჩევნო კამპანიის აღრიცხვის ფორმებისა და ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმისათვის ინფორმაციის მიწოდების წესების შესახებ.

ადგილებს წინადადება ეძლევა მიმდინარე საარჩევნო კამპანიაში ცალ-ცალკე აღრიცხონ მამაკაცები და ქალები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ცნობების შეგროვებას იმათ შესახებ რომლებიც პირველად იქნებიან არჩეული საბჭოებში, რომ შესაძლებელი გახდეს დაწინაურების აღრიცხვა.

გადაწყვეტილია აღრიცხული იქნეს საბჭოების რესპუბლიკანურ ყრილობების და ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტების შემადგენლობა. ეს აღრიცხვა უნდა სწარმოებდეს ა.-კ. ცაკის მიერ სპეციალურად შემუშავებულ ფორმის მიხედვით.

განსაკუთრებული ფორმის მიხედვით უნდა იქნეს შედგენილი ცნობები იმ ქალაქების საბჭოების შესახებ, რომელთაც არ აქვთ ქალაქის საბჭოები.

სატელეგრაფო ინფორმაცია კამპანიის მსვლელობის შესახებ გაუქმებულია და მის მაგივრად შემოღებულია საფოსტო ინფორმაცია, რომელიც გაგზავნილი უნდა იქნეს ორ კვირაში ერთხელ. ინფორმაცია საანგარიშო კამპანიის შესახებ უნდა დაიწყოს 1-ლ დეკემბრიდან, საარჩევნო კამპანიის შესახებ კი 1-ლ იანვრიდან; ინფორმაცია გაგზავნილი უნდა იქნეს შემოკლებული ფორმით: აღნიშნულ უნდა იქნეს მხოლოდ თუ რამდენი ამომრჩეველი გამოცხადდა და როგორია არჩეულ საბჭოების შემადგენლობა.

ცნობები იმათ შესახებ, რომელთაც ჩამორთმეული აქვთ საარჩევნო უფლებები ქალაქებში და სოფლად, ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმს უნდა წარედგინოს 1-ლ დეკემბრისათვის, ხოლო საბჭოების იმ წევრების შესახებ კი, რომლებიც უკან არიან გამოწვეული, 15 დეკემბრისათვის.

საერთო საინფორმაციო მოხსენება გადარჩევის შედეგების შესახებ, რომელშიაც მოყვანილი უნდა იქნეს ცნობები ახალ საბჭოების შემადგენლობაზე, წარდგენილი უნდა იქნეს ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმში 1929 წლის 1-ლ აპრილისათვის.

საქართველოს სახკომსაბჭოში

ტრაქტორებით სარგებლობის გაუმჯობესება

სახკომსაბჭომ და ეკ. საბჭომ საჭიროდ სცნო სახ. უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტთან არსებული მემანქანეობის კათედრისათვის სამი ტრაქტორის შეძენა.

ამ საქმისათვის საჭირო თანხის გაღება გათვალისწინებულია იმ (200.000 მ.) ფონდის განაწილების დროს, რომელიც უნდა მიეცეს განათლების სახ. კომისარიატს უმაღლეს სასწავლებლების მოსაწყობად.

მასთან საჭიროდ იქნა ცნობილი 6 თვიანი კურსების მოწყობა მიწათმოქმედების სახ. კომისარიატთან ხელოსნებისა, მექანიკოსებისა, და მეტრაქტორეების მოსამზადებლად. კურსებისთვის საჭირო ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცდა 28.890 მან. რაოდენობით.

საამშენებლო მასალების დამმუშავებელი ტრესტი

სახკომსაბჭომ და ეკ. საბჭომ მიზანშეწონილად სცნო საამშენებლო მასალების დამმუშავებელი საკავშირო მნიშვნელობის ტრესტის ორგანიზაცია.

შრომის სახ. კომისარიატის კოლეგია

საქართველოს შრომის სახ. კომისარიატის კოლეგია დამტკიცებულ იქნა შემდეგი სახით: ამხ. ს. თოდრია (თავმჯდომარე), ათოევი, ღუნგაძე, ამიროვი, ხოხანაშვილი, ნარჩემაშვილი და გახარია.

ზუგდიდის მაზრის მეთამბაქოებისათვის მიყენებული ზარალის გამოკვლევა

წინადადება მიეცა „სოფლის კავშირს" წარმოუდგინოს სახკომსაბჭოს დამატებითი ცნობები იმ სტიქიური უბედურებათა შესახებ რომელსაც ჰქონდა ადგილი ზუგდიდის მაზრაში 1926 და 1927 წ. წ. და რომელმაც გამოიწვია თამბაქოს მოუსავლიანობა.

როგორ მიმდინარეობს ელექტრო-მშენებლობა საქართველოში

(საუბარი „გლაველექტროს" თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ი. ფლაქსერმანთან)

ამ ერთი კვირის წინათ თბილისში ჩამოვიდა საკავშირო ს. მ. ს. საბჭოსთან არსებულ მთავარ ელექტრო-სამმართველოს („გლაველექტრო") თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ი. ფლაქსერმანი, რომელმაც დაათვალიერა საქართველოში არსებული ჰიდრო-ელექტრო სადგურები და გაეცნო როგორც ახალი სადგურების საამშენებლო სამუშაოთა მდგომარეობას, ისე უკვე დამთავრებული სადგურების მუშაობას.

— ზაჰესის დათვალიერებასას,—განაცხადა მან ჩვენს თანამშრომელთან საუბარში,— მე შევნიშნე, რომ დღის განმავლობაში სადგური არაა შესაფერისად დატვირთული. მაშინ, როდესაც ღამით სადგურის დატვირთვა ძლივს აღწევს 7.500 კილოუატ საათამდე, შუადღისათვის დატვირთვა კლებულობს 3.500 კილოუატ საათამდე. ეს არის თითქმის ერთად-ერთი ნაკლი, რომელიც ახასიათებს ზაჰესის მუშაობას.

ჩემის აზრით უსათუოდ საჭიროა, რომ ზაჰესის ენერგია უფრო ფართო მასშტაბით იქნეს გამოყენებული ყოფა-ცხოვრებაში. ამ გზით ერთის მხრივ გადიდებული იქნება სადგურის დატვირთვა და მეორეს მხრივ ენერგიაზე მოთხოვნილების გაზრდა გამოიწვევს მას გაიაფებას.

რიონჰესის სამუშაოთა დათვალიერებამ ჩემზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. სადგურის საამშენებლო სამუშაოები ფართოდაა გაშლილი. გვირაბის გასაყვანათ და მთავარ ჯებირის ასაგებათ მუშაობა სწარმოებს სამ ცვლად. სადგურის აღმშენებლობას ხელმძღვანელობს გამოცდილი ტეხნიკური პერსონალი რასაც მიეწერება ის გარემოება, რომ სამუშაოების შესრულებაში არავითარ დეფექტებს არა აქვს ადგილი.

საჭირო არის მხოლოდ, რომ მიმდინარე წლის განმავლობაში სადგურის საამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად გადადებული თანხა 4.800.000 მანეთი დაუბრკოლებლივ მიეცეს სამუშაოთა სამმართველოს. ამ მხრივ „გლაველექტრო" მიიღებს ყველა მისგან დამოკიდებულ ზომებს.

აბაშის ჰიდრო-ელსადგურის დათვალიერებამ მე დამარწმუნა იმაში, საჭიროა სასწრაფო ზომები იქნეს მიღებული სადგურზე ახალი აგრეგატების დასადგმელად. ამასთანავე საჭიროა სინათლის გაყვანა, მახლობელ სოფლებში.

ყველაზე უფრო სუსტად სწარმოებს აჭარისწყალის ჰიდრო-ელსადგურის აღმშენებლობა. აქ ადგილი აქვს მთელ რიგ დეფექტებს, რომელთა გამოსასწორებლად სპეციალური ღონისძიებების მიღებაა საჭირო. მიმდინარე საანგარიშო წლის განმავლობაში სადგურის საამშენებლო სამუშაოებისათვის გადადებულია 1.800.000 მანეთი.

საერთოდ ელექტრო აღმშენებლობა საქართველოში დიდის წარმატებით მიმდინარეობს. საჭიროა მხოლოდ როგორც არსებული, ისე მომავალი ჰიდრო-ელსადგურების დატვირთვის საკითხის მოგვარება.

12 862.000 მან. საქართველოს მრეწველობისთვის

ს. მ. ს. საბჭოში მიღებული ცნობებით საკავშირო სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად საქართველოს მრეწველობისათვის 1928 — 29 წლის განმავლობაში გადადებული იქნება 12.862.000 მანეთი. აქედან სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია 11.066.000 მანეთის გადადება; 105.000 მანეთს გაიღებს ცენტრ. კომუნალური ბანკი, ხოლო დანარჩენი თანხა შეგროვდება მრეწველობის მოგებებიდან.

რიონჰესის სამუშაოთა მდგომარეობა

(ჩვენი ქუთაისელი კორესპონდენტი საგან)

მუშაობა რიონის ჰიდრო-ელსადგურის ასაგებათ ჩქარი ტემპით მიმდინარეობს. სადგურის ასაგებ სამუშაოებიდან ამჟამად სავსებით დამთავრებულია მარჯვენა ნაპირის გადამღები ძელეურის შესაკრავი, სიგრძით 160

რიონჰესის სამუშაოები ჭომაში

მეტრი. შესაკრავის ასაგებ მუშაობის დამთავრებასთან დაკავშირებით სწარმოებს ბალავერის ამოთხრა ხაგუბრის საძირკველ ქვეშ, რომლის სამუშაოები შესრულებულია 1.500 კუბ. მეტრი.

გარდა ამისა მდინარე რიონის კალაპოტის გასაფართოებლად შესრულებულია 8.000 კუბ მეტრი მიწის და კლდის სამუშაოები.

გვირაბი № 1 გათხრილია 120 მეტრის სიგრძეზე და მისასვლელ თხრილში ამოღებულია 3.500 კუბ. მეტრამდე მიწა.

არხის ასაგებად შესრულებულია 40.000 კუბ მეტრი მიწის სამუშაოები. სამუშაოების მექანიზაციის მიზნით ამუშავებულია 450 ცხენის ძალიანი ელექტრო-სადგური, რომელიც ენერგიას აწვდის როგორც სამუშაო ადგილებს, ისე საამშენებლო მანქანას და მექანიკურ სახელოსნოებს.

რიონჰესზე მომუშავე მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 2.500 კაცამდე აღწევს.

ვ. ს—ძე

ახალი საბინაო ტარიფი

გუშინ ამხ. მ. გაბაშვილის თავმჯდომარეობით თბ. აღმასკომში შესდგა დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც საბოლოოდ იქნა განხილული ახალი საბინაო ტარიფის პროექტი.

წინა სხდომაზე მიღებულ პროექტის ტექსტში, რომელიც გამოქვეყნებული იყო ჩვენი გაზეთის 11 ნოემბრის ნომერში, თათბირმა შეიტანა ზოგიერთი ცვლილებები: თათბირის დადგენილებით, ის შინამრეწველ-ხელოსანი რომელსაც არ ჰყავს დაქირავებული მუშახელი და არც საშემოსავლო გადასახადს იხდის, ხოლო შემოსავალი წელიწადში აქვს—300 მანეთი, საბინაო ქირის ყოველ კვ. მეტრზე იხდის 22 კ., თუ მისი შემოსავალი უდრის 300—500 მან. 25 კაპ., 500—600 მანეთამდე—28 კაპ., 600—700 მანეთამდე—32 კაპ., 700—800 მანეთამდე, კი 36 კაპ.

შრომის და ომის ინვალიდები, რომელთაც პენსიის ნაცვლად უფლება აქვს ივაჭრონ, საბინაო ქირას იხდიან ზევით აღნიშნულ კატეგორიის შინამრეწველ-ხელოსანთა მსგავსად და დამატებით—სარგებლობენ 30 პროცენტის შეღავათით.

ის ინვალიდები, კი, რომელთა შემოსავალი აღემატება 800 მანეთს, ქირას იხდიან პროექტის მე-11 მუხლში განსაზღვრული რაოდენობიდან 15 პროცენტის დაკლებით.

თათბირის მიერ პროექტში შეტანილ შესწორებით, შრომის გმირები და სახვითი ხელოვნების მუშაკნი, რომელთაც ეძლევათ პენსია, ქირას გადაიხდიან თავიანთ პენსიის 50 პროც. რაოდენობიდან. მაგალითად, თუ შრომის გმირი ან სახვითი ხელოვნების მუშაკი თვეში პენსიის სახით იღებს 50 მანეთს, ქირას გადაიხდის 25 მან. კვალობაზე.

იმ შემთხვევაში, თუ მათ პენსიის გარდა აქვთ სხვა შემოსავალიც, მაშინ ქირას იხდიან ამ შემოსავლის რაოდენობის მიხედვით და ბინის ქირის გამოანგარიშების დროს პენსია მხედველობაში არ მიიღება.

პროექტი დასამტკიცებლად წარედგინა თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმს.

საზოგადოება „წერა-კითხვა"-ს პლენუმი

მეორე სხდომა

გუშინდელ სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. ბოკერიას მოხსენების გარშემო.

კამათის დასრულების შემდეგ პლენუმმა მოისმინა ამხ. ჩხარტიშვილის მოხსენება წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის შესახებ.

წერა-კით. უცოდინარობასთან ბრძოლა დაკვრითი ამოცანაა. წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმე ყველგან არ არის სათანადოთ დაყენებული. სამხრეთ-ოსეთში არსებობს ლიკ...ური სკოლები, რასაც სარგებლობის მოტანა არ შეუძლია. პროფკავშირები დღემდე არ ღებულობდნენ უშუალო მონაწილეობას წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში. არც კომკავშირი ჩანდა უცოდინარობასთან ბრძოლაში. კომკავშირელთა შორის კი საკმაოდ მოიპოვება წერა-კითხვის უცოდინარები. წვევამდელთა შორის მუშაობა სუსტია. ჯარში გაწვეულთა უმეტესობა უცოდინარნი არიან. ყოველ წლიურად წერა-კითხვას ვასწავლით 40 ათას მოქალაქეს. შარშან წლის განმავლობაში წერა-კითხვა შეისწავლა 181 ათასმა კაცმა. ამ ხნის განმავლობაში მოგვემატა 14 ათასი უცოდინარი. უცოდინართა შორის ყველაზე მეტ პროცენტს ქალები შეადგენენ. ზოგიერთი მაზრები ძალიან ჩამორჩენილი არიან. მაგ. ბორჩალო, ახალციხე, ახალქალაქი. მთავარ პოლიტგანს შემუშავებული აქვს ხუთწლიანი გეგმა, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია. ამ მხრივ ძალიან ბევრი მუშაობა სჭირდება ავტონომიურ რესპუბლიკებს. არ კმარა მარტო სკოლების გახსნით ვებრძოლოთ წერა-კითხვის უცოდინარობას, საჭიროა ინდივიდუალური სწავლების შემოღება. მუშაობა ლიკსკოლებში არ არის დამაკმაყოფილებელი. მსმენელები ისევ უცოდინარები გამოდიან სკოლებიდან. ეს იმის ბრალია, რომ სკოლებზე არ არის დაწესებული კონტროლი. საჭიროა საზოგადოებრივი მეთვალყურეობაც. მეთოდიური მუშაობა არ არის დამაკმაყოფილებელი. აქაც საჭიროა საზოგადოებრივი დახმარება, განსაკუთრებით მასწავლებელთა წრიდან. დაშორებულ სკოლებისათვის საჭიროა ლიკვიდატორების კადრი. წელს შევძლებთ 40 ასეთი ლიკვიდატორის გამოშვება. მაგრამ ჯერ ისინიც მოისუსტებენ. წერა-კით. უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის გადადებული თანხები ყოველწლიურად იზრდება.

შემდეგ პლენუმმა მოისმინა ამხ. ბოკერიას ინფორმაცია საზოგადოების კვირეულის ჩატარების შესახებ, რომლის ირგვლივ გამოტანილ იქნა შესაფერი რეზოლუცია.

პლენუმმა საჭიროდ სცნო საზოგადოების სარევიზიო კომისიის არჩევა. სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნენ: ვასო სიხარულიძე (მიწა-ტყის მუშაკთა კავშირი), სულიკაშვილი და მარგველაშვილი (ჭიათურა). კანდიდატებათ—ფანცულაია და პერკინი.

სარევიზიო კომისიის არჩევის შემდეგ პლენუმი დაიხურა.

უპატრონო მოზარდთა სახლი

საქართველოს სახკომსაბჭომ დაამტკიცა დებულება უპატრონო მოზარდთა შრომის, აღმზრდელობითი, სახლის შესახებ; სახლი იარსებებს შრომის სახალხო კომისარიატთან.

შრომის აღმზრდელობითი სახლი მიზნად ისახავს უპატრონო მოზარდთა და მუშა და გლეხ ახალგაზრდების იძულებით აღზრდას გამოსწორებას და სასარგებლო შრომაში ჩაბმას. შრომის აღმზრდელობითი სახლში მიღებული იქნებიან ორივე სქესის ახალგაზრდები 16-დან 20 წლამდე. სახლში მისაღები ახალგაზრდები გატარებული იქნებიან სოციალურ-საექიმო შემმოწმებულ კომისიაში, როდესაც უპატრონო მოზარდები მიაღწევენ 21 წლის ასაკს, ისინი გადაგზავნილი იქნებიან სამხედრო კომისარიატში სამხედრო ბეგარის მოსახდელად. ის უპატრონო ახალგაზრდები, რომლებიც მიღებული არ იქნებიან სამხედრო სამსახურში, შეიძლება დატოვებული იქნან შრომის აღმზრდელობით სახლში 22 წლის ასაკამდე.

მუშაობა და სწავლება სავალდებულოა ყველასათვის, ვინც მიღებული იქნება შრომის აღმზრდელობით სახლში. საწარმოო მუშაობაში მოწაფეებს ეძლევათ გასამრჯელო: შინაურ მუშაობაში, ე. ი. ისეთ მუშაობაში, რომელიც სახლის შიგნით სწარმოებს, მოწაფეები ჯილდოს იღებენ შრომის კომისარიატის მიერ დაწესებულ ნორმების მიხედვით, იმ მუშაობაში კი, რომელიც სახლის გარეთ სწარმოებს, მოწაფეებს ეძლევათ შრომის ხელფასის 75 პროც. ყველა შემთხვევაში მოწაფეს მის კუთვნილ ფულიდან ხელზე ეძლევა არა უმეტეს ერთი მესამედისა.

სატრანსპორტო-საექსპედიციო საქმის მოწესრიგება

(საქ. მუშ. და გლ. ინსპექციის მასალებიდან)

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოახდინა სხვადასხვა სამეურნეო ორგანიზაციებთან არსებულ სატრანსპორტო-საექსპედიციო განყოფილებების მუშაობის გამოკვლევა.

გამოირკვა, რომ მთელი რიგი სამეურნეო დაწესებულებები საკუთარი ტვირთების გადაზიდ-გადმოზიდვას ახდენენ ან კერძო საექსპედიციო კანტორების, ან საკუთარი სატრანსპორტო განყოფილებების საშუალებით.

კერძო ტრანსპორტით სარგებლობდა საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველო, სახალხო მამულთა ტრესტი და სხვ. საკუთარი ტრანსპორტი კი ჰქონდათ მუშკოოპს, ცეკავშირს, საქართველოს სახელმწიფო სავაჭრო ამხანაგობას და სხვ.

მიუხედავათ იმისა, რომ სახელმწიფო-სამეურნეო ორგანიზაციებისათვის დაუშვებელია სარგებლობა კერძო ტრანსპორტით მაშინ, როდესაც არსებობენ სახელმწიფო-სატრანსპორტო-საექსპედიციო ორგანიზაციები რომელთაც შეუძლიანთ მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ზოგიერთი სახ. დაწესებულებები უმთავრესად კერძო ტრანსპორტით სარგებლობენ.

ასეთი არანორმალურ მოვლენის აღმოსაფხვრელად ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მიმდინარე წლის მაისში მიიღო დადგენილება სახელმწიფო დაწესებულებებთან არსებულ საექსპედიციო და სატრანსპორტო განყოფილებების ლიკვიდაციის შესახებ. ამავე დადგენილებით დაუშვებლად იყო ცნობილი, რომ სახელმწიფო ორგანიზაციებს ესარგებლათ კერძო ტრანსპორტით. ამ დადგენილების გამოტანის შემდეგ კერძო სატრანსპორტო-საექსპედიციო ფირმების პატრონები და ექსპედიტორები (მოქ. ტერ-აბრამოვი, ულანცევი, რატიანი, ჯიჯიხაშვილი და სხვ.) იმ მიზნით, რომ შეენარჩუნებიათ ბაზარზე მუშაობის შესაძლებლობა, ჩაერიცხნენ შრომის ბირჟასთან არსებულ დავალებათა ბიუროში და ყოველ ზომებს ღებულობდნენ, რომ კონკურენცია გაეწიათ სახელმწიფო სატრანსპორტო-საექსპედიციო ორგანიზაციების მუშაობისათვის.

გამოკვლევის დროს შეკრებილ მასალების განხილვის შემდეგ, საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მიიღო დადგენილება:

ვინაიდან უკვე არსებობენ სპეციალური სახელმწიფო-სატრანსპორტო-საექსპედიციო ორგანიზაციები, როგორიცაა „სოვტორგფლოტი" და თბილისის საქალაქო სადგური, რომელთაც შეუძლიანთ შეასრულონ ყოველგვარი დავალებანი ტვირთების გადაზიდვ-გადმოზიდვის საქმეში, საჭიროთ იქნას ცნობილი—მოხდეს სახელმწიფო სამეურნეო დაწესებულებებთან არსებული სატრანსპორტო განყოფილებების ლიკვიდაცია და მათი ფუნქციები გადაეცეს „სოვტორგფლოტს" და საქალაქო სადგურს. სამეურნეო დაწესებულებებს აეკრძალოს კერძო ტრანსპორტის დაქირავება, თუ ამის აუცილებლობა გამოწვეული არ არის რაიმე მნიშვნელოვანი მოსაზრებით. წინადადება მიეცეს „სოვტორგფლოტს" მსხვილ სამეურნეო დაწესებულებებთან მოაწყოს სპეციალური საექსპედიციო მაგიდა, რომ უფრო გაადვილდეს ტვირთების გადაზიდვა-გადმოზიდვის შესახებ დავალებების მიღება ამა თუ იმ დაწესებულებიდან.

საქონლის გადასაზიდათ მიღების შემდეგ, სატრანსპორტო ორგანიზაციამ უნდა იკისროს საქონლის დანიშნულების ადგილას გაუფუჭებლად მიტანის პასუხისმგებლობა.

წინადადება მიეცეს შრომის ბირჟას, რომ დაუყოვნებლივ მოახდინოს დავალებათა ბიუროს წმენდა, სპეკულიანტური ელემენტების გაძევების მიზნით. წინადადება მიეცეს მუშკოოპს შეამციროს თავისი ტრანსპორტი და შორ მანძილზე ტვირთების გადაზიდვა-გადმოზიდვის საქმე გადასცეს „სოვტორგფლოტს", ან საქალაქო სადგურს. „სოვტორგფლოტს" და თბილისის საქალაქო სადგურს წინადადება მიეცეს დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები საკუთარი საექსპედიციო აპარატის რაციონალიზაციისათვის და მის გასაიაფებლად და გამოიმუშაონ მტკიცე ფასები სხვადასხვა ტვირთების გადასატანათ.

საქ. რადიო-მოყვარულთა საზოგადოებაში

საქართველოს რადიოს მოყვარულთა საზოგადოება დაარსდა 1927 წლის დეკემბერში. აერთიანებს 48 უჯრედს, აქედან 34 უჯრედი თბილისშია, 14 კი მაზრაში. საქმის მდგომარეობის შესახებ ავტონომიურ რესპუბლიკებიდან ცნობები არ მოიპოვება. საზოგადოება აერთიანებს 1810 წევრს. წევრთა სოციალური შემადგენლობა ასეთ სურათს იძლევა: მუშა—373, გლეხი—238, მოსამსახურე—721 და სხვადასხვა პროფ.—478. რადიოს მოყვარულთა საზოგადოებას ჰყავს თავისი საბჭო, რომელიც ხელმძღვანელობს რადიოფიკაციის საქმეს რესპუბლიკაში. თუ რამდენად დიდია ინტერესი რადიო-მშენებლობისადმი, ამას ამტკიცებს თუგინდ ის ფაქტი, რომ რადიო-მშენებლობისა და მუშაობის შესახებ საზოგადოებაში შემოსულია 8.600 შეკითხვა, რომლებზედაც გაცემულია პასუხი, როგორც ფოსტით, ისე რადიოთი. დღემდე მაზრებსა და საზოგადოების ცენტრალურ გამგეობას შორის არავითარი კავშირი არ არსებობდა. ცენტრალურმა გამგეობამ ისიც კი არ იცოდა, თუ ვინ ღებულობდა დაგზავნილ ინსტრუქცია-ცირკულარებს ადგილებზე. მაზრებში არ არსებობდა სამაზრო გამგეობები და სხვა.

ამ ნაკლის გამოსასწორებლად ამჟამად მიღებულია ზომები. ავტონომიურ რესპუბლიკებში და აგრეთვე მაზრებში არსდება საზოგადოების გამგეობები. ცენტრალურ საბჭოს აქვს საკუთარი რადიო-სახელოსნო და ბატარეების დამტენი სადგური. სახელოსნოში სწარმოებს, როგორც ახალი აპარატების გაკეთება, ისე დაზიანებულთა შეკეთებაც. რადიოს მოყვარულთათვის სახელოსნო მუშაობას ასრულებს 20 პროცენტის დაკლებით. საბჭოს ჰყავს რადიო-აპარატების დამდგმელი, როგორც თბილისისათვის, ისე მაზრებისათვის. პროვინციიდან ჩამოსულ გლეხებს, რომლებსაც სურთ რადიო-აპარატურის შეძენა, ცენტრალური გამგეობა ყოველმხრივ ეხმარება, როგორც რჩევა-დარიგებების მიცემით, აგრეთვე შესაძენ აპარატურის შერჩევითაც.

ქუთაისი

გადასამზადებელი კურსები

20 დეკემბერს ქუთაისში იხსნება დაწინაურებული მუშათა ახალგაზრდობის გადასამზადებელი კურსები, რომლის გამგეთ დანიშნულია ამხ. ლეჟავა.

ასეთივე კურსები იხსნება 5 დეკემბერს სამტრედიაში და სამ დეკემბერს ტყიბულში.

აღმასკომმა და პროფბიურომ კურსებს აღუთქვეს მატერიალური დახმარების აღმოჩენა.

3.000 მანეთის გადადება

წყალტუბო-ქუთაისის ელექტრო რკინის გზის გამოკვლევის საწარმოებლად სამაზრო აღმასკომმა დამატებით გაიღო 3.000 მანეთი.

უმუშევარ მსახიობთა კოლექტივი

ქუთაისში შრომის ინსპექციასთან არსდება უმუშევარ მსახიობთაგან შრომის კოლექტივი „რევაგიტ-სატირის თეატრი", რომელიც გამართავს წარმოდგენებს: ქუთაისის, ხონის, სამტრედიის და ბაღდადის კლუბებში, დასის ჩამოყალიბება მინდობილი აქვს მსახიობ აბაკელიას.

ჭრა-კერვის კურსების გახსნა

ქალთა განყოფილებების არსებობის 10 წლის იუბილეს აღსანიშნავად, ქუთაისის მაზრაში (კულაშის თემში) გაიხსნა ებრაელ ქალთათვის ჭრა-კერვის კურსები. ორი საკერავი მანქანა კურსებს გადასცა პოლიტგანმა, დანარჩენი ხელსაწყოები კი ქალთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელმა კომისიამ.

საარტილერიო ლეგიონში ამ დღისათვის გაიხსნა წითელ არმიელთა ოჯახებისათვის ბავშვთა ბაგა.

სიძველეთა დაცვა

სამაზრო აღმასკომის მიერ ქუთაისის მუზეუმს სიძველეთა დაცვისათვის მიეცა 500 მანეთი, ქუთაისის არქივს 300 მანეთი, ხოლო ქუთაისის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციას 289 მანეთი.

ქუთაისის სანოტარო კანტორის გაერთიანება

სამაზრო აღმასკომმა მიზანშეწონილათ სცნო პირველი და მეორე სანოტარო კანტორების გაერთიანება. სანოტარო კანტორის გამგის თანამდებობაზე დანიშნულია ამხ. ალექსი ნაკაიძე, ხოლო ნოტარიათ ივანე ფხაკაძე.

საქმიანი კლუბი

ქუთაისში იხსნება საქმიანი კლუბი, რომლის მიზანია სახელმწიფო დაწესებულებების, მრეწველობისა და ტეხნიკის, პროფესიონალურ, კოოპერატიულ და პოლიტიკურ ორგანიზაციების წარმომადგენელთა დახმარების აღმოჩენა, გამოცდილებათა გაზიარება და საქმიან ურთიერთობის გაფართოება, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის და საერთოდ საბჭოთა აღმშენებლობის განვითარების ხელის შეწყობა, მეცნიერულ მეთოდების პოპულიარიზაცია, სპეციალური და საზოგადოებრივი ცოდნის, სალი დასვენებისა და კულტურული გართობის მიცემა წევრთათვის, აღნიშნულ მიზნისათვის ეწყობა კურსები, ლექციები, მოხსენებები და დისპუტები სამეურნეო-ეკონომიურ, საზოგადოებრივ, აღმშენებლობის და აგრეთვე მრეწველობის და ტეხნიკის საკითხებზე. ექსკურსიების მოწყობა პრაქტიკული მიზნით და სხვა. საქმიანი კლუბი იწყობა დამზღვევ სალაროს ყოფილ ბინაზე, რომლის კაპიტალური შეკეთება უკვე დამთავრდა.

სამთავისი

შემოდგომის მზე ცდილობს უკანასკნელად მაინც გამოიჩინოს თავისი ძალა, მაგრამ ამაოდ. მისი სხივები ვეღარ უმკლავდებიან თოვლით დაფარულ ქსილისის მთიდან მონაბერ ცივ ქარს.

— წელს ძალიან ადრე აცივდა—გვეუბნება ჩვენი თანამგზავრი, კასპელი გლეხი—მინდვრად ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა: ვაშლია მოსაკრეფი, კომბოსტოა მოსაჭრელი.

მატარებელი უახლოვდება სადგურ კასპს. იხედები ფანჯრიდან და გიკვირს: რად მოუყრია ამოდენა ხალხს თავი სადგურზე? იქნებ კასპში რამე ზეიმია, ან დღესასწაული. ჩერდება მატარებელი და ყველაფერი ადვილი გასაგები ხდება მგზავრისათვის: ეს ამოდენა ხალხი გამოსულა სადგურზე სავაჭროდ, ხილის გასაყიდად.

— ვაშლი, ვაშლი!—გაჰკივის ფეხშიშველა შვიდი თუ რვა წლის გოგო.

— კომში, ჩურჩხელა—ყვირის თითის ოდენა პირდაუბანელი ბიჭი.

ადამიანს აყრუებს ეს ღრიანცელი. კასპელი გლეხი, რომელმაც წამოიკიდა ზურგზე ხურჯინი და მოემზადა ვაგონიდან ჩამოსასვლელად, დიდათ უკმაყოფილოა ამ სურათით.

— ერთი ნახეთ, რა ამბავი ჰქონ ამ გოგონებს. მაგათი მშობლები პირდაპირ გასაროზგავი არიან, რომ ძუძუ-მწოვარ ბავშვებს არჩევენ ჩარჩობას.

ამ დროს სადგურზე გაჩაღებულია ვაჭრობა. იყიდება ვაშლი, კომში, ახალი ჩურჩხელები.

მაგრამ მატარებელმა შეჰკივლა და ზლაზვნით შეუდგა მეტეხის აღმართს. სადგურზე შეწყდა ღრიანცელი. პატარა „ვაჭრები" შეუდგნენ მოგების გამოანგარიშებას.

მგზავრობა ეხლა გაჩაღებულია სადგურის გასწვრივ, სადაც გაჩერებული არიან სამთავისისაკენ და ქსილისაკენ მიმავალი ეტლები.

ყოველი მეეტლე ცდილობს წაიყვანოს რაც შეიძლება მეტი მგზავრი. ისინი ყურადღებას არ აქცევენ თავიანთ ცხენების უნუგეშო მდგომარეობას, რომლებიც ძლივს სდგანან ფეხზე.

— დაბრძანდით, ამხანაგო, ერთი, ვიცი, კიდევ დაეტევა. ცხენებს ნუ უყურებთ, თუმცა გამხდრები არიან, მაგრამ ისე მიჰქრიან, როგორც ჩიტები—გვეპატიჟება ერთი ახალგაზრდა მეეტლე.

ძალაუნებურად ათამდე კაცი ვთავსდებით ერთ ეტლში, რომელმაც, ნორმალურად, უნდა დაიტიოს მხოლოდ ამის ნახევარი.

დასუსტებული ცხენები რამდენიმე მანძილზე მიდიან ჭენებით, რაც აძლევს მეეტლეს საბუთს ამაყად უმზიროს იმ მგზავრებს, რომლებსაც ეჭვი ეპარებოდათ ცხენების სიმარდეში. მაგრამ შეუდექით აღმართს და ცხენებმა დაჰკარგეს სიარულის უნარი. ძალაუნებურად ძირს ჩამოსვლა, მის მაგალითს ჩვენც მივბაძეთ და ფეხით შეუდექით აღმართს.

* * *

სოფელი კასპი დაგვრჩა უკან.

თავჩაქინდრული ცხენები ულაზათოდ ეწევიან მძიმე ეტლს.

შევედით ლეხურას ხეობაში. გზა მიიკლაკნება მდინარის მარჯვენა ნაპირას.

შემოდგომას უკვე დაუმზნევია ლეხურის ხეობისათვის და ათასფერად აუჭრელებია ხეები. ხეები თანდათან ტიტვლდებიან. ქარის ყოველ შემობერვაზე გაყვითლებული ფოთლები ათასობით ეფინებიან მიწას.

მივადექით მდინარე ლეხურას. ოდესღაც ამ მდინარეზე იყო ხიდი, რომელიც დიდის ვაივაგლახით და გაჭირვებით ააგეს ხეობის მცხოვრებლებმა, ხიდი ერთხელ წაიღო ადიდებულ მდინარემ და ეხლა აღარავინ ფიქრობს მის აღდგენაზე.

— დიდათ ვიტანჯებით უხიდობით—მეუბნება ერთი გლეხი—ადიდდება ლეხურა და მთელი ხეობა მოწყვეტილია ქვეყნიერებას.

გლეხობას დიდად აწუხებს უხიდობა მდ. ლეხურაზე, ამას ზედ ერთვის გზების უნუგეშო მდგომარეობა.

— ნეტა გამოჩნდებოდეს ისეთი ადამიანი, რომელიც იკისრებდეს მეთაურობას გზების და ხიდების გაკეთებაში და მთელი ხეობა სიამოვნებით მიიღებს მონაწილეობას ამ კეთილ საქმეში—ამბობენ ხეობის მცხოვრებნი.

შევედით სოფელ იგოეთში, რომელიც გაშენებულია შარა-გზის ორთავე მხარეს. ეტყობა, რომ გლეხები კარგად ცხოვრობენ აქ. ყურადღებას იპყრობს მრავალი ახალი, ორსართულიანი ქვითკირის სახლი და ახლად აგებული, ლამაზი სკოლის შენობა.

თუმცა კვირა დღეა, მაგრამ გლეხები გამალებით მუშაობენ მინდორ-ვენახებში. სიცივეებმა დაიჭირა და ყველა ცდილობს დროზე მოიმარაგოს ზამთრისათვის საჭირო სურსათ-სანოვაგე.

ჯერ არ მენახა სამთავისის კომუნა და გაფაციცებით ვთვალიერებდი კომუნის ბაღ-ვენახებს და თან ვუგდებდი ყურს გლეხების ლაპარაკს კომუნის ირგვლივ.

* * *

ვუახლოვდებით სამთავისს.

უკვე გამოჩნდა სამთავისის ძველი ეკლესიის ცაში ატყორცნილი გუმბათი.

დავტოვეთ შარა გზა და გადაუხვიეთ სამთავისის კომუნისაკენ.

ჩვენს ირგვლივ მოჩანდა მოხნული და დაფარცხული მინდვრები, რომლებიც ეკუთვნის კომუნას.

— ძახ ბიჭები არიან კომუნაში—ამბობს ჭაღარა ბალგაზრდა—ტრაქტორებით ანაზდეულად გადახნეს ეს ვეებერთელა მინდორი და საუკეთესო სათესლე ხორბალიც დათესეს.

— ეგ რა არის—ამბობს მეორე—აი გადახედე, რა სანერგე გააშენეს, მალე კომუნას ჩინებული ვენახი ექნება.

მართლაც, რამდენიმე დესეტინა მიწაზე კომუნის წევრებს აუშენებიათ მშვენიერი სანერგე, სადაც არის ვაზის და ყოველნაირი ხილის ნერგები.

კომუნის შესახებ გამეგონა მრავალი ჭორი. ზოგიერთი გესლიანად ამბობდნენ, რომ კომუნა ირღვევა, წევრები გადიან კომუნიდან და უბრუნდებიან თავის კერძო მეურნეობას.

მაგრამ ეს ჭორები მარტო ჭორებად რჩებიან. კომუნის სიძლიერის დამამტკიცებელია ლამაზედ მოვლილი სანერგე და საშემოდგომოდ მოხნული და დაფარცხული მრავალი დესეტინა მიწა.

— კომუნელებს რა უშავთ, შენი ჭირიმე—ამბობს ხანში შესული დედაკაცი—ყველაფერი მრავლად აქვთ—პურიც და ღვინოც. რაც მაგათ ხილი მოუვიდათ წრეულ, მთელ სოფელს ეყოფა.

— მაშ, აგრე იცის შეერთებულმა ძალამ—კვერს უკრავს დედაბერს ჩვენი ერთი თანამგზავრთაგანი.

გამოჩნდა კომუნის საერთო ბინები, ახალი, ლამაზი, დიდი შენობა, რომელსაც განცვიფრებაში მოჰყავს ადამიანი. მართლაც, ამისთანა შენობის აგება შესაძლებელია მხოლოდ კოლექტიური შრომით.

მე და ჩემი ამხანაგი გაუსწორდით მეეტლეს და გავსწიეთ კომუნისაკენ.

* * *

ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელობის სამთავისის კომუნა დაარსდა 1924 წელს, შემოდგომაზე.

ოთხი წლის განმავლობაში კომუნაში შემავალი წევრების ენერგიული შრომით გაკეთებულა იმდენი რამ, რომ სამთავისის კომუნას დღეს შეუძლიან თამამად გვერდში ამოუდგეს საბჭოთა კავშირის საუკეთესო კოლექტიურ მეურნეობებს.

კომუნართა საერთო საცხოვრებელი

სამთავისის კომუნაში ირიცხება 17 კომლი. კომუნის სახნავ-სათესის და ბაღ-ვენახების სივრცე უდრის 80 დესეტინას.

კომუნაში ყველაფერი კეთდება მანქანების საშუალებით.

მიტოვებულია ძველი, მამა-პაპური იარაღები. კომუნამ დიდი ხანია დაივიწყა მიწის მოხვნა რვა უღელი ხარ-კამეჩით, მათი ადგილი დაიჭირა ტრაქტორმა. ხარ-კამეჩიც ძალიან ცოტა ჰყავთ კომუნაში, რადგან ისინი აღარ არიან საჭირო.

კომუნის ეზოში, ფარდულის ქვეშ, სდგას სალეწი მანქანა, რომელიც მოძრაობაში მოჰყავს ლოკომობილს. სალეწმა მანქანამ განდევნა კევრები. თესვაც სწარმოებს სპეციალური სათესი მანქანით, რაც აადვილებს შრომას და იძლევა საშუალებას თესლის სწორად გასანაწილებლად.

არავის არ ახსოვს, რომ კომუნას მოსვლოდეს ცუდი მოსავალი. პირიქით, კომუნის ყანები ყოველთვის საუკეთესოა, მოსავალიც კარგია.

ხილის ბაღებიც საუკეთესოდ არის მოვლილ-შენახული. აქაც ყველაფერი კეთდება ისე, როგორც მოითხოვს აგრონომია.

კომუნის წევრებმა იციან ხეხილის მოვლა-მოშენება, იციან, როგორ უნდა უწამლონ ხეს და ვაზს და ამიტომ მავნებლები ვერაფერს აკლებენ კომუნის ბაღ-ვენახებს.

აგრონომი შაბურიშვილი კომუნის წევრია. იგი სათავეში უდგას აგრონომიული ცოდნის გავრცელებას, ებრძვის ძველ, დახავსებულ საშუალებებს, სცდილობს, რომ როგორც კომუნის წევრები, ისე დანარჩენი გლეხობა, მიეჩვიონ რაციონალურ შრომას და გააუმჯობესონ მეურნეობა.

კომუნა მთლიანად გადასულია მანქანებზე და მიწის მეცნიერულად დამუშავებაზე. ამის შედეგებს გლეხობა ხედავს თავისი საკუთარი თვალით და თვითონაც, ნელ-ნელა თანდათანობით სტოვებს ძველ, უსარგებლო გზებს. კომუნამ, ამ მხრივ, მოახდინა დიდი გარდატეხა გლეხის პსიქოლოგიაში და ამაშია მისი უდიდესი დამსახურება.

* * *

კომუნამ, მიატოვა რა მიწის დამუშავება ძველი საშუალებებით, ზურგი აქცია აგრეთვე ძველ ყოფა-ცხოვრებას.

კომუნა ჰქმნის ახალ ცხოვრებას. უეჭველია, ეს პროცესი არ მიმდინარეობს უმტკივნეულოდ, მაგრამ ამ დარგში კომუნას გადადგმული აქვს უდიდესი ნაბიჯი.

ახალ ცხოვრებას ეყრება საფუძველი კომუნის საკუთარ სკოლის, საბავშვო ბაღის და კლუბის საშუალებით.

სკოლისა და კლუბისათვის აგებულია ლამაზი შენობა. სკოლაში ამჟამად სწავლობს ორთავე სქესის 41 ბავშვი. საბავშვო ბაღში დაიარება 37 ბავშვი. კლუბი, თავისი მხრივ, აწარმოებს დიდ მუშაობას ახალი ყოფა-ცხოვრების განმტკიცების დარგში.

კომუნასთან არსებობს პიონერ-ორგანიზაცია, რომელიც აწარმოებს დაუღალავ ბრძოლას ყველა ცუდ ჩვეულებებთან.

* * *

— ამხანაგო, ვინ განაგებს კომუნას, ვინ იცავს წესრიგს. საერთოდ, ვინ უდგას სათავეში ამოდენა, რთულ ორგანიზაციას?—ვეკითხებით კომუნის ერთ-ერთ წევრს.

— ამორჩეული გვყავს საბჭო 6 წევრის შემადგენლობით, საბჭოს ჰყავს თავმჯდომარე. ეხლა თავმჯდომარეთ არის გიორგი უზნაძე—დიდი ენერგიის პატრონი გლეხი. გვყავს აგრეთვე სარევიზიო კომისია, რომელიც თვალყურს ადევნებს საერთო წესრიგს,—გვიპასუხებს კომუნელი.

კომუნაში ყველა მუშაობს. ყოველი წევრი აქტიური მონაწილეა საერთო საქმიანობის, ყოველ წევრს აქვს განსაკუთრებული სამუშაო.

კომუნის წევრი ვალდებულია შეიტანოს თავისი წვლილი საერთო აღმშენებლობაში და მიიღოს ზომები კომუნის განვითარება-წინმსვლელობისათვის.

კომუნის ყველა წევრები ერთნაირად სარგებლობენ მატერიალური საშუალებებით და მოსავლით.

— სალარო საერთო გვაქვს—გვიხსნის კომუნის წევრი—მთელი შემოსავალი ამ სალაროში მიდის. გავყიდით ხილს, ხორბალს, ზედმეტ სანოვაგეს—ფული მიდის სალაროში და შემდეგ გვეძლევა თანაბრად საჭიროების მიხედვით.

ასევე ნაწილდება სურსათ-სანოვაგე და სხვა საგნები.

* * *

ვათვალიერებთ საცხოვრებელ ბინებს. სუფთა, ნათელი, ლამაზი ოთახები. კედლებზე ჩვენი ბელადების სურათები. მაგიდებზე წიგნები. კომუნაში არ არის არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი.

ხისა და რკინის საწოლები, სუფთა ლოგინით, რაც ასე იშვიათია ჩვენ სოფლებში.

ყოველ ბინას აქვს საკუთარი პატარა აივანი. საცხოვრებელ ბინების ერთად-ერთ ნაკლს შეადგენს ბაღის უქონლობა. ბინას აქვს დიდი ეზო, მხოლოდ მოუვლელი, არ არის ჩაყრილი ხეები. საჭიროა, რომ ეზოში გაშენდეს ბაღი, რაც უფრო გაალამაზებს იქაურობას და ზაფხულობით მისცემს ჩრდილს.

შევდივართ საერთო სამზარეულოში, სადაც მრავლად არის ჭურჭელი, სხვადასხვა ხელსაწყოები, სურსათ-სანოვაგე.

ვინახულეთ ფურნე, რომელიც ხურდება ფარსუნკით, პური ცხვება აქ დღეში ერთხელ. პურის გამოცხობა დავალებული აქვთ ქალებს, რომლებიც მორიგეობენ ფურნეში.

პური ცხვება ნოყიერი, გემრიელი.

ყურადღებას იპყრობს ახლად გამოყვანილი ცივი, ანკარა წყაროს წყალი. იქვეა აუზი საქონლისათვის.

კომუნას აქვს საფუტკრე. ამ ახალი საქმისათვის სულ რამდენიმე თვეა რაც ხელი მოუკიდნია კომუნას.

ყველაფერს ეტყობა მზრუნველი ხელი, ეტყობა, რომ კომუნის ყოველი წევრი ცდილობს მოუაროს საერთო ქონებას, ააყვავოს და გააუმჯობესოს საერთო საქმე.

* * *

დაბინდდა.

გამოვემშვიდობეთ მასპინძლებს და გამოვწიეთ კასპისაკენ.

გვერდით ჩამოუარეთ სამთავისის ეკლესიას, რომელიც წარმოადგენს ძველი ხუროთ-მოძღვრების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს. იგი თავისი სილამაზით და ჩუქურთმებით არ ჩამოუვარდება მცხეთის და ალავერდს. მაგრამ, ეტყობა, რომ სიძველეთა დაცვის კომიტეტი და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება არ აქცევენ ამ ეკლესიას სათანადო ყურადღებას.

კომუნის ტრაქტორი

— გეტყობათ, კომუნაში იქნებოდით—მოგვმართა ერთმა გლეხმა—დიდი საქმე იციან კომუნელებმა და კარგათაც მოაგვარეს იგი. ბევრი ჯაფა და შრომა დახარჯეს. ჯერ გვეგონა, რომ ვერაფერი გამოუვიდოდათ, მაგრამ თავისი მაინც გაიტანეს და გამარჯვეს.

სათესლე ხორბლის საწმენდი მანქანა

გლეხობას, როგორც ეტყობა, აქვს სურვილი შეუერთდეს კომუნას, რადგან იგი თავისი საკუთარი თვალით ხედავს, თუ რა უპირატესობა აქვს მიწის კოლექტიურად დამუშავებას.

სამთავისის კომუნის ძლიერი გავლენა უკვე დატყო ამ მხარეს: მეორე წელიწადია რაც ჩაეყარა საძირკველი ლამის ყანის კომუნას; ოქსის გლეხობა უკვე გაერთიანდა კოლექტიურ მეურნეობაში.

სამთავისის კომუნამ ბევრს აუხილა თვალი და ასწავლა ბევრი კარგი რამ.

ე. ხუციშვილი.

ქრონიკა

ამხ. ლ. ქართველიშვილის გამგზავრება

საქართველოს სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ლ. ქართველიშვილი გუშინ გაემგზავრა დასავლეთ საქართველოში.

ცნობათა ბიურო ფ.-ტ. დაწესებულებებთან

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატმა გადასწყვიტა სხვადასხვა ხასიათის ცნობების გასაცემად ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებთან მოაწყოს სპეციალური ცნობათა ბიუროები, ცნობების მიცემისათვის დაწესებული იქნება განსაზღვრული საფასური.

თბილისის აღმასკომში

◆ **სანიმუშო თემი.** თბ. აღმასკომის საგეგმო კომისიამ შეიმუშავა მაზრაში სანიმუშო თემის მოწყობის გეგმა. თემის მოწყობა დაიწყება მომავალ წელში.

◆ **კომუნალურ ქუჩის გაფართოება.** კომუნალური განყოფილება შეუდგა კომუნალურ ქუჩის გაფართოებას.

სხვადასხვა

◆ **სახ. უნივერსიტეტის ადგილკომთან** არსებული კულტკომისია ხუთშაბათს, 22 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე სტუდენტთა კლუბის დარბაზში მართავს ლ. ტოლსტოის დაბადებიდან ასი წლის შესრულების აღსანიშნავ საღამოს შემდეგი პროგრამით: 1. შესავალი სიტყვა—მ. ტოროშელიძე, 2. მოხსენებები; ს. ხუნდაძის და პროფ. შ. ნუცუბიძის, 3. საკონცერტო განყოფილება.

უნივერსიტეტის თანამშრომლები საღამოს დაესწრებიან უბილეთოდ, სტუდენტები კი ბილეთებს მიიღებენ პროფკომებში.

◆ **ქართული ენის კაბინეტში** (მე-14 შრ. სკ.) დღეს, საღამოს 7 ს., შესდგება ქართული ენის მასწავლებელთა სემინარების მუშაობა.

◆ **„ტროპიკული მედიცინის მოამბე“.** გამოვიდა საქ. ტროპიკული მედიცინის დაწესებულებათა სამეცნიერო და საზოგადოებრივი ჟურნალი „ტროპიკული მედიცინის მოამბე“ № 1.

საქ. პროფსაბჭოში

საკლუბო აღმშენებლობა საქართველოში

საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებულ საკლუბო აღმშენებლობის კომიტეტმა დაადგინა გამოაცხადოს კონკურსი ფეიქართა კლუბის აგებაზე ოზურგეთში. კლუბთან იქნება სათეატრო დარბაზი, სცენა, ვესტიბიული, ფიზკულტურის დარბაზი და სხვა. კომიტეტმა აუცილებლად სცნო შეუდგეს ახლო მომავალში საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის საზამთრო კლუბის აგებას თბილისში. ამ კლუბის ასაგებათ კავშირს აქვს 340.000 მანეთი.

საქართველოს ქიმიზაცია

საქართველოს ინჟენერ-ტეხნიკოსთა ძალების სექციათაშორისო ბიურომ საქართველოს ს. მ. უ. საბჭოს წინაშე წამოაყენა საკითხი იმის შესახებ, რომ შესწავლილი იქნეს გოგირდის და აზოტის სიმჟავის და ფაიფურ-ფაიანსის წარმოების განვითარების შესაძლებლობა საქართველოში; ამ მრეწველობის განსავითარებლად შეიძლება ფართოდ იქნეს გამოყენებული საქართველოს ელექტროფიკაციის შედეგები.

ინჟენერ-ტეხნიკოსთა ძალების სექციათაშორისო ბიურომ აუცილებლად სცნო მოწყობილი იქნეს საქართველოს ს. მ. უ. საბჭოსთან ქიმიზაციის კომიტეტი.

ხელოვნება

რუსთაველის თეატრი

„ხოჭების დოლი“ — ხოზიკასი დადგმა ახმეტელის, მხატ. ირ. გამრეკელი

საზოგადოებისათვის საკმაოდ ცნობილ იუმორისტს ხოზიკას უცდია პოლიტიკური ხასიათის სატირული პიესის დაწერა. სიუჟეტად გამოუყენებია იმ ემიგრანტთა მდგომარეობა, რომლებიც საქართველოდან გადაბარგებია შემდეგ ბერლინში ჩარჩნენ. ყოფილი მოღვაწენი ბოლშევიკების ამიერ-კავკასიიდან „წასვლის“ მოლოდინში აარსებენ „კომიტეტს“. „კომიტეტის“ საქმიანობას შეადგენს რწყილების დაჭერა და სხვადასხვა აფიორით ფულების შეგროვება. ერთ-ერთი ასეთი საშუალებათაგანია ხოჭოების დოღის გამართვა. დოღს ესწრება თვით „კომიტეტის“ „საპატიო წევრი“ უცხოელი სენატორი, თავის ქალიშვილებით. „კომიტეტის“ ორი წევრი სენატორს ჩაესიტყვებიან იმ მიზნით, რომ „კომიტეტს“ შეუწყონ ხელი, მაგრამ თვითეული წევრთაგანი საკუთარი ჯიბისათვის იყენებს ყოველგვარ მდგომარეობას.

შემდეგ, სატირის კვანძი სენატორის მეშჩანური ოჯახის დრამატიზმში გადადის და პიესის გათავებამდის მაყურებელის თვალწინ თანდათანობით შიშვლდებიან პოლიტიკურად ჰკვდარი ადამიანები, რომლებიც საზოგადო საქმის სახელით, ერთმანეთს ატყუებენ, მზათ არიან ყოველგვარ აფერისტობაზე, უნდათ სამშობლოში დაბრუნება კუჭის დაკმაყოფილებისა და სახელის მიზნით.

პოლიტიკური ხასიათის დრამატიული ნაწარმოები რომ დიდ ინტერესს იწვევს,—ეს გვიჩვენა „დეზერტირმა“ და „ამერიკელმა ძიამ“. მაგრამ ხსენებულ პიესების იუმორი არ იყო სალი და გაიდევნა კიდეც საბჭოთა სცენიდან. „ხოჭების დოღი“ თითქოს მეტ სალ მასალას იძლევა. ეს პიესა უფრო მხიარული ვოდევილია, ვიდრე ტრაგიკომიზმით სავსე წარსული და აწმყო „დამფუძნებელ სალაყბოს“ ამირებისა. მასში გამოყენებულია იუმორის შტამპიანი ხერხები და ცალიერი მახვილობა მაგრამ მასთანავე არის ისეთი მკვეთრი ირონიით სავსე ადგილებიც როგორიც მაგ. მთელი ყბეთა დაუსრულებელი ბრძოლა ამიერ-კავკასიის ტერიტორიის ირგვლივ. მათი მუშტი-კრივი ამ საკითხზე საბჭოთა მაყურებლისათვის გასაგებია და ამიტომაც იწვევს გულითად სიცილს.

პიესა, თუ ხშირად უფერულად მოსჩანს ამის მიზეზათ მგვანია ერთი მთლიანი და მოხერხებული ფაბულის უქონლობა. იმ მასალისათვის, რომელიც პიესაშია მოცემული არ შეგვიძლია არ უსაყვედუროთ ავტორს იმ უამრავ დოკუმენტალურ მასალის გამოუყენებლობა, რომელიც მრავლად მოიპოვება მეშუარების, წერილების და სხვა სახით. ავტორს რომ შეუძლია დრამატურგის დარგში მუშაობა ამას გვიჩვენებს მესამე მოქმედება, სადაც კომედიის ხერხები კარგათ არის გამოყენებული.

სცენის ისტორიაში ხშირია შემთხვევა, როდესაც აქტიორის სისუსტეს შველის კარგი პიესა და ხშირია წინააღმდეგიც. რეჟისორის ფანტაზიამ, მხატვარის მოხერხებულმა შირმებმა და აქტიორების შესანიშნავმა გამოსვლამ დიდი დახმარება გაუწია პიესას. აქტიორების თამაშმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მათი თამაში იყო ერთსულოვანი და ყოველმხრივ გამართლებული.

სცენაზე დადიოდენ ირონიული პროფილები მენშევიკის, ფედერალისტის, ნაციონალდემოკრატის, მუსავატელის, დაშნაკის და ყოველი ჯურის ავანტიურისტებისა. როლების მიხედვით ყურადღების ცენტრში ეყვნენ ნ. გოცირიძე, გ. დავითაშვილი და აკ. ვასაძე.

აკ. ვასაძემ, ჩეხოვის აქტიორული მარკის უძლიერეთ, თავისი არტისტიული ნიჭი ყველასათვის უდავოდ გახადა. მან შექმნა სრული სახე უნებისყოფო, დამბლა დაცემული და იმედ დაკარგულ განწირულ ემიგრანტისა.

ბ. ბ.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

◆ **ოპერის თეატრში.** დღეს მე-5 აბონემენტისათვის წარმოდგ. იქნება „ევგენი ონეგინი“.

◆ **რუსთაველის თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება მეორედ „ხოჭების დოღი“.

შემთხვევები

მკვლელობა და თვითმკვლელობა

ამ რამდენიმე ხნის წინად, სოფ. ვაკიჯვარში (გურია) საშუნკა კირილის ასულმა სიხარულიძემ (17 წლისა) ქუჩაში შეხვედრის დროს „ნაგანის“ სისტემის რევოლვერიდან რამოდენიმეჯერ ესროლა ამავე სოფლის მცხოვრებ პროკოფი ერმალოსძე სირაძეს (22 წლისა). როცა სირაძე წაიქცა, სიხარულიძე მივარდა მასთან და რამოდენიმეჯერ კიდევ დაახალა რევოლვერი. ამის შემდეგ სიხარულიძის ქალი მიიმალა. მაგრამ იგი დარწმუნებული არ იყო, რომ სირაძე მოკლულია და მეორე დილით კვლავ მივიდა მკვლელობის ადგილას და დაათვალიერა მოკლულის გვამი. როცა დარწმუნდა, რომ სირაძე მკვდარი იყო, მან იქვე მოიკლა თავი.

როგორც ირკვევა, მკვლელობა და თვითმკვლელობა რომანიულ ნიადაგზე მომხდარა.

მკვლელობა

სოფ. დიღომში (თბილისის მაზრა) მოჰკლეს სიმონ გოგუაშვილი. ამ დღეებში, სისხლის სამართლის მილიციამ მკვლელი—ანტონ ივანესძე გოგუაშვილი დააპატიმრა.

შეპყრობა

თბილისის სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ლ. ი. მჭედლიშვილი, რომელმაც სახმედრო-ვაჭრობის მაღაზიიდან მოიპარა ერთი პალტო.

უბედური შემთხვევა

გუშინ, დღისით, საბჭოთა ქუჩაზე ტრამვაის ვაგონიდან გადმოვარდა სიმონ ანდრიასძე მარასაშვილი (49 წლ.), რომელმაც თავი დაახეთქა ქვებზე და იქვე გარდაიცვალა. გვამი გადაგზავნეს რესპუბლიკის მთავარ სავადმყოფოს პროზექტურაში.

ქურდობა

გაქურდეს თ. ინერიკოვას ბინა (პუშკინის ქ. 9)—წაიღეს 150 მანეთის ნივთები,—გაქურდეს მარიამ საკოვას ბინა (წერეთლის ქ., № 20),—მოპარულია 150 მანეთის საოჯახო ნივთები;—კასპარ ევჯონიანს გლეხთა სასახლეში მოპარეს 170 მანეთის ტანსაცმელი;—ვახტანგ ლომიას ბინიდან მოიპარეს 100 მანეთის ნივთები;—გაქურდეს მიკირტიჩ არტიკოვის ბინა (რეუტოვის ქ., 15);—წაიღეს სხვადასხვა ნივთები;—ვასო სიმონიანცის ბინიდან (ორბელიანის ქ., № 20) მოიპარეს 100 მანეთის ნივთები.

სასამართლო

მხეცი დამქირავებელი

გორის სამაზრო სასამართლოს სესიამ ქ. ხაშურში გაასამართლა მოქ. ლევინტო ხათიას ძე გვენცაძე.

გვენცაძე სცხოვრობდა ქ. ხაშურში, სადაც მას ჰქონდა საკუთარი სამჭედლო. თავის სამჭედლოში გვენცაძე აუტანელ პირობებში ამუშავებდა შეგირდებს, რომელთაც სამუშაოდან დათხოვნის მუქარით უკრძალავდა პროფკავშირის წევრად ჩარიცხვას და დაზღვევას. სცემდა და აგინებდა მათ.

შეგირდთა შორის იყო ს. ნადარბაზევის მცხოვრები გარეგინ მენაბდიშვილი, რომელსაც განსაკუთრებულ ექსპლოატაციას უწევდა გვენცაძე.

გვენცაძემ კარგად იცოდა, რომ შრომის კანონის დარღვევისათვის—შეგირდის უზომო ექსპლოატაციისათვის მას სასტიკ პასუხს მოსთხოვდენ, ამიტომაც თაღლითობის გზას დაადგა. მან შეადგინა ყალბი „საბუთი“, ვითომ შეგირდი მენაბდიშვილი მისი ამხანაგი იყო და მისგან იღებდა შემოსავლის მესამედს. ამ საბუთზე მან იძულებით ხელი მოაწერინა მენაბდიშვილს.

ხშირად უნახავთ გვენცაძე, როცა იგი უმოწყალოდ სცემდა და უშვერი სიტყვებით აგინებდა შეგირდ მენაბდიშვილს. მაგრამ ეს არაფერია იმ საზიზღრობასთან შედარებით, რაც გვენცაძემ ჩაიდინა ამა წ. 8 სექტემბერს.

შაბათი დღეა. „ხაზეინი“ გვენცაძე მთვრალი შედის სამჭედლოში შეგირდების „დასაზვერავად“.

შეგირდი მენაბდიშვილი ოფლში იწურება, საბერველს უბერავს და ცალი ხელით რკინას აზურებს.

— რას აკეთებ?—უხეშად მიმართავს გვენცაძე შეგირდს.

— „კოფოს“,—უპასუხებს შეგირდი.

— ვინ დაგავალა მაგისი გაკეთება, შენ არამზადავ, შენა!? ხომ იცი, რომ ხვალ კვირაა, გლეხები ჩამოვლენ და ურმისათვის რკინები უნდა გავასაღო! ეხლავე თავი გაანებე მაგას და შეუდექი ურმის თვალის რკინების დამზადებას,—დაიწყო ღრიალი გვენცაძემ.

მენაბდიშვილმა შეუძლებლად სცნო მთვრალი „ხაზეინის“ უსაფუძვლო ბრძანების შესრულება, რადგან რკინა, რომელიც ხელში ეჭირა აანახევროდ უკვე გახურებული იყო და „კოფოს“ გაკეთებასაც დიდი დრო არ უნდოდა. შეგირდმა გაუბედა „ხაზეინს“, რომ „ჯერ ერთს მორჩება და შემდეგ მეორე საქმეს შეუდგება“.

— როგორ ბედავ ურჩობას,—დაიღრიალა გვენცაძემ, წამოუსვა ხელი გალესილ ცულს და რაც ძალი და ღონე ჰქონდა კისერში დაარტყა მენაბდიშვილს, რომელიც სასიკვდილოთ დაჭრილი იქვე დაეცა საბერველთან.

რამდენიმე დღე იცოცხლა მენაბდიშვილმა და შემდეგ გარდაიცვალა.

სასამართლომ გვენცაძეს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლით სასტიკი იზოლიაციით და ამავე ვადით სამოქალაქო უფლებების აყრა.

ვატმან ეგოროვის საქმე

თბილისის სამაზრო სასამართლომ ამხ. რ. ქალანდაძის თავმჯდომარეობით გაარჩია ვატმან გიორგი თედორეს ძე ეგოროვის საქმე.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ამა წლ. 2 სექტემბერს ღამის 12 საათზე საბჭოთა და ტურგენევის ქუჩების კუთხეში ტრამვაის ხაზზე ადგილი ჰქონდა კატასტროფას. მე-11 მარშრუტის ვაგონი, რომელსაც მართავდა ვატმანი ეგოროვი დაეჯახა წინ მიმავალ ვაგონს. ორივე ვაგონი ჩაიმტვრა. მსუბუქად დაშავდა 10 მგზავრი.

როგორც გამოძიებით დადასტურდა, ეგოროვს ზედმეტი სისწრაფით მიჰყავდა ვაგონი, მან არ გამოიჩინა სიფრთხილე და არ დაიცვა მიმოსვლის არსებული წესი, რასაც შედეგად მოჰყვა დაჯახება.

ეგოროვს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 თვით.

—

გაფლანგვა

თბილისში თავისუფლების მოედანზე არსებული [illegible] მაღაზია გასულ მარტში შეისყიდა „ზაკკუსტტორგ“-მა (ამიერ-კავკ. სახელმწიფო ვაჭრობის სააქციო ამხანაგობამ), რომელმაც ამ მაღაზიის გამგეთ დანიშნა გარეგინ ხუმარიანი.

10 მარტიდან 1 აპრილამდე მაღაზია დაკეტილი იყო, რადგან ხდებოდა მისი აღწერა და გადაბარება.

ახალი გამგე ხუმარიანი სავაჭრო ოპერაციების დაწყებამდე იღებს საქვეანგარიშო თანხებს და [illegible] ნივთების შეძენას მაღაზიისათვის.

სწორედ ამ ხანებში თბილისში ჩამოდის ოდესიდან ოქრომჭედელი კიტაიანიკი, რომელსაც გასაყიდი აქვს 1700 მანეთის ოქროულობა.

ახალმა გამგემ შეიძინა ოქროულობა, მაგრამ გამყიდველს მხოლოდ 700 მანეთი მისცა და შეპირდა, რომ დანარჩენ თანხას დეპეშით გადაუგზავნიდა ოდესაში.

გავიდა დრო, კიტაიანიკი წერილებს წერილებზე გზავნის, მაგრამ პასუხს ვერ ღირსა გამგისაგან. ბოლოს კიტაიანიკი „ზაკკუსტორგ“-ის გამგეობის თავმჯდომარეს ატყობინებს ამის შესახებ.

ირკვევა, რომ ხუმარიანს ეს თანხა მიუღია შესყიდულ ნივთების ანარიცხში, მაგრამ გაგზავნა „დაზარებია“ და თვითონ „წაუხარჯავს“. გარდა ამისა 400 მანეთამდე საქვეანგარიშო თანხისათვის მოუკლია ხუმარიანს და პირადი საჭიროებისათვის მოუხმარია.

ახალმა გამგემ მაღაზიის გაღებისთანავე გაკეთა კიდევ ერთი „კომბინაცია“. გასაყიდათ დალაგებულ ოქროს საათებში ამოირჩია საუკეთესო მექანიზმიანი საათი, ჩაიდო ჯიბეში და მის მაგიერ ვიტრინა დაამშვენა თუნის დანჯღრეული საათით, რომელიც შემდეგ გამოირკვა, დროის ჩვენების საქმეში ძალიან მოისუსტებდა.

კიდევ კარგი, რომ ხუმარიანს მხოლოდ რამოდენიმე დღის განვალობაში შერჩა ხელში ოქროულობის მაღაზია, თორემ დიდი ხნით, რომ რის კი საკმაოდ მოიპოვება წერა-კითხვის მოადგენს რა ბედი ეწეოდა ოქროულობას.

ხუმარიანი პასუხისგებაშია მიცემული.

საქმეს გაარჩევს თბილისის მაზრის სასამართლო.

გერ.

ნარევი

ეროვნულ უმცირესობათა გაზეთები ნიუ-იორკში

ნიუ-იორკში ცხოვრობს ემიგრანტების დიდი რაოდენობა, ემიგრანტთა ამ მასისათვის გამოდის მთელი რიგი ჟურნალ-გაზეთები 17 ენაზე. ებრაულ ენაზე გამოდის 5 ყოველდღიური გაზეთი. ებრაელთა კონსერვატიული წრეები უშვებენ გაზეთ „ტაგებლატს“, კომპარტია—„ფრეიჰაიტ“-ს („თავისუფლება“), მენშევიკები—„დეილი ფორვარდ“-ს. იტალიურ ენაზე გამოდის 6 ფაშისტური გაზეთი, კომუნისტური გაზეთი „ილლავორატორე“ („მშრომელი“), სინდიკალისტური—„ილ მარტელო“ („ურო“) და „სოციალისტური“—„ილ მონდო“. ფრანგული გაზეთი „კურიერ დე ეტა იუნი“ პირველად გამოვიდა 1828 წ. გერმანულ „შტატს ცაიტუნგს“ პირველი ნომერი გამოვიდა 94 წლის წინად. გერმანული გაზეთებიდან ყველაზე უფრო პოპულარულია „ფოლკსცაიტუნგ“ („სახალხო გაზეთი“). რუსულ ენაზე გამოდის მონარქისტული „რუსკოე სლოვო“ და ლიბერალური „რუსკი გოლოს“. ამერიკის კომპარტია რუსულ ენაზე უშვებს ყოველკვირეულ „ახალ ქვეყანა“-ს. სულ „უორკერს პარტი“ (კომპარტია) თავის გაზეთებს უშვებს 11 ენაზე: ებრაულზე, რუსულზე, უნგრულზე, იტალიურზე, ფინურზე, ლიტვურზე, ესტონურზე, ჩეხურზე, ბერძნულზე, უკრაინულზე და ხორვატულზე. კონსერვატიული გაზეთები გამოდის ბერძნულ, ებრაულ, უნგრულ, ჩეხურ, სერბიულ, სლოვენურ და ესპანურ ენებზე, გარდა ამისა ნიუ-იორკში გამოდის ჩინური გაზეთი.

რადიო-გადაცემა

ხუთშაბათი, 22 ნოემბერი

გადაცემა რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის სტუდიიდან.

პარასკევი, 23 ნოემბერი

პარასკევს, 23 ნოემბერს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

საუბარი—„მიკრობები, როგორც მტრები და მეგობრები ადამიანისა“; თურქული რადიო-გაზეთი; მოხსენება საბჭოების გადარჩევის შესახებ; მუსიკალური დასვენება; ტეხნიკური კონსულტაცია; კონცერტი სტუდიიდან; ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია; ამინდის ბიულეტენი.

რკინის გზეზე

ხანძარი თბილისის სადგურზე

20 ნოემბერს, ღამის 12 საათზე, თბილისის სადგურში ერთ-ერთ ორთქლმავალს გაუჩნდა ცეცხლი, სასწრაფოდ იქნა გაწვეული რკინისგზის ცეცხლის მქრობელი გუნდი, რომელმაც ცეცხლი 10 წუთში ჩააქრო.

როგორც გამოირკვა, ცეცხლი გაუჩნდა ორთქლმავლის მილში დაგროვილ მჭვარტლს. ორთქლმავალი უმნიშვნელოდ დაზიანდა.

გადმოვარდნა მატარებლიდან

მატ. № 106-ს ერთ-ერთი ვაგონის კიბეზე იდგა მატარებლის მზეთავი ციბულსკი. ყარასუ-პადეს შუა ციბულსკი გადმოვარდა ვაგონიდან და თავი გაიტეხა. უგრძნობ მდგომარეობაში მყოფი ციბულსკი გადაგზავნეს აჯაკაბულის საავადმყოფოში.

რით აღინიშნა ოქტომბრის რევოლუციის 11 წლის თავი

ოქტომბრის რევოლუციის თერთმეტი წლის თავზე ა.-კ. რკინის გზ. გაიხსნა: ექვსი წითელი კუთხე, ერთი მაღალი ტიპის სკოლა, ერთი საბავშვო ბაღი, ერთი ბავშვთა საკონსულტაციო ბიურო და წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო კურსები.

ოფიც. განყოფილება

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

საგეგმო წესისამებრ შეშის დამზადების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საჭიროდ იქნეს ცნობილი, რომ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ხე-ტყის საშეშედ დამზადება უნდა სწარმოებდეს საგეგმო წესით.

2. დაევალოს ყველა სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოს, აგრეთვე კოოპერატიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს წარუდგინონ ხოლმე ყოველწლივ, არა უგვიანეს მარტის 1-სა, განცხადება მისთვის მომავალ საბიუჯეტო წლის განმავლობაში საჭირო შეშის რაოდენობის შესახებ ა.-კფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში.

3. დაევალოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, ა.-კფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (საქართველოს სსრ-ში) ერთად, შეადგინოს ყოველწლიურად არა უგვიანეს ივლისის 1-ისა მომავალი საბიუჯეტო წლისათვის ხე-ტყის საშეშედ დამუშავების გეგმა და წარუდგინოს იგი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად.

შენიშვნა: პირველი გეგმა ტყის დამუშავებისა 1928—29 საბიუჯეტო წლისთვის შედგენილ და სახალხო კომ-სართა საბჭოსთვის დასამტკიცებლად წარდგენილ უნდა იქნეს არა უგვიანეს 1928 წ. ნოემბრის 15-სა.

4. დაევალოს შეშის მომხმარებელ ყველა დაწესებულებასა, საწარმოს და ორგანიზაციას დაამთავროს ხოლმე ყოველწლიურად არა უგვიანეს სექტემბრის 15-სა ხელშეკრულობის დადება შეშის ყიდვა-მიწოდების თაობაზე.

5. დაევალოს საქართველოს სსრ ტყის მრეწველობის ტრესტს მიიღოს ყოველი საჭირო ღონისძიება მთლად შეშის ბაზრის ხელში დასაჭერად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი

საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

იურიდიული დახმარება

ანტილოფა კიწმარიშვილს

კითხვა:

წამიყვანა ბიძამ 13 წლის იმ პირობით, რომ ეპატრონებია ჩემთვის და გავეთხოვებია, როგორც თავის შვილი. ჩვენს შორის იყო სიტყვიერი პირობა. ბიძასთან დავყავი 12 წელი და ვეწეოდი ოჯახურ მუშაობას. ჩვენს შორის ჩამოვარდნილ უკმაყოფილების გამო, ბიძამ მე გამომაგდო ოჯახიდან და არავითარი სასყიდელი არ მომცა.

მერგება თუ არა რაიმე სასყიდელი 12 წლის ნამსახურში, ან როგორ მოვიქცე?

პასუხი:

შეგიძლიათ მოსთხოვოთ ბიძას შრომის სასყიდელი იმ დროის განმავლობაში, თუ არ არის გასული 3 წელი დღიდან ბიძის ოჯახის დატოვებისა. ამისათვის უნდა მიმართოთ ადგილობრივ სასამართლოს, რომელსაც ამასთანავე შეუძლია თანახმად სამ.-სამ. კოდ. 49 მუხ. გაგიგრძელოთ გადაცილებული სარჩელის ვადა.

პარტიული კალენდარი

დღეს, ხუთშაბათს, 22 ნოემბერს, დღის 1 საათზე, ს. კ. პ. (ბ) ც. კ. აგიტ-პროპ. განყოფილებაში შესდგება სხდომა, რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: დ. კანდელაკი (განათლ. კომისარიატი), თოხაძე და ს. ეული (მთავლიტი).

—:—

სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიურო - კოლექტივი აცხადებს, რომ დღეს, 22 ნოემბერს, დღის 12 საათზე, მოწვეულია ბიურო-კოლექტივის სხდომა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

—:—

ლენრაიონის მ.-გ. ქალთა შორის მომუშავე განყოფილება იუწყება, რომ ხუთშაბათს, 22 ნოემბერს, ა. წ. საღამოს 6 საათზე, შესდგება დელეგატურ კრების ჯგუფების ცალ-ცალკე მეცადინეობა.

1-ლი ქართ. ჯგუფი—პლეხანოვის კლუბთან არსებულ ქალთა განყოფილებაში. მე-2 ქართ. ჯგუფი რკ. გზის სამმართველოში, მე-3 რუსული ჯგ.—ძერჟინსკის სახ. კლუბში, მე-4-ე რუსული—რკინის გზის სამმართველოში.

მწუხარებით გულმოკლულნი ანიჩკა და თინა ნესტორის ასული კაკაბაძენი და სიძე გრიშა შარაშიძე აუწყებენ საზოგადოებას, რომ ა. წ. 25 ნოემბერს დღის 12 საათზე ქ. ქუთაისში—საფიჩხიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფას დედის

გაბილინა ვიქტორის ასულ კაკაბაძის

მოსაგონრად. 4954

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე და შვილები კოსტა და ვასო შენგელიები; დები: ნინო, ფადორა ლეჟავა, მარინე შელიაძე და პელაგია ლეკვეიშვილი და დისშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ა. წ. 18 ნოემბერს გარდაიცვალა მათი საყვარელი

ოლა ივანეს ასული შენგელია

დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, ნაშუადღევის 2 საათზე ს. კულაშში. 4961

რუსთაველის სახელმწიფო თეატრი

ხუთშაბათს, 22 ნოემბერს 1 ლ აბონემენტის მე-2 წარმოდგენა

„ხოჭოების დოლი“

კომ. 3 მოქ. ხოზიკასი

დადგმა ალ. ახმეტელის. და ქ. პატარიძის.

მხატვარი ირ. გამრეკელი — დასაწყისი სრულ 8 საათზე

აბონემენტის მე-3 გადასახადის უკანასკნელი ვადა 22 ნოემბერს—ბილეთები იყიდება

2—1 ნ. 884

სახელმწ. აკადემიური ოპერა

(1928—29 წლის სეზონი)

დღეს, 22 ნოემბერს მე 5 აბონემენტის მე-2 წარმოდგენა ვ. რ. სლივინსკის მონაწილეობით **ევგენი ონეგინი**

23 ნოემბერს 1-ლი აბონემენტის მე-2 წარმოდგენა ვ. რ. სლივინსკის მონაწილეობით **პიკის ქალი**

დაწვრილებით აფიშებში. წარმოდგენის დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ყველა საბონემენტო წარმოდგენებზე ბილეთების ნაწილი რჩება სალაროში ჩვეულებრივი წესით გასასყიდათ.

მზადდება დასადგმელად **გედის ტბა** ბალეტი. მუსიკა ჩაიკოვსკის

2—1 ნ. 1864

სახკინმრეწვის კინოები

განთიადი, არფასტო, სოლეი, აპოლო — მხატვრული კინო-პოემა **ზვენიგორა**; პრემიერა მსოფლიო კინო **თეთრი არწივი** მეიერხოლდის, კაჩალოვის და ანა სტენის მონაწ.

პალასი — გარი პილი სურათში **ექსპრესი** 2 სერიად 14 ნაწ. ორივე სერია ერთად

მინიონი — მხატვრული სურათი **წუმპე** პანოვის მონაწ.

დარბაზი — სეზონის საუკეთესო სურათი [illegible] ნაწარმოები **ქირვეული ცოლი**

კროლ.-ტარი (ავლაბარი) — სეზონის საუკეთესო კომედია **იანკი კონსული**

პირველი სეანსის დასაწყისი 6 საათზე 30 წუთზე. სალარო ღიაა 5 ს. 30 წუთიდან 0—14

კინო-თეატრ მინიონში — დღეიდან — მხატვრული სურათი **წუმპე** პანოვის მონაწილეობით

კინო-თეატრ პალასში — დღეიდან — გარი პილი სურათში **ექსპრესი** 2 სერიად 14 ნაწ. ორივე სერია ერთად

1 სეანსი დასაწყისი 6 საათ. 30 წუთზე. სალარო ღიაა 5 საათ. 20 წუთიდან



მოითხოვეთ ახალი წიგნები

МАХАРАДЗЕ—Советы и борьба за сов. власть в Грузии 2 р.

2. მახარაძე—საბჭოები და ბრძოლა საბჭ. ხელისუფლებისათვის საქართველოში (ქართულად). 2 მ.

МАХАРАДЗЕ—К истории Компартии Грузии 1 р.

4. მახარაძე—საქართველოს კომპარტიის ისტორიისათვის. 1 მ.

ნ. 1845 3—1

ცირკი კოლოსი

ტელეფ. № 8—64

3—2

დღეს, ახალი გასტროლები

ფართო პროგრამა 3 განყოფილებათ

ჟონგლიორი-ქალები 4 კრონეცი

ცხოველების მწვრთნელი კნოკი

მუსიკალური სატირიკოსი ნიკოლოზ ტამარინი

და კიდევ 10 ატრაქციონი

დასაწყისი საღამოს სრულ 8 ნახ. საათზე.

სალარო ღიაა 12-დან 2 საათამდე და საღამოს 5 საათიდან.

წაიკითხეთ აფიშები!!

დირ. ი. ზ. კუდრიავცევი, რწმუნებული ქ. მ. გროჯზიცკი

ნ. 1857 3—2. მმართველი მ. ი. ტაძე

სახელგამი
ფიზიკის ხელსაწყოები
ქიმიური ჭურჭელეულობა
ფიზიკის იარაღები
ლაბორატორიის მოწყობილობანი
იყიდება სსსრ. სახელგამის მაღაზ.
თბილისში—რუსთაველის პროსპ. № 22 მაღაზია № 1

5—2 ნ. 1854

გამოვიდა

ახალი აღთქმა

დემიან ბედნის თქმა

სილ. თოდრიას თარგმანი

ფასი 50 კაპ.

იყიდება სახელგამის და „შრომის“ წიგნ. მაღაზიებში

4—1

იყიდება სახლი

ქალ. ოზურგეთში, აღმასკომის ქუჩაზე, სადგურის ახლოს, 5 თვალი წაბლის, დადგმული მაღალ ცემენტის სვეტებზე, კრამიტით დახურული, პირობების გაგება შეიძლება გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარ კანტორაში, (სახლი კანტორის საკუთრებას შეადგენს), თბილისი, რუსთაველის პრ. № 34, და სამტრედიაში ლასა გოგელიასთან.

0—8 „კომუნისტ“-ის მთავარი კანტორა.

ყოფ. „ბრეშუარ“-ის

საპარიკმახერო კლიენტთა

საყურადღებოთ

ამ ფირმის ერთად-ერთი საპარიკმახერო მოთავსებულია აღმასკომის (ყოფ. სოლოლაკის) ქუჩაზე, № 2.

4960

ექიმი

ქ. ს. ფონ-ირტელი

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, ანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.

პლეხანოვის პროსპ. №10

კბილის ექიმი

დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. ტელ. 10—14 ნ. 6 25—1

ექიმი

ი. პ. მჭედლიშვილი

შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. გარდა კვირისა. სანაპირო ქ. № 7 (ყოფ. ნაბერეჟნაია) ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02 ნ. 7 25—1

ექიმი

ი. ი. ქეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ.

კამოს ქ. 72 (ყოფილი დიდი-მთავრის)

მიღება: დილ. 8 ს.—9 საათ.; საღ. 6 ს.—8 საათ.

4598 25—1

ფ. მახარაძე

თბილისის ორგანიზაციის 30 წლის არსებობა

მოსამზადებელი ხანა (1870—1890)

ფასი 25 კაპ.

იყიდება გაზეთ „კომუნისტი“-ს გამომცემლობის მთავარ კანტორაში (რუსთაველის პრ. № 34).

0—4. მთავარი კანტორა.

ქალ. ლომბარდის სააუქციონო კამერა

აცხადებს, რომ პარასკევს, 23 ნოემბერს, კომუნალური ქ. № 08 დღის 11 საათზე

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ფინსახკომისადმი დავალიანებ თა ასანაზღაურებლათ. გაიყიდება 400 ფუთი თრიმლი და თრიმლის საფქვავი ქარხანა ნ. 1872

სიღნაღის უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ქ. თ. სვიმონიშვილი

აცხადებს, რომ 27 ნოემბერს 28 წ. წნორზედ დილით 12 საათზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** ნიკოლოზ ვასილის ძე ჯლაზოვის მოძრავ ქონების გასაყიდათ, რომელიც აწერილია „ცეკავშირის“ ვალში, თანახმად აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს აღმასრულებელ ფურცლისა 15 მაისს 26 წ. № 25666, სია გასაყიდი ქონებისა: ორი ცხენი და ერთი ახალი ფურგუნი შეფასებული 800 მან. ნ. 1869

თბილისის მე-5 რაიონ. სასამართ. აღმასრულებელი ბ. გამაზოვი

აცხადებს, რომ 1 დეკემბერს 1928 წ. დღის 12 საათზე სახლში № 14 დიდუბის მე 6 შესახვევში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის თევდორე ს ფონიაძე ლაზუტინის მოძრავ ქონებას: ერთ ძროხას, ჯიშიანს, 7 წლის, ძაკე, შეფასებულს 200 მან., მოსე პოლიკარპის ძე კუვალდინის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის სახელმწიფო სანოტარო კანტორისგან 15 ნოემბერს 1928 წ. თარიღით, № 370-ით გაცემულ აღსრულებითი წარწერისა. 4969

ქ. ქუთაისის მე-2 უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი დ. აშორდია

ამით აცხადებს, რომ 28 ნოემბერს 1928 წ. დილის 12 საათზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ივლიანე ბაბუს ძე ბარქაიას ერთ, ერთ სართულიან ქვიტკირის სახლს შედებარე ქ. ქუთაისში ტროცკის ქუჩ. რომელიც შეიცავს ერთ დიდი საცხოვრებელ ოთახს ზედ მიდგმულ სამზარეულოთი დახურული კრამიტით შეფასებულს 1.400 მან. ს. მ. უ. საბჭოს ტრესტების სავაჭრო კანტორის სასარგებლოთ. ვისაც სურს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება, უნდა წარმოადგინოს ცნობები 311 და 312 მუხ. ს. ს. ს. კოდ. საწინდარი 10 პროც. ნ. 1868

ექიმი

ა. ს. ვადაჭკორია

დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა და შინაგან სნეულებათა ავადმყოფთ. დილის 9—12—ს—მდე და საღამოს 4—6—ს—მდე (ყოფილი ოლღას) ლენინის ქ., № 3 25—15

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“), პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 2. 25—2

ექიმი

პ. ი. ჯალალოვი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფთა (კანისა და ვენერიული სნეულებანი) მიღება, სიფილისი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა.

მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 1. 25—1

ლოგოპედი

ა. ა. კაიშაური

ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა

ასწორებს

ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, ბგატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს

იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., № 13.2 13—1 ნ. 1809

ექიმი—ვენეროლოგი

ნინო მირიანაშვილი

იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს)

საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ექიმი

ი. ვ. ხანდამოვი

სიფილისი, კანისა და ვენერიული ავადმყოფობა.

ავადმყოფთა მიღება დღის 2-დან 3 საათამდე და საღამოს 5-დან 8 საათამდე. ძნელაძის ქ. № 35, (ყოფ. მესაჯგრეთა ქ.), ყოფ. კადეტთა კორპუსის მახლობლად 25—1 ნ. 5

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12, საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67. ნ. 3 25—2

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი“

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და ხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 4821 25—1

თვალის ექიმი

მალაევი

ღებულობს ავადმყოფებს დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს მისამართი: თვალის საავადმყოფო, კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, ელსმენი № 5—90. ნ. 4 25—1

ექიმი

ი. ვ. ახმეტელი

იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—6 საათ. ლენინის (ყოფ. ოლღას) ქ. № 20, მესამე სართული. 4903 25—1

ექიმი

გ. მ. ფხალაძე

მარტის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან.

ვენერიული და კანის სნეულებანი.

იღებს: დილა-საღამოს. ნ. 8 25—1

ექიმი

ს. ანდრეევისა

დაბრუნდა

ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზის მკურნალობა

ღებულობს ავადმ. 5—7 ს. საღ. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი) 29, ვერის ხიდთან. ელსმენი—11—78. ნ. 25—

კბილის ტეხნიკოსთა კურსებზე

შეღავათიან ფასებში სწარმოებს ყოველგვარ ხელოვნურ კბილების ჩასმა და პროტეზების მომზადება.

მიიღება ავადმყოფები ყოველ დღე კვირა უქმის გარდა საღამოს 4—6 საათამდე.

მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 126. 25—1

დაკარგა: სამხედრო წიგნაკი № 133, შალიკო ნიკოლოზის-ძე მელაძის სახელზე. ჩ. გ. ნ. 1868

დაკარგა: მოწმობა, მოცემული უქმიდან და ამონაწერი საკონტროლო კომისიის დადგენილებიდან ესე ელენტის სახელზე. ჩ. გ. 4964

დაკარგა: კოოპერატივის წიგნაკი № 41504 გაცემული ლონგინოზ ბესარიონის-ძე გოქაძეს სახელზე, ჩ. გ. 4965

დაკარგა: პირადობის მოწმობა, დამზღვევ სალაროს წიგნაკი და სახლის გაყიდვის ნებართვა ვლადიმერ კირილეს-ძე მამისაშვილის სახელზე, ჩ. გ. 4962

დაკარგა მუშკოოპის წიგნაკი № 26881 ბორისი ვლადიმერის-ძე ხანზინის სახელზე. ჩ. გ. 4963

დაკარგა: საბ. მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 23224 არტემ ოქროევის სახელზე, ჩ. გ. 4958

დაკარგა: საბჭ. სავაჭ. მუშაკების კავშირის წიგნაკი № 10018 არჩილ კობაზიძის სახელზე, ჩ. გ. 4956

დაკარგა სამხედრო წიგნაკი პეტრე წამალაშვილის სახელზე. ჩ. გ. 4957

დაკარგა: კავშირის წიგნაკი № 3747 და სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 374 გიორგი ცხვედიანის სახელზე, ჩ. გ. 4952

დაკარგა: მუშკოოპის წიგნაკი № 11296, კავშირის წიგნაკი № 1145072, საანგარიშო წიგნაკი № 1 „სოფლის კავშირის“ მატყლის საწყობიდან მიღებული სისაკა ოგანეზოვის სახელზე, ჩ. გ. 4953

დაკარგა: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 13946 ბესარიონ გერასიმეს-ძე დოლიძის სახელზე, ჩ. გ 9554

კოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904.